ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 აგვისტო სამშაბათი 2012 №203 (13 809) ფასი 80 თეთრი

# ალბათ, დავიღალეთ

| | |
|---|---|
| ჰოლანდია | 91 |
| საქართველო | 88 |



**იგორ კოკოშკოვი (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი):**

- მძიმე ბრძოლაში წავაგეთ. თავიდან უპირატესობა კი მოვიპოვეთ, მაგრამ მასპინძლებს თამაშში დაბრუნების საშუალება მივეცით. მესამე პერიოდში ჰოლანდიელებმა ბევრი რთული ტყორცნა გამოიყენეს, განსაკუთრებით იანსენმა. ვერ შევასრულეთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა, თუმცა წინ კიდევ ოთხი თამაშია. კომპლიმენტი უნდა ვთქვა ჰოლანდიის მისამართით, რომელმაც გამარჯვება დაიმსახურა. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ჩვენს ჯგუფში აუტსაიდერები არ არიან.





12

## იანსენი და აკერბუმი

ამ ორმა კალათბურთელმა 9 სამქულიანი ჩააგდო




## 42-მილიონიან მოდრიჩს რეალში 19 მისცეს

ხორვატმა ესპანური სატრანსფერო ბაზრის რეკორდი დაამყარა

8

# ანამ ამერიკა მოგებით გახსნა

ამერიკის ღია პირველობაზე პირველი მატჩი ქართველმა ჩოგბურთელმა მოიგო




სტეფანი ფორეცს ორი გეიმი დავუთმეთ, მეორე წრეში რუმინელი სორანა კირსტეა გველოდება, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში ტატიშვილს ყაიმი აქვს 1:1

11

## ჩემპიონი უმწვრთნელოდ რჩება

ზესტაფონში ჭიაბრიშვილის პერიოდი სრულდება

3



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტურის მიმოხილვა

# არცთუ ნაადრევი დასკვნები

**ახალი ლიდერი, ერთი გამოკვეთილი აუტსაიდერი, კონკრეტულ ფეხბურთელთა გამორჩეული ასპარეზობა, „იმერული დერბი", ასპროცენტიანი „ჩიხურა", ჩემპიონის ზედიზედ მეორე მარცხი, — პრემიერლიგის III ტურში მართლაც არაერთი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენა მოხდა...**



ვიტ ჯორჯია-ჩიხურა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## მამები და შვილები

სამი მატჩი, სამი გამარჯვება და ერთპიროვნული ლიდერობა — აი, ასეთი შთამბეჭდავი სტარტი აიღო თბილისის „დინამომ". ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდისთვის, ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ამბავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მოდი, ისტორიაც გავიხსენოთ: სეზონის სტარტზე „დინამოს" ზედიზედ სამი მოგება უკანასკნელად ხუთი წლის წინათ ჰქონდა! იმასაც შეგახსენებთ, რომ ის სეზონი (2007-08) „დინამოს" ტრიუმფით დასრულდა და ამის მერე გუნდი ჩემპიონობის მოპოვებას ვერაფრით ახერხებდა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ „დინამოსთვის" იმ უკანასკნელ საჩემპიონო სეზონში გუნდის მთავარი მწვრთნელი გამოცდილი ჩეხი სპეციალისტი, **დუშან უჰრინი-უფროსი** გახლდათ; დღესდღეობით კი როგორც ხედავთ, ეს წარმატებული „ესტაფეტა" მისმა ვაჟმა, **დუშან უჰრინმა-უმცროსმა** ჩაიბარა!

P.S. დიდი ინტერესით ველოდებით 7 ოქტომბერს, როცა „დილამ" ბათუმს უნდა უმასპინძლოს; ჰო, როგორი საქმეა: გორელთა გუნდის შემტევი **სანდრო გურული** იმ გუნდს დაუპირისპირდება, რომლის მთავარი მწვრთნელი... მამამისი, **გია გურულია!**

## „დინამოს" სახეცვლილება

„დინამოს" ერთგულ ქომაგებს, ალბათ, გადაავიწყდათ კიდეც, თუ როდის იყო მათი საყვარელი გუნდი ცხრილის სათავეში; არც ის ფაქტი უნდა მივიჩნიოთ „ჩვეულებრივ ამბად", რომ ზედიზედ მეორე მატჩია „დინამოს" მეტოქეთა კარში სამ-სამი გოლი გააქვს! თანაც, წინა ტურის მსგავსად, კვლავაც თავი გამოიჩინეს ლეგიონერებმა: 29 წლის **ალვარომ** ჩემპიონატში უკვე მეორე გოლი გაიტანა, 24 წლის **რობერტინიომ** — პირველი; მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა 31 წლის **ჩისკომ,** რომელმაც თუ ასე გააგრძელა, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელობაზეც სამართლიანი პრეტენზია უნდა ჰქონდეს. თუმცა, „დინამოს" წარმატებული სტარტი მხოლოდ ლეგიონერთა დამსახურებად არ უნდა მივიჩნიოთ: გუნდის კაპიტანმა, 25 წლის **გიორგი ლორიამ** მცირე პაუზის მერე დაბრუნება პენალტის მოგერიებით „აღნიშნა", თითქმის ერთწლიანი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა 21 წლის **ლევან კაკუბავა;** რომ აღარაფერი ვთქვათ ქართული სატრანსფერო სეზონის ყველაზე „ხმაურიან პერსონაზე" — 27 წლის **ჯაბა დვალმა** „დინამოში" ექვსწლიანი პაუზის მერე დაბრუნება გოლითა და საგოლე პასით აღნიშნა! ისიც სიმბოლური იყო, რომ ჯაბა დვალმა „დინამოს" მაისურით პირველი მატჩი ზესტაფონში ჩაატარა; იმ ქალაქში, რომლის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი და გამორჩეული ფეხბურთელიც გახლდათ სამი წლის განმავლობაში. ზესტაფონელი ქომაგები კი ამაგს არავის უკარგავენ — ჯაბა დვალს ოვაციებით შეხვდნენ!

## რა სჭირს ჩემპიონს?

ჩემპიონატის სტარტზე განცდილი ზედიზედ ორი მარცხი არავის ესიამოვნება (მით უფრო, უშუალო კონკურენტებთან), მაგრამ ყოველივე ამას სერიოზულ კრიზისს მაინც ვერ ვუწოდებთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ზესტაფონიდან" თითქმის ყველა ლიდერი წავიდა და ახალგაზრდა სპეციალისტ **გია ჭიაბრიშვილს,** ფაქტობრივად, ახალი გუნდის „შენება" უწევს. **ნიკა გელაშვილი, ჯაბა დვალი, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ონიანი,** — ჩვენი ჩემპიონატის ამ მართლაც გამორჩეული ფეხბურთელების უმტკივნეულოდ ჩანაცვლება იოლი საქმე რომ არ იქნებოდა, ისედაც ცხადი იყო; თუმცა, გვჯერა რომ „ზესტაფონი" დროის მოკლე პერიოდში გამოასწორებს თამაშის ხარისხს და ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტულისათვისაც იბრძოლებს. მით უმეტეს, როცა ასეთი მეკარე გყავს გუნდში — „იმერულ დერბიში" 23 წლის **როინ კვასხვაძემ** უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ უფრო მაღალ (ანუ, სანაკრებო) დონეზე თამაშს იმსახურებს...

## ქუთაისში ზეიმია!

წინა ტურში დრამატული მატჩი თბილისის „დინამოსთან", ახლა არანაკლებ დამაინტრიგებელი პაექრობა ასევე არანაკლებ პრინციპულ მეტოქე „ზესტაფონთან", მომდევნო ტურში რუსთავში სტუმრობა, — ჩემპიონატის სტარტზე კალენდარზე საწუწუნო თუ ვინმეს უნდა ჰქონოდა, „ტორპედოს" ხელმძღვანელობას, სამწვრთნელო შტაბს, ფეხბურთელებსა და ქომაგებს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ წლევანდელი ევროტურნირები „ტორპედოს" აქტივში ნამდვილად არ ჩაითვლება; თუმცა, **გია გეგუჩაძემ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტია: ევროპის ლიგაზე „ყაზახური ფიასკოს" მერე „ტორპედოში" რადიკალურ ცვლილებებს არ მოერიდა და გუნდის გაახალგაზრდავების პროცესიც დაიწყო. რა თქმა უნდა, კლუბში დარჩა რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი (**ომარ მიგინეიშვილი, ალექსანდრე კვახაძე, გიორგი დათუნაიშვილი, გრიგოლ დოლიძე**), თუმცა ძირითად ბირთვს მაინც ახალგაზრდები შეადგენენ. ამათგან ერთ-ერთი, 21 წლის **ნიკა საბანაძე** სულაც „ტორპედოს" ლიდერად ყალიბდება და ემოციების მოთოკვასაც თუ ისწავლის, ძალიან მაღალ დონეზეც შეუძლია ითამაშოს. დაბოლოს, „ტორპედოელთა" კიდევ ერთ ახალგაზრდაზე: „იმერულ დერბიში" გადამწყვეტი გოლი 18 წლის **გიორგი ფანცულაიას** აქტიურობას მოჰყვა. ისე, ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს, ალბათ, კარგად ეხსომებათ გიორგის მამის, თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „გორდას" თავდამსხმელ **მამუკა ფანცულაიას** თამაშიც და გოლებიც...

## ბოლო წუთების დერბი

უკვე ტრადიციასავით ჩამოყალიბდა: „იმერულ დერბიში" გადამწყვეტი გოლები მსაჯის მიერ დამატებულ დროში გადის. ასე იყო წინა სეზონშიც: თასის საპასუხო მეოთხედფინალში „ზესტაფონის" ნახევარმცველების **თორნიკე გორგიაშვილისა** და **ალექსი ბენაშვილის** შორეულმა და ზუსტმა დარტყმებმა (91-ე და 94-ე წუთებზე) „ტორპედო" შოკში ჩააგდო! ამას ჩემპიონატის მატჩი მოჰყვა, როცა ქუთაისელთა ახალწვეულმა **ნიკა ფირცხალავამ** „ზესტაფონის" კარში გამარჯვების მომტანი გოლი 92-ე წუთზე გაიტანა! და აი, ამ სეზონის პირველივე „იმერული დერბი" და კვლავაც ბოლო წუთების კულმინაცია: „ტორპედოს" 27 წლის მოუღლელმა ნახევარმცველმა **გიორგი დათუნაიშვილმა** მსაჯის მიერ დამატებულ დროში აუღებელი ბურთი დაურტყა მთელი მატჩის განმავლობაში შთამბეჭდავად მოასპარეზე როინ კვასხვაძეს!

P.S. ამ ტურში გიორგი დათუნაიშვილის უფროსმა ძმამ, **პავლე დათუნაიშვილმაც** თავი გამოიჩინა: 29 წლის უნივერსალმა ფეხბურთელმა გოლი „ზუგდიდის" კარში გაიტანა.

## რაზე ოცნებობენ საჩხერეში?

თბილისის „დინამოს" ლიდერობა თუ ლოგიკურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, აი, „ჩიხურას" უდანაკარგოდ ასპარეზობა ახალი სეზონის, უდავოდ, სასიამოვნო მოულოდნელობაა; პრემიერლიგაში (ადრე, უმაღლეს ლიგად რომ იწოდებოდა) ექვსწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა „ჩიხურამ" სამივე მატჩი სტუმრად ჩაატარა და სამივე მოიგო! მოკლედ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი აჟიოტაჟი იქნება საჩხერეში, როცა „ჩიხურას" საშინაო მატჩების ჩატარების უფლებას დართავენ. ისე, „ჩიხურას" ასეთი წარმატებული ასპარეზობა მთლად სენსაციურიც არ უნდა იყოს: უკვე წლებია, რაც გუნდის მთავარ მწვრთნელად გამოცდილი სპეციალისტი **სოსო ფრუიძე** მუშაობს, შემადგენლობაშიც არაერთი კვალიფიციური ფეხბურთელი (გამოცდილებიც — **დავით ოდიკაძე, ლაშა ჭელიძე, რევაზ გოცირიძე, გიორგი სომხიშვილი, დავით დილმელაშვილი, ედიკ საჯაია, ნიკა გუშარაშვილი** და ახალგაზრდებიც — **ნიკა კვასხვაძე, ბესიკ დეკანოიძე, დავით კირკიტაძე**).

## არც ერთი სიტყვა... „დილაზე"

ახალი სეზონის მთავარი მოულოდნელობა, რაღა თქმა უნდა, გორის „დილას" კატასტროფული სტარტია — საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე შეძლებულმა და ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა სამივე მატჩი წააგო! თუმცა, ნუ დაგვავიწყდება: „დილა" ხომ ერთადერთი ქართული გუნდია, ევროტურნირებზე რომ აგრძელებს ასპარეზობას. ამიტომაც, მოდი, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ...

**გია ტუხაშვილი**



დილა-სიონი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## III ტურის სიმბოლური ნაკრები




| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 3 | 3 | 0 | 0 | 7 | 2 | 9 |
| 2 | ჩიხურა | 3 | 3 | 0 | 0 | 6 | 2 | 9 |
| 3 | ტორპედო | 3 | 2 | 0 | 1 | 4 | 3 | 6 |
| 4 | მეტალურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 2 | 1 | 6 |
| 5 | სიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 5 | 4 | 5 |
| 6 | ზუგდიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 4 |
| 7 | ზესტაფონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3 | 3 | 3 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 2 | 3 |
| 9 | მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 4 | 3 |
| 10 | კოლხეთი 1913 | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 |
| 11 | დინამო (ბთ) | 3 | 0 | 1 | 2 | 2 | 7 | 1 |
| 12 | დილა | 3 | 0 | 0 | 3 | 4 | 7 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჯიქია (სიონი) | 3 |
| ჩისკო (დინამო) | 2 |
| ალვარო (დინამო) | 2 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 2 |
| კუტალია (ზუგდიდი) | 2 |
| ვაწაძე (დილა) | 2 |
| გოცირიძე (ჩიხურა) | 2 |

### ამონარიდი რეგლამენტიდან

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

### IV ტური

**2 სექტემბერი, კვირა**

მერანი-ჩიხურა
სიონი -ვიტ ჯორჯია
ზუგდიდი-დილა
დინამო (თბ)-კოლხეთი
მეტალურგი-ტორპედო
ზესტაფონი-დინამო (ბთ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტური

# ზესტაფონში ქიაბრიშვილის პერიოდი სრულდება

## ოფიციალურ დასტურს დღეისთვის უნდა ველოდოთ



გიორგი ქიაბრიშვილი

**გიორგი ქიაბრიშვილი**, დღეიდან, ალბათ, "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება - ამის შესახებ კლუბის ოფიციალურ განცხადებას დღეისთვის უნდა ველოდოთ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ "ზესტაფონს" თავკაცი შეეცვლება.

თუმცა ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული ის შემთხვევა არ არის, როცა მწვრთნელი თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს. "ლელოსთან" საუბარში ქიაბრიშვილმა განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს და კლუბის გადაწყვეტილების მოლოდინშია.

*"ვფიქრობ, არ მაქვს იმის საფუძველი, რომ თანამდებობიდან გადავდგე. "ზესტაფონში" მუშაობის სურვილი ნამდვილად არ დამიკარგავს და ძალიან მინდა, გუნდის სამომავლო წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას დაველოდები – თუ "ზესტაფონმა" ჩემთან თანამშრომლობა არ ისურვა, გული დამწყდება, მაგრამ მის უდიდეს ქომაგად დავრჩები. გული კი თანამდებობის დაკარგვის გამო კი არ დამწყდება, არამედ იმიტომ, რომ ასეთ კარგ ფეხბურთელებთან მუშაობის საშუალება აღარ მომეცემა"*, - გვითხრა ქიაბრიშვილმა.

მან "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ზუსტად წელინადი გაატარა. **გია გეგუჩაძის** "ტორპედოში" წასვლის შემდეგ ფეროელებმა მისი თანამდებობა მის ახალგაზრდა ასისტენტ ქიაბრიშვილს ანდეს, რომლის ხელმძღვანელობითაც "ზესტაფონმა" გასული სეზონის პირველი ნახევარი შთამბეჭდავად ჩაატარა, არაერთი მატჩი ეფექტურად მოიგო და ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობდა. უმაღლესი ლიგის საგაზაფხულო ეტაპზე "ზესტაფონი" ძველებურად ეფექტური ველარ იყო, მაგრამ ქიაბრიშვილის ხელმძღვანელობით ტიტულის შენარჩუნება მაინც შეძლო.

ზაფხულში "ზესტაფონი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, რასაც ჩემპიონთა ლიგაზე გაახალგაზრდავებული გუნდის აზერბაიჯანულ "ნეფთჩისთან" მწარე მარცხი მოჰყვა. როგორც ჩანს, კლუბის ხელძღვანელობა მწვრთნელის შეცვლაზე სწორედ ამან და საქართველოს ჩემპიონატში სუსტმა სტარტმა (სამ მატჩში ერთი გამარჯვება და ორი მარცხი) დააფიქრა.

შევიტყვეთ ისიც, რომ უმაღლესი ლიგის უახლოეს ტურებში "ზესტაფონს" ქიაბრიშვილის თანაშემწე **გიორგი ყიფიანი** შეცვლის, თუმცა მისი მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ნაკლებად სავარაუდოა. საქართველოს ჩემპიონს, ალბათ, სხვა სპეციალისტი ჩაიბარებს.

ქიაბრიშვილის ზესტაფონურ კარიერას უახლოეს დღეებში, ამ ინფორმაციის ოფიციალურად დადასტურების შემდეგ შევაფასებთ, ახლა კი მოკლედ იმის თქმა შეიძლება, რომ მან იმერულ კლუბში საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული პერიოდი გაატარა – სხვა საქმეა, რომ მთავარ მიზანს, ევროთასების ჯგუფში შესვლას ვერ მიაღწია, თუმცა ახალგაზრდა სპეციალისტისთვის საქართველოს ჩემპიონობაც აქტივში ჩასაწერი ფაქტია.

ქართული მედიისთვის იშვიათია მისნაირი გახსნილი, ყურადღებიანი და თავმდაბალი რესპონდენტი – გიორგისთან ერთი მცირე საუბარიც კი საკმარისია იმისთვის, რომ მისი პიროვნული თვისებებით მოიხიბლო. ქართულ საფეხბურთო სამყაროში კი, სადაც წესიერების დეფიციტია, ეს ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# თურანმა ქართველებზე უარი თქვა

აზერბაიჯანული პრესის ინფორმაციით, თოვუზის "თურანმა" თანამშრომლობა ხუთ ფეხბურთელთან გაწყვიტა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ასკერ აბდულაევმა** ორ აზერბაიჯანელთან ერთად, უარი სამი ქართველის სამსახურზეც განაცხადა. ესენი არიან **ალექსანდრე გოგობერიშვილი, გოგი ფიფია** და **ლევან ჩხეტიანი**.

გოგობერიშვილი "თურანის" ღირსებას წინა სეზონშიც იცავდა, ფიფია და ჩხეტიანი კი ამ გუნდს მიმდინარე სეზონის დასაწყისში შეუერთდნენ და ცოტა უცნაურია, მათზე უარი ასეთ მოკლე დროში რომ თქვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# დვალი რედინგში მოსწონთ

## ახვლედიანს ვიტესში ელიან

უკვე კვირაზე მეტია, რაც ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი **ლაშა დვალი** ინგლისში იმყოფება და პრემიერლიგის "რედინგში" აკვირდებიან.

ჩვენი ინფორმაციით, **ლაშა დვალსა** და "რედინგს" შორის მოლაპარაკება ქართველმა მენეჯერებმა წამოიწყეს, ინგლისელები კი დაინტერესდნენ.

ლაშა "რედინგის" 18-წლამდელების გუნდში ვარჯიშობდა და საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა, რომელსაც "რედინგის" მთავარი მწვრთნელი **ბრაიან მაკდერმოტი** თავის ასისტენტებთან ერთად დაესწრო და 17 წლის ქართველი ბიჭი ძალიან მოეწონა.

ეგაა, შეხვედრისას ლაშა მცირედ დაშავდა, სამი დღე ვერ ვარჯიშობდა და საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მაკდერმოტმა დატოვა — სამედიცინო შემოწმების ტესტი უნდა გაიაროს. ეს უკვე ბევრს ნიშნავს. მართალია, დვალი ჯერ 17 წლის არის და "რედინგი" ხელშეკრულებას ვერ გაუფორმებს, მაგრამ სამედიცინო შემოწმებას კონტრაქტის გაფორმებამდე უტარებენ.



ლაშა დვალი

მიზეზი? კლუბში იციან, რომ დვალს კიევის "დინამო" კონტრაქტს სთავაზობს, სადაც ტესტირებაზე ერთი თვისწა წინათ იმყოფებოდა. უკრაინელებზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ თავად ევროპაში თამაში სურს, შანსიც გაჩნდა და რატომაც არა? ინგლისელებს კი სურთ დარწმუნდნენ, რომ სპორტულ მონაცემებთან ერთად, ჯანმრთელობაც ხელს უწყობს. თუმცა, ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ამასობაში, ზუგდიდის "ბაიადან" წამოვიდა **ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი მოთამაშე, აწ უკვე 19-წლამდელთა შემტევი ნახევარმცველი **ნიკა ახვლედიანი.**

ჩვენი ინფორმაციით, ახვდელიანს **ნიკა ქანტურიასთან** და **დავით ჯიქიასთან** ერთად შესთავაზეს გერმანულ "ფრაიბურგში" გასინჯვა, მანამდე ავსტრიულ "რედ ბულში" იყო, მაგრამ საბოლოოდ საქართველოში დაბრუნდა.

ახალგაზრდა ფეხბურთელს ჰოლანდიის ერედივიზიონის კლუბში, **მერაბ ჟორდანიას** არნემის "ვიტესში" იწვევენ და თუ სავიზო პრობლემები მოგვარდა, ახვლედიანს არნემში ორ კვირაში ელიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპის ლიგა. მარიტიმუ



# მარიტიმუ შიდა ასპარეზზე დაუმარცხებელია

გორის "დილამ" საქართველოს ჩემპიონატი ზედიზედ სამი მარცხით დაიწყო, მის მეტოქე "მარიტიმუს" კი საქმე გაცილებით უკეთესად აქვს – მადეირელებმა პორტუგალიის ლიგის საწყის ორ ტურში ოთხ ქულას მოუყარეს თავი.

მეორე ტურში "მარიტიმუმ" "ჟილ ვისენტეს" უმასპინძლა და ფრედ, 0:0 ითამაშა. "დილას" მოწინააღმდეგის შემადგენლობა ოპტიმალურთან მიახლოებული იყო და ასე გამოიყურებოდა: **სალინი, ბრიგელი, ჟოაო გილერმე, რობერჟი, რუბენი, როდრიგო ანტონიო (68. რაფაელ მირანდა), ჟოაო ლუისი, დანილო დიასი (77. სამი), ფიდელისი, ელდონი, გონსალო აბრეუ (57. დავიდ სიმაო).**

შეგახსენებთ, ევროპის ლიგის პლეიოფში "დილასა" და "მარიტიმუს" შორის საპასუხო მატჩი თბილისში, "მიხეილ მესხზე" 30 აგვისტოს გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# ინტერი დინამოს თბილისში ესპარინგება

შარშანდელის მსგავსად, ბაქოს "ინტერი" რამდენიმედღიან შეკრებას თბილისში ახლაც გამართავს. **კახა ცხადაძის** გუნდი სანაკრებო პაუზას გამოიყენებს, აქ 30 აგვისტოს ჩამოვა და 9 სექტემბრამდე დარჩება. "ინტერი" თბილისში ორ საკონტროლო მატჩს გამართავს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ 8 სექტემბერს ბაქოელები, რომელთა ღირსებასაც **გიორგი ლომაია, ვალერი აბრამიძე, ილია კანდელაკი, გიორგი ადამია, ბაჩანა ცხადაძე** და **რევაზ თევდორაძე** იცავენ, საკონტროლო მატჩს თბილისის "დინამოსთან" ჩაატარებენ.

მანამდე კი, სავარაუდოდ, 4 სექტემბერს, "ინტერი" კიდევ ერთ ქართულ კლუბთან მოსინჯავს ძალებს.

საქართველოს ჩემპიონატი 2 სექტემბერს განახლდება, აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში კი 26 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე შესვენებაა გამოცხადებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# მარცვალაძე შემოდგომამდე ვერ ითამაშებს?

სამწუხარო ამბავია, **ოთარ მარცვალაძე** ზამთრამდე ვერ ითამაშებს. რუსეთის პრემიერლიგის "კრასნოდართან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ 27 წლის ქართველი თავდამსხმელის დაბრუნება ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგამ" მოიწადინა, მაგრამ ეს თავად ფეხბურთელმა არ ისურვა.

მიზეზი "ვოლგას" თავკაცების გაუგებარი ქმედებებია. ნიჟნელები შარშან გაშვებულ ქართველ ფეხბურთელებს (**ლაშა სალუქვაძე, გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა**) კუთვნილ ხელფასებს დღემდე არ უხდიან. ცხადია, **ოთარ მარცვალაძეს** ასეთ ვითარებაში დაბრუნება არ სურს.

არასწორი გამოდგა რუსული მედიის ვარაუდი, რომ მოსკოვის ოლქის "ხიმკის" მთავარ მწვრთნელად დანიშნული **ომარ თეთრაძე** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ყოფილ ფეხბურთელებს, მათ შორის მარცვალაძეს მიიწვევდა. ოთარი ვერც გორის "დილაში" ვიხილეთ, იმიტომ, რომ საზარდული აწუხებს, გერმანიაში გაემგზავრა, ოპერაციას გაიკეთებს და მინიმუმ შემოდგომამდე, ვერც ნაკრებს დაეხმარება და ვერ რომელიმე კლუბში ჩაირიცხება.



ოთარ მარცვალაძე

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# როდის აშენდება ბათუმში სტადიონი?

## გია გურული: გაძლიერება გვჭირდება

თბილისისა და ბათუმის დინამოელთა შეხვედრამ გამოაჩინა, რომ ბათუმელებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ გამოცდილება აკლიათ და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გაძლიერება სჭირდებათ.



ბათუმის დინამოს მთავარი მწვრთნელი გია გურული

### ჩვენ თანადგომა გვჭირდება

"რომელ გუნდსაც ბევრი ფული აქვს, მოახერხა და ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა. მაგალითად, საჩხერის "ჩიხურა" აიღეთ: გუნდი პირველი ლიგიდან გადმოვიდა, მაგრამ ძალიან კარგი მოთამაშეები დაიმატა და აშკარად გაძლიერდა. გაძლიერება ბათუმის "დინამოსაც" სჭირდება, მაგრამ ჯერ ბიუჯეტი ამის საშუალებას არ გვაძლევს. ბევრი გამოუცდელი ახალგაზრდა გვყავს, რომელთაც დიდი შრომა და პრაქტიკა სჭირდებათ, უმაღლესი ლიგის გუნდებს კონკურენცია რომ გავუწიოთ. მხოლოდ ფიზიკური მომზადების პრობლემას ვერ ვხედავ, ამით არავის ჩამოვრჩებით. ახლა ლვოვის "კარპატის" მეკარე და თავდამსხმელი დაგვემატებიან და, იმედია, გაგვაძლიერებენ. მეტი ახალწვეული აღარ გვეყოლება. ყველაფერს ფინანსები სჭირდება. მალე ახალი ბიუჯეტი დაგვიმტკიცდება და იმედია, სასურველი შემადგენლობის შეკრებას მერე მაინც მოვახერხებთ" - ამბობს ბათუმის "დინამოს" მწვრთნელთა კონსულტანტი **გია გურული**.

საუკეთესო შემთხვევაში, ბათუმის "დინამო" ქობულეთის სტადიონზე მეტოქეებს 15 სექტემბრის შემდეგ თუ მიიღებს. გურულს ესეც აწუხებს და სხვა სადარდებელიც გაგვიმხილა: *"ცხადია, ხელს ისიც გვიშლის, რომ საკუთარ სტადიონზე ვერ ვთამაშობთ. გამიხარდა, ზესტაფონში თბილისის "დინამოსთან" შეხვედრაზე ბევრი მაყურებელი რომ ჩამოვიდა და ემოციურად გვიჭერდა მხარს. მაგრამ საკუთარ სტადიონზე, ან ქობულეთში ბევრად მეტი გულშემატკივარი მოვიდოდა და ეს სადავო არც არის. საკუთარი ტრიბუნების მხარდაჭერას ჯერ მოკლებულები ვართ. გვითხრეს, რომ ქობულეთში სტადიონზე აუცილებელი სამუშაოები 15 სექტემბერს დასრულდებაო, ვნახოთ. აჭარაში მეშვიდე ტურში თუ ვითამაშებთ, როდესაც ბევრი რამ გარკვეული იქნება. სამწუხაროდ, დახმარების ნაცვლად, ბევრს ჩვენი ჩაძირვა სურს. ვამბობთ, ერთმანეთს მხარში დავუდგეთო, მაგრამ რად გინდა... ყველას მივმართეთ თხოვნით, რომ ამ პერიოდში მის სტადიონზე გაგვეცვალა ქობულეთში დაგეგმილი საშინაო შეხვედრები, მაგრამ მხოლოდ ბოლნისის "სიონი" დაგვთანხმდა.*

*ცალკე სალაპარაკო არის ის, რაც მოედანზე ხდება. როდესაც ჩემი მოთამაშეები დაშავდნენ, თბილისის "დინამომ" თამაში არ გააჩერა. მე კი ასეთ რამეს ფეხბურთელებს კატეგორიულად ვუკრძალავ. მსაჯობას რაც შეეხება, ამ თემაზე არაფერს ვლაპარაკობ, მაგრამ თუ ბოლო ტურში რაიმე შეცდომა მოუვიდათ, ყველამ საკუთარ თავს დააბრალოს".*

### ისევ სტადიონზე

კიდევ ერთი პრობლემა, რაც ბათუმის "დინამოს" და მთელ ჩვენ საფეხბურთო სამყაროს აწუხებს: რაც უნდა უცნაური იყოს, საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ საფეხბურთო კუთხეში დღეისათვის ერთი სტადიონიც ვერ აკმაყოფილებს უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს და ბათუმელები თამაშებს... ზესტაფონში მასპინძლობენ.

**ასლან აბაშიძემ** ბათუმში მშვენიერი სტადიონი კი ააშენა, რომელიც, ერთი ხანობა, ერთადერთი უეფას მოთხოვნების შესაფერისი საფეხბურთო არენა იყო საქართველოში. მაგრამ დასავლეთი ტრიბუნა უხარისხოდ აშენდა, გასახდელებში წყალი ჩადიოდა, დაანგრიეს და ხელახლა წამოჭიმვა დააპირეს, 2006 წელს კი ახლის აშენების იმედად მთლიანად დაანგრიეს და მის ადგილზე ბულვარი დააგრძელეს. მერე ზედ "დინამოს" სავარჯიშო მოედანიც (ე.წ "ბე-ენ-ზეს" სტადიონი) მიაყოლეს და ადგილობრივი გუნდები ანგისას, ადლიისა და ქობულეთის სტადიონების იმედად დარჩნენ.

დღემდე მთელი საქართველოს საფეხბურთო სამყარო ელის, როდის დაიწყება მრავალტენდერგამოცხადებული ბათუმის სტადიონის მშენებლობა. სამწუხაროდ, უამრავი დაპირების, პროექტისა და იმედის მიუხედავად, 2006 წლიდან დღემდე, ეს საფეხბურთო კუთხე სტანდარტული სტადიონის გარეშეა დარჩენილი. ბათუმს ვინ ჩივის, "დინამო" სტუმრებს ქობულეთშიც ვერ იღებს. "შუქურას" სტადიონზე ძველი, ბუნებრივი მოედანი აილეს და ხელოვნური საფარი დააგეს, მაგრამ ჯერ არც კეთილმოწყობილი ტრიბუნებია და არც გასახდელები. არადა, ფეხბურთის ფედერაცია უმაღლესი ლიგის მატჩების ჩატარების ლიცენზიას მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც გასცემს.

უცნაურია, რომ სტადიონების რეკონსტრუქცია ხშირად სეზონის დაწყებას ემთხვევა და არა დასრულებას. ასე მოხდა ფოთში, გორში, ახლა უკვე ქობულეთსა და ლანჩხუთში. გაუგებარია, სეზონის დაწყებამდე რას ველოდებით.

სამი წლის წინ ჰოლანდიელების მონაწილეობით შედგა მაკეტი, რომ ბათუმის გარეუბანში, ანგისის დასახლებაში 12 ათას მაყურებელზე გათვლილ სტადიონთან ერთად, 8 ჰექტარზე სავარჯიშო მოედანი, სავაჭრო ცენტრი და 100-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი 2011 წელს წამოიჭიმებოდა. მაგრამ პროექტი ღირებულების გამო (40 მილიონ დოლარი) დაიწუნეს.

იყო დაპირება, რომ ქობულეთის სტადიონი ზაფხულში განახლდებოდა, ბათუმში კი ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა 2012 წელს დაიწყებოდა. დრო გადის და ჯერ ამ ძვირად ღირებული პროექტის განხორციელება არ დაწყებულა. ქობულეთშიც მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას და გასახდელების აშენებას დიდი დრო არ სჭირდება. არადა, საქმე ადგილიდან ვერ დაიძრა - როდის მოესწრება ქობულეთის სტადიონის განახლება? ამ კითხვით ბათუმის "დინამოს" დირექტორს, **სულხან გოგიბერიძეს** მივმართეთ.

*"სტადიონის რეკონსტრუქცია დაწყებულია, მაგრამ მასზე სახელმწიფოს თანხა იხარჯება და საამისოდ, გარკვეული პროცედურების დაცვა აუცილებელია. ლაპარაკია ტენდერზე, რომელიც სწრაფად ვერ ჩატარდება. მაგალითად, პროექტირების ტენდერი ორჯერ ჩაიშალა, მაგრამ მშენებლები დაგვპირდნენ, რომ სტადიონი 15 სექტემბრისთვის მზად იქნება, მაქსიმუმ, სექტემბრის ბოლოსთვის"* – ამბობს გოგიბერიძე.

აჭარაში ბევრი ცნობილი ფეხბურთელი გაიზარდა - **რევაზ ჩელებაძე, ვახტანგ ქორიძე, მალხაზ მახარაძე, ალექსანდრე კანტიძე** (ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი), **გელა შეყილაძე, პაატა მაჭუტაძე, ლევან ხომერიკი, შალვა აფხაზავა, კახა მჟავანაძე, ჯანო ანანიძე, გუჯა რუხაია**. სტადიონის აშენებამდე უნდა შევეგუოთ, რომ ამ რეგიონის პოტენციალი სრული დატვირთვით ვერ ამოქმედდება.

მხოლოდ იმედს ვიტოვებთ, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

სიონი



# არმაზ ჯელაძე: ეს ჩემთვის დიდი პატივი და გამოწვევაა

გუშინ გაცნობეთ, რომ "სიონის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ხვიჩა ქასრაშვილმა დატოვა. ისიც შეგატყობინეთ, რომ გამოთავისუფლებულ თანამდებობაზე დანიშვნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი არმაზ ჯელაძე იყო და ეს მოლოდინი გამართლდა – იგი ბოლნისელთა ახალი თავკაცია.

სამწვრთნელო კარიერა ჯელაძემ ამბროლაურის "რაჭაში" დაიწყო, რასაც რუსთავის "მეტალურგში" გატარებული წლები მოჰყვა, სადაც უმეტესად, მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა, ბოლო პერიოდში კი "მეტალურგის" დუბლშემადგენლობას წვრთნიდა. იგი სამწვრთნელო A კატეგორიის ლიცენზიის მფლობელია.

ჯელაძე ახალ პოსტზე მუშაობას დიდი ენთუზიაზმით იწყებს და იმედოვნებს, რომ მისი ეს ნაბიჯი გამართლებული აღმოჩნდება.

"ლელო" "სიონის" ახალ მთავარ მწვრთნელთან ინტერვიუს გთავაზობთ.

**- უპირველესად, "სიონის" თავკაცად დანიშვნას გილოცავთ. მოულოდნელი იყო თქვენთვის ეს შეთავაზება?**

- მადლობა მილოცვისთვის. ნამდვილად მოულოდნელი იყო, როცა "სიონიდან" დამიკავშირდნენ და გუნდის მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს. გადაწყვეტილების მიღებამდე დიდხანს არ მიფიქრია. ჩემთვის "სიონში" მუშაობა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, დიდი პატივი და გამოწვევაა და შევეცდები, ჩემი შრომით ბოლნისელი გულშემატკივრები გავახარო და მათი პატივისცემა დავიმსახურო. კლუბის ხელმძღვანელობას კი ასეთი ნდობისთვის დიდ მადლობას ვუხდი.

**- როგორ კონდიციებში დაგხვდათ გუნდი და რისი გაკეთება მიგაჩნიათ საჭიროდ წარმატებისთვის?**

- აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჩემი წინამორბედის, ხვიჩა ქასრაშვილის ღვაწლი – მან კარგად მომზადებული გუნდი დამახვედრა. დანარჩენი კი უკვე ჩემზე, მთლიან სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებზეა დამოკიდებული – ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ სეზონი მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

**- როგორია თქვენი სამწვრთნელო გემოვნება?**

- გუნდს ყოველი მატჩისთვის დავალებებს იმის მიხედვით მივცემ, თუ როგორ მეტოქესთან გვექნება საქმე. ზოგადად კი შემტევი და კომბინაციური ფეხბურთის მიმდევარი ვარ და მიმაჩნია, რომ ქართველებს წარმატებას სწორედ ამ სტილში თამაში მოგვიტანს.

**- "სიონში" ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებთანაც საერთო ენის გამონახვა, ალბათ, არ უნდა გაგიჭირდეთ.**

- დიახ, ისინი, ფაქტობრივად, ჩემი თაობის წარმომადგენლები არიან და მათი თანადგომის დიდი იმედი მაქვს. "სიონის" ყველა ფეხბურთელმა თბილად მიმიღო. ყველას კარგად გვესმის, რომ წარმატების მისაღწევად პროფესიონალიზმი და დისციპლინა აუცილებელია. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ. ნამდვილად გვაქვს ის რესურსი, რაც კარგი შედეგების მიღწევისთვისა არის აუცილებელი.

**- კლუბის ხელმძღვანელობამ კონკრეტული მიზანი თუ დაგისახათ?**

- ამ სეზონში ჩვენი პროგრამა-მინიმუმი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, თუმცა იმის პოტენციალიც გვაქვს, რომ ჩემპიონატის ექვს საუკეთესო გუნდში მოსახვედრად ვიბრძოლოთ.

**- უახლოეს დღეებში "სიონის" შემადგენლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- შემადგენლობის კარდინალური გადახალისება ნამდვილად არ იგეგმება, მაგრამ თუ უახლოეს პერიოდში საინტერესო ფეხბურთელების დამატების საშუალება მოგვეცა, მათზე უარს ნამდვილად არ ვიტყვით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონი



გია გრიგალავა

# განსხვავებული წარმატებით

გუშინ რუსეთის პრემიერლიგაში **გია გრიგალავას** "ვოლგა" კრასნოდარში "ყუბანს" ესტუმრა და 2:6 განადგურდა. ქართველმა მცველმა მოედანზე 90 წუთი გაატარა.

თურქეთის სუპერლიგის საწყის ორ ტურში **შოთა არველაძის** "ქაისერისფორი" ორჯერ დამარცხდა. გუშინ "ქაისერი", რომლის შემადგენლობაშიც **ზურაბ ხიზანიშვილმა** სრულად ითამაშა, სტუმრად "ანთალიასფორთან" 0:3 განადგურდა.

დანიაში "ორჰუსმა" გასვლით მატჩში "ჰორსენსი" 4:1 გაანადგურა. **დავით დევდარიანი** "ორჰუსის" სასტარტო შემადგენლობაში გაამწესეს და 64-ე წუთზე შეცვალეს, **დავით სხირტლაძე** კი სათადარიგო იყო.

კვლავ ტრავმირებულია საფრანგეთის ლიგა 2-ის ბინადარ "ლე მანის" მეკარე **გიორგი მაკარიძე**, რომლის არყოფნაშიც მისი გუნდი სტუმრად "ნანტთან" 0:1 დამარცხდა.

აზერბაიჯანში "ბაქომ" "ქიაფაზს" უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა. **გიორგი ფოფხაძე** მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 77-ე წუთზე შეცვალეს.

ლიტვაში "ბანგამ" შინ "ტაურასი" 4:0 გაანადგურა. **გიორგი ალავერდაშვილმა** ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. I ტურის შეჯამება

# მარკო და მარიო დაძმობილდნენ

ბუნდესლიგის პირველი ტურის მთავარი გმირები, რა თქმა უნდა, მოქმედი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ და ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის გამო ალესილი „ბაიერნი“ იყვნენ. ორივე ფავორიტმა მოიგო: „ბორუსიამ“ გაძლიერებული „ვერდერი“ მარკო როისისა და მარიო გიოტცეს კლასით დაამარცხა, რეკორდმაისტერმა კი დებიუტანტი „ფიურტი“ გაანადგურა. თუმცა პირველ ტურში სხვაც ბევრი იყო საინტერესო: „მაინცისა“ და „ფრაიბურგის“ მწვრთნელებმა თომას ტუხელმა და კრისტიან შტრაიხმა ერთმანეთს სანიმუშოდ შეუღრინეს, თუმცა წყენა მალევე დაივიწყეს.



დორტმუნდის ბორუსიას ორი იმედი: მარკო როისი და მარიო გიოტცე

## მწვრთნელები ფოკუსში

„ფრაიბურგისა“ და „მაინცის“ მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ამ შედეგით ორივე გუნდი მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩა - ყოველ შემთხვევაში პირველ ტურში უშუალო კონკურენტთან ალებული ქულა არც „ფრაიბურგისთვისაა“ კატასტროფა და, მით უმეტეს, არც „მაინცისთვის“, რომელიც სტუმრად თამაშობდა. თუ ასეა (და ფაქტია, რომ ასეა), მაშინ რა აჩხუბებდათ მწვრთნელებს? როგორც ჩანს, **თომას ტუხელი** და **კრისტიან შტრაიხი** ერთმანეთს ვერ იტანენ.

თომასმა და კრისტიანმა ერთმანეთისკენ საფინალო სასტვენის შემდეგ, გასახდელებისკენ მიმავალ დერეფანში გაიწიეს. ტუხელმა შტრაიხს ჩვენი გერმანელი კოლეგების თვალწინ დაუღრიალა: *„არ მესმის, რატომ გამოიწიე ჩემკენ თამაშის დროს ათჯერ და რატომ მიღერებდი მუშტს? ახლა გიკვირს, რატომ არ ჩამოგართვი ხელი?“*

„ფრაიბურგის“ თავკაცი მატჩის დროს მართლაც ძალიან გამომწვევად იქცეოდა, ზუსტად არ დაგვითვლია, მაგრამ ათჯერ თუ არა, რვაჯერ მაინც შეტრიალდა მაინცელთა სათადარიგოთა სკამისკენ და მუშტების ქნევას მოჰყვა. თუმცა მათი დაპირისპირება გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ თამაშამდე დაიწყო. შტრაიხმა თქვა, ტუხელი ის ადამიანია, რომელთანაც ყველაზე დიდი სიამოვნებით გავმართავ დისკუსიას ფეხბურთის შესახებო და იქვე დაამატა, თომასი ამავდროულად ის კაცია, ვისთანაც ჩხუბი ყველაზე ადრე მომივაო. ტუხელის პასუხმაც არ დააგვიანა: *„მეც ვფიქრობ, რომ სწორედ კრისტიან შტრაიხია ისეთი კოლეგა, რომელთანაც ყველაზე ადვილად მომივა კამათი, რომელიც, შეიძლება, ჩხუბში გადაიზარდოს.“*

საბედნიეროდ, ტუხელსაც და შტრაიხსაც ვაჟკაცური წაკიდება სცოდნიათ: მათი დაპირისპირება კატაკომბებში დაიწყო და იქვე დამთავრდა - მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მომხდარზე ხმა არც ერთს არ ამოუღია: სწრაფად იჩხუბეს და სწრაფადვე შერიგდნენ.

## ბეკენბაუერმა ცეცხლზე ნავთი დაასხა

გერმანიაში ყველამ იცის, რომ ეს სეზონი **იუპ ჰაინკესისთვის** „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელია. მიუხედავად ამისა, მიუნხენური გრანდის პრეზიდენტ **ული ჰიონესის** სიტყვებს, გაისად სავარაუდოდ ახალი დამრიგებელი გვეყოლებაო, მაინც უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. არადა, ორიოდე დღის წინ თავად 67 წლის სპეციალისტმაც თქვა, ამ სეზონის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყებაო, მაგრამ როგორც გამოჩნდა, ეს იმიტომ უთქვამს, რომ შაბათს სიტყვები უკან წაელო - გამორიცხული სულაც არ არის, რომ „ბაიერნთან“ ახალი კონტრაქტი გავაგრძელოო, განაცხადა „დონ იუპმა“ „ფიურტთან“ 3:0-ზე მოგებული მატჩის შემდეგ.

ამასობაში, „ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** ცეცხლზე ნავთი დაასხა და ჟურნალ „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, თუ ხალხი სულ **მათიას ზამერზე** ილაპარაკებს, ცხადია, ჰაინკესი დაიბოლმებაო. ფაქტია, რომ ზამერის სპორტულ დირექტორად დანიშვნის შემდეგ, გერმანიაში ჰაინკესზე ხშირად ზამერის გვარს ახსენებენ, რამაც ჰაინკესი, შესაძლოა, მართლაც ცუდ ხასიათზე დააყენოს. სხვა საქმეა, რამდენად აისახება ეს გუნდზე. მთელ ამ ორომტრიალში ბოლო სიტყვა, რა თქმა უნდა, ისევ ული ჰიონესის იყო: *„მოვითხოვ ამ დისკუსიის დაუყოვნებლივ დასრულებას! გაისად ახალი მწვრთნელი გვეყოლება, თუ გუნდს ისევ იუპ ჰაინკესი გაუძღვება, ამას გაზაფხულზე გადავწყვეტთ!“* - დასჭექა ულიმ.

...ეს ოფიციალურად, ისე კი ყველამ იცის, რომ ჰაინკესისთვის ეს სეზონი მართლაც უკანასკნელია.

## როისი: მესი არაფერ შუაშია

წინა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი **მარკო როისი** პირველი ტურის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო. „გლადბახიდან“ „დორტმუნდში“ 17 მილიონ ევროდ გაყიდულმა შემტევმა ნახევარმცველმა „ვერდერთან“ ანგარიში გახსნა, მაგრამ როისი მთავარი სალაპარაკო თემა მხოლოდ ამ გოლის გამო არ გამხდარა. სხვათა შორის, არც მხოლოდ იმის გამო, გოლი **ლიონელ მესის** სტილში, ცისკენ აღმართული საჩვენებელი თითებით რომ აღნიშნა. 23 წლის ფეხბურთელმა „ვერდერთან“ შესანიშნავად ითამაშა და დაამტკიცა, რომ გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს ტყუილად არ უწოდებენ.

კითხვაზე, რამდენი მილოცვა მიიღო „ვერდერის“ კარში გატანილი გოლის გამო, როისმა „ბილდის“ ჟურნალისტს მოკრძალებულად უპასუხა, არ დამითვლია, მაგრამ ბევრმა მომილოცაო. შემდეგ იყო კითხვა გოლის ზეიმთან დაკავშირებით – როისის პასუხი: *„იმ მომენტში ლეო მესი ნამდვილად არ გამხსენებია. უბრალოდ, „დორტმუნდის“ ფორმით ბუნდესლიგაში პირველი გოლის გატანამ ძალიან გამახარა, გოლის ასე აღნიშვნა კი სპონტანური გადაწყვეტილება იყო.“*

ასეა, თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ამ გოლის და ზოგადად ამ უქმეების შემდეგ, საფეხბურთო გერმანიამ მარკო როისი კიდევ უფრო მეტად დააფასა. ეს იმიტომ, რომ ბევრი ფიქრობდა, „გლადბახში“ ყველაფერი იდეალურად კი გამოსდიოდა, მაგრამ „დორტმუნდში“ ადაპტირება გაუჭირდებაო. როგორც ხედავთ, როისი უკვე სრულფასოვანი დორტმუნდელია, „ვესტფალენშტადიონის“ პუბლიკა კი მოუთმენლად ელის იმ მომენტს, როცა **მარიო გიოტცე** ფორმაში შევა - ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება (პარასკევს გიოტცემ შეცვლაზე ითამაშა და „ვერდერის“ კარში გამარჯვების გოლი გაიტანა)...


პირველი ტურის გმირი: დანი შაჰინი (ფორტუნა)

### I ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

| ფეხბურთელი | კლ. | სიმბ. |
|---|---|---|
| 1. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 1 |
| 2. დანტე | ბაიერნი | 1 |
| 3. ტიმ კლოზე | ნიურნბერგი | 1 |
| 4. ქარიმ ბელარაბი | ლევერკუზენი | 1 |
| 5. ნალდო | ვოლფსბურგი | 1 |
| 6. ლუის ჰოლტბი | შალკე | 1 |
| 7. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 1 |
| 8. ხუან არანგო | ბორუსია (მ) | 1 |
| 9. დანი შაჰინი | ფორტუნა | 1 |
| 10. არიენ რობენი | ბაიერნი | 1 |
| 11. იან შლაუდრაფი | ჰანოვერი | 1 |

„ნიურნბერგის“ მეკარე **რაფაელ შეფერმა** ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრა პირველ რიგში იმის გამო დაიმსახურა, რომ ფრანკები გაშვებული გოლისგან ორჯერ იხსნა. შეფერმა ე.წ. „მკვდარი ბურთები“ მოიგერია და გარდა ამისა, მთელი მატჩის განმავლობაში ერთობ თავდაჯერებული იყო. „ნიურნბერგიდან“ სიმბოლურში მცველი **ტიმ კლოზეც** შევიყვანეთ, რომელიც შესანიშნავი იყო როგორც პოზიციური დაცვისას, ისე კონკრეტულ ორთაბრძოლებში. მის გარდა, პირველი ტურის სიმბოლური ნაკრების დაცვაში ორი ბრაზილიელია: „ბაიერნის“ უკანახაზელი **დანტე** და „ვოლფსბურგის“ დაცვის ახალი ბურჯი **ნალდო**. ამ უკანასკნელმა „შტუტგარტთან“ 1:0-ზე მოგებულ მატჩში ორთაბრძოლების 70 პროცენტი (!) მოიგო და ყველა მოვალეობა იდეალურად შეასრულა. რაც შეეხება დანტეს: „ბაიერნის“ ახალწვეული უჩვეულოდ თავდაჯერებული გახლდათ – პირველ რიგში მისი სწორი თამაშის დამსახურებაა ის, რომ „ფიურტის“ ფეხბურთელებმა **მანუელ ნოიერის** კართან საგოლე მომენტები ვერ შექმნეს.

„ბაიერნმა“ „ფიურტთან“ კარგად მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშა და ამ 45 წუთში რეკორდმაისტერიდან საუკეთესო **არიენ რობენი** გახლდათ, რომელიც ასევე სიმბოლურში მოხვედრის ღირსად მივიჩნიეთ. ჰოლანდიელმა მიუნხენური გრანდის თითქმის ყველა სახიფათო იერიშში მიიღო მონაწილეობა და რაც მთავარია, ეგოისტურად ერთხელაც არ მოქცეულა.

„შალკეში“ (ჰანოვერთან 2:2) ყველაზე აქტიური და გამორჩეული ფეხბურთელი **ლუის ჰოლტბი** იყო, რომელმაც მეორე ტაიმში ჯერ საგოლე პასი მიითვალა, მერე კი გოლიც შეაგდო. ასეთივე შედეგი დააფიქსირა „გლადბახის“ ლიდერმა **ხუან არანგომ**, ხოლო „ლევერკუზენში“, **ქარიმ ბელარაბის** სახით ახალი გმირი გამოჩნდა. ეს უკანასკნელი „ბაიერის“ ღირსებას შარშანაც იცავდა, მაგრამ იშვიათად ენდობოდნენ, ზაფხულში კი იმდენი ქნა, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდრა და პირველივე ტურში დაამტკიცა, რომ მისი ნდობა შეიძლება: წარმოშობით მაროკოელი ნახევარმცველი ლევერკუზენელთა თითქმის ყველა შეტევას მშვენივრად ხელმძღვანელობდა და თუ „ფარმაცევტებმა“ მომენტები შექმნეს, უმეტესობა ბელარაბის დამსახურებაა.

### ტურის საუკეთესო ფეხბურთელი

**დანი შაჰინი (ფორტუნა)**

ტურის გმირად კი დიუსელდორფის „ფორტუნას“ თავდამსხმელ **დანი შაჰინს** ვასახელებთ, რომელიც „აუგსბურგთან“ მატჩში მოედანზე მე-60 წუთიდან გამოჩნდა და დიუსელდორფულ კლუბს ორი, ტექნიკურად სრულყოფილად შესრულებული გოლით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ზედაზენი

## მომხმარებელი „ზედაზენს“ ირჩევს

### ლუდის ცალკეულ ბრენდებს შორის „ზედაზენი“ ლიდერობს

„ილიაუნი ბიზნეს რევიუმ“ თბილისის ლუდის ბაზარს კვლევა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც გაირკვა რომ, ლუდის ცალკეულ ბრენდებს შორის მომხმარებელი ყველაზე ხშირად „ზედაზენს“ ირჩევს. კვლევის შედეგები კი ასე გადანაწილდა: „ზედაზენი“ — 20,8%; „მთიელი“ — 15,2%; „ნატახტარი“ — 14,4%; „ბალტიკა“ — 6,9%; „ჰეინეკენი“ — 4,8%; „ეფესი“ — 4,6%; „ქარვა“ — 3,8%; „ბავარია“ — 3,3%; „ექსტრა“ — 3%; „კასტელი“ — 2,5%; „კასრის“ — 1.9%; „ყაზბეგი“ — 1.6%; „ზეკარი“ — 0,9%.

ალსანიშნავია, რომ კვლევა 20-27 ივლისის პერიოდში თბილისის 11 უბანში და სუპერმარკეტების ქსელ „პოპულის“ 14 ობიექტში ჩატარდა. კვლევაში აღინუსხა 976 ადამიანის არჩევანი თბილისის მასშტაბით. კვლევა არ ითვალისწინებს გაყიდვების რაოდენობას, დაფიქსირებულია მხოლოდ მომხმარებლის არჩევანი.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ლუდს უპირატესად მამაკაცები ყიდულობენ. გამოკითხულთაგან 75%-ის შემთხვევაში ლუდი მამაკაცებმა შეიძინეს, 15%-ის შემთხვევაში ქალბატონებმა.

ლუდის ბაზრის მოცულობა წელიწადში დაახლოებით 100 მლნ. ლიტრს უტოლდება, რაც ნიშნავს რომ საქართველოში საშუალოდ 1 ადამიანი წელიწადში 22 ლიტრს ლუდს მოიხმარს. სხვათა შორის ამ მაჩვენებლით ლიდერი ევროპული ქვეყნები არიან — ირლანდია, გერმანია და ჩეხეთი (160-180 ლიტრი 1 სულზე წელიწადში);

ამ ეტაპზე საქართველოს ბაზარზე 4 ადგილობრივი მსხვილი მწარმოებელი ოპერირებს, რომელთა წილები გაყიდვების მიხედვით შემდეგნაირია: „ნატახტარი“ — 60%; „ზედაზენი“ — 20%; „კასტელი“ — 6%; „ყაზბეგი“ — 2%; იმპორტირებული ლუდის წილი დაახლოებით 12%-ია.

2012 წლის გაზაფხულიდან საქართველოს ბაზარზე ახალი ლუდის მწარმოებელი „ზედაზენი“ შემოვიდა, რომელმაც ბაზრის სტრუქტურა მკვეთრად შეცვალა და როგორც კვლევა ცხადყოფს მომხმარებლის მოწონება და არჩევანი დაიმსახურა.

ალსანიშნავია, რომ კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრის მკვლევარების მიერ მომზადდა.

R

● მილანი

# მილანელოზე მარცხს არ იმჩნევენ

## კასანო გალიანის დაეტაკა

იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე ხშირად დღეს "მილანზე" იწერება და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ლომბარდიულმა გრანდმა სეზონი მოულოდნელი მარცხით დაიწყო... ბუნებრივია, გაცილებით საინტერესო თემაა, რატომ წააგო "როსონერიმ" საკუთარ კედლებში "სამპდორიასთან", ვიდრე თუნდაც "ინტერის" გამარჯვება "პესკარასთან", ან იმავე "იუვენტუსის" მიერ "პარმას" დაბრიყვება; მოკლედ, "სან სიროს" სენსაციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა ესეც რომ არა, "მილანის" გარშემო ისედაც ბევრი საინტერესო რამ ხდება...

### მარცხი სამპასთან

"სამპდორიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, **მასიმილიანო ალეგრიმ** შემდეგი განაცხადა: *"თამაშს ვაკონტროლებდით, მუდმივად მეტოქის ნახევარზე ვიყავით, მაგრამ გოლი ვერაფრით გავიტანეთ; ბოლოს, აქეთ გავუშვით და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. მარცხი ყოველთვის უსიამოვნოა, მაგრამ ტრაგედიას არ ვქმნით და წინ ვიყურებით. ჩემი პირადი აზრით, "სამპდორიასთან" უბრალოდ არ გაგვიმართლა და ქულებიც ამად დავკარგეთ. ვიცი, ჩემს სიტყვებს ბევრი არ დაეთანხმება, მაგრამ პოზიციის შეცვლას არ ვაპირებ. სწორი მიმართულებით მივდივართ და ალებულ გეზს არ უნდა გადავუხვიოთ, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული".*

მარცხი არც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** შეიმჩნია და "გაძეტა დელო სპორტს" შემდეგი განუცხადა: *"ასეთი თამაში ბევრჯერ გვინახავს, ერთი გუნდი უტევს, მომენტს კი მეორე იყენებს და იგებს... არსებულ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და წინ გავიხედოთ. ზაფხულში გუნდი გვარიანად გადახალისდა და ბუნებრივია, რომ ფეხბურთელებს ადაპტაციისთვის გარკვეული დრო სჭირდებათ – ამიტომ, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ და მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ. დარწმუნებული ვარ, რომ "როსონერი" მხოლოდ სკუდეტოსთვის იბრძოლებს".*

### კაკას საგა

გუშინდელ ნომერშიც აღვნიშნეთ, რომ არის შანსი, "სამპდორიასთან" მარცხმა "მილანს" კარგი სამსახური გაუწიოს; ეს იმ შემთხვევაში, თუ კლუბის მესვეურები არცთუ სახარბიელო რეალობას თვალს გაუსწორებენ და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, გუნდს გააძლიერებენ. "გაძეტასთან" საუბარში, გალიანი ამ თემასაც შეეხო და განსაკუთრებული ყურადღება 30 წლის **კაკას** შესაძლო დაბრუნებაზე გაამახვილა:

*"კაკას თაობაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკება და იმედი მაქვს, შეთანხმებამდე მივალთ; კაკა ის ფეხბურთელია, რომელიც წინა ხაზს გვარიანად გააძლიერებს და მის გადასაბირებლად ყველაფერს გავაკეთებთ. მადრიდელები მასთან განშორების წინააღმდეგნი არ არიან, რაც მაიმედებს. პრობლემა უფრო ხელფასის ოდენობაშია, მაგრამ ამ საკითხსაც მოევლება. რაც მთავარია, თავად კაკა დაინტერესებულია "მილანში" გადმობარგებით და ეს პირად საუბარში არაერთხელ განმიცხადა. ვნახოთ, მოლაპარაკების პროცესი გრძელდება და ყველა კითხვას მალე გაეცემა პასუხი. ამასთან, სხვა მიმართულებითაც ვმუშაობთ, რომლის შესახებაც დღეს ვერაფერს გეტყვით - სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და გააქტიურება გვმართებს – ჩვენი მიზანი ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელის გადაბირებაა".*



ერთ დროს ადრიანო გალიანის და ანტონიო კასანოს შორის სრული იდილია იყო

### კასანო VS გალიანი

"ინტერში" გადასულმა **ანტონიო კასანომ** ადრიანო გალიანი გააკრიტიკა და მას მატყუარა უწოდა – თუმცა, ჯობია სიტყვა თავად ანტონიოს გადავცეთ: *"ძალიან კმაყოფილი ვარ იმ პერიოდით, რომელიც "მილანში" გავატარე, მაგრამ დადგა დრო, ახალი გამოწვევა მივიღო. "ინტერში" თამაში გამიადვილდა და იმედი მაქვს, ყოველთვის ასე იქნება. ისე, სიმართლე გითხრათ, "მილანის" მესვეურებზე ნაწყენი ვარ, რადგან გუნდიდან ისე გამიშვეს, რომ ჩვენ შორის ერთი საუბარიც არ შემდგარა. ადრიანო გალიანი მატყუარა აღმოჩნდა, სულ სხვა რამეს მპირდებოდა და რეალობა სხვაგვარი გამოდგა; დავკონკრეტდე? – ამ სეზონიდან, "როსონერისთან" კონტრაქტი უნდა გამეხანგრძლივებინა, თანაც გაუმჯობესებული პირობებით, მაგრამ საბოლოო ჯამში, "ინტერში" აღმოვჩნდი. "ნერაძურიში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ ეგ უკვე მეორე საკითხია".*

ბუნებრივია, ჟურნალისტები ამ საკითხზე გალიანისაც დაეკითხნენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *"ასეთი ბრალდება პირველად წამიყენეს და იმედია, უკანასკნელად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გუნდში საკადრო საკითხებს მასიმილიანო ალეგრი წყვეტს და ამჯერადაც მისი კარნახით ვიმოქმედეთ. ადრიანო გალიანი ვერაფრით გადაწყვეტს, ვინ უნდა დარჩეს გუნდში და ვის უნდა გაუხანგრძლივდეს ხელშეკრულება – პირველ რიგში, ეს მასიმილიანო ალეგრის პრეროგატივაა".*

● ლაციო


ეროვნული ბიბლიოთეკა

ერნანესი

# ერნანესის ახალი კონტრაქტი

"გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს დღეებში "ლაციოს" მესვეურები **ერნანესთან** ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენ, რომელიც სამ წელზე იქნება გათვლილი და ამით ყველანაირ სპეკულაციას მოეღება ბოლო, რომელიც მის სხვა გუნდში შესაძლო გადაბარგებასთან არის დაკავშირებული. ერთი ხანობა, "ბიანკოჩელესტეს" მესვეურებსა და ფეხბურთელს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, 27 წლის ბრაზილიელის მომავალი კი "ინტერს" დაუკავშირეს, თუმცა ბოლო ცნობებით, მხარეები კომპრომისზე წავიდნენ და ყველაფერი მოგვარდა. ამასთან დაკავშირებით კომენტარი "ლაციოს" სპორტულმა დირექტორმა **იგლი ტარემ** გააკეთა:

*"ერნანესი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მასთან განშორება აზრადაც არ მოგვსვლია. იყო გარკვეული სირთულეები მოლაპარაკებების დროს, მაგრამ ყველაფერი მოგვარდა და უახლოეს დღეებში, ხელშეკრულებას გავაფორმებთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ასეც მოხდებოდა, რადგან შეთანხმების მიღწევით ორივე მხარე დაინტერესებული იყო. ბრაზილიელი სიმბოლოა ჩვენი გუნდის და მართალია ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ კარიერა სწორედ "ბიანკოჩელესტეში" უნდა დაასრულოს".*

თავად ერნანესმაც კმაყოფილება გამოთქვა მიღწეული შეთანხმებით და დასძინა, "ლაციოდან" აბარგება ჩემს ინტერესებში არ შედისო. ჯერჯერობით არ ხმაურდება ხელშეკრულების ფინანსური დეტალები, მაგრამ ალბათ რომაული გუნდის გულშემატკივრებისთვის ეს ნაკლებად საინტერესოა. აქვე დავძინოთ, რომ ერნანესის გადაბირება ამ ზაფხულს "ინტერის" პრეზიდენტმა დაისახა მიზნად და როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომაელ კოლეგასთან შეთანხმებასაც მიაღწია – თუმცა, როგორც გამოჩნდა, რეალობა სხვაგვარი ყოფილა. ძნელი სათქმელია, რატომ გაასწრო მოვლენებს წინ **მასიმო მორატიმ.**

● პალერმო

# ძამპარინიმ გუნდი გაამხნევა

სერია A-ს პირველ ტურში, "პალერმომ" "ნაპოლის" უმასპინძლა და სასტიკი მარცხი იწვნია; წაგებაცაა და წაგებაც – სიცილიელებმა ნეაპოლელებისგან სამი უპასუხო გოლი მიიღეს და მეტოქეს პრაქტიკულად ვერაფერი დაუპირისპირეს. ასეთ დროს, კლუბის პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი,** როგორც წესი, წყობიდან გამოდის, მაგრამ ამჯერად, სულ სხვაგვარად მოიქცა - გუნდის ვარჯიშს დაესწრო და წვრთნის შემდეგ, ფეხბურთელებს სათითაოდ გაესაუბრა; "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, გაამხნევა ისინი და ჟურნალისტებს შთაბეჭდილებები გაუზიარა:

*„საჭიროდ ჩავთვალე, რომ ფეხბურთელებს პირადად შევხვედროდი და გამემხნევებინა ისინი, რადგან „ნაპოლისთან" განცდილი მარცხის შემდეგ, გულგატეხილნი ჩანდნენ. მართალია, მძიმე მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ტური იყო და დაკარგული ქულების ასანაზღაურებლად საკმარისზე მეტი დრო გვექნება. „ნაპოლისთან" ცუდად სულაც გვითამაშია, თუმცა მეორე ტაიმში დაღლა დაგვეტყო და გოლიც ბლომად გავუშვით. ეს ტრავმათა ეპიდემიის ბრალიცაა, რომლის გამოც ჯუზეპე სანინოს მოკლე სათადარიგო სკამი აქვს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



● ტრავმა

# ჯოვინკომ ორი კვირა გამოიწერა

## სებას კლუბსაც დააკლდება და ნაკრებსაც



სებასტიან ჯოვინკო

გასული სეზონი "იუვენტუსმა" ისე ჩაატარა, რომ ტრავმებს პრაქტიკულად არ შეუწუხებია, ახალი ჩემპიონატი კი ამ მხრივ, არცთუ სახარბიელოდ დაიწყო... იტალიური სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "პარმასთან" პაექრობისას **სებასტიან ჯოვინკომ** მყესი დაიზიანა და მინიმუმ ორი კვირის განმავლობაში, უქმობა მოუწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ 25 წლის შემტევს სერია A-ს მომდევნო ტურის გამოტოვება მოუწევს და შესაბამისად, "უდინეზეს" წინააღმდეგ თავის გუნდს ვერ დაეხმარება; ასევე, სება იტალიის ნაკრებს გამოაკლდება, რომელსაც მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ორი შეხვედრის გამართვა უწევს. მართალია, **ჩეზარე პრანდელის** შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, მაგრამ ის კი განაცხადა, ჯოვინკოს გამოძახებას ვაპირებდი და მისმა ტრავმამ გული დამწყვიტაო – მოვუსმინოთ სენიორ ჩეზარეს:

*"ჯოვინკო დაშავდა, რამაც ძალიან დამამწუხრა, რადგან უახლოეს მატჩებში მის გამოყენებას ვაპირებდი. სება იტალიური ფეხბურთის აწმყოა და ვფიქრობ, რომ ეროვნულ ნაკრებში რეგულარულად უნდა იასპარეზოს. იმედი მაქვს, ტრავმას მალე მოიშუშებს, რადგან მის კარიერაში გადამწყვეტი ეტაპი დგას – "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში იმკვიდრებს ადგილს, რაც პირადად მე, ძალიან მახარებს".*

ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური. შეჯამება

# გაწვდენილი ხელი ენფილდზე



ლივერპულის ლეგენდას წამოდგომაში სიტის ფანები შველიან

## ნაკლებად მტკივნეული დანაკარგი

"ლივერპულისთვის" შინ ნათამაშები ფრე მტკივნეული რამ არის. მით უმეტეს შარშანდელს მერე, როცა ფანები "ენფილდზე" რეკორდული რაოდენობის ყაიმების მოწმენი გახდნენ. თუმცა იმასაც გააჩნია, თუ ვისთან აილებ ამ კინკილა ქულას. "ევერტონი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებია. "წითლები" ამას ვერასოდეს შეეგუებიან. რაც შეეხება "სიტის"... ჰო, "სიტისთან" კიდევ შეიძლება, რადგან ემოციები ნაკლებია და გულის ტკენაც. თანაც მერსისაიდელებმა იციან, რომ არც "სიტის" ფანებს აქვთ განსაკუთრებული ზიზღი მათი კლუბის მიმართ, როგორც ზემოთ ხსენებულ კლუბებს. ამის დასტური იყო კიდევ ბოლო ტურში სტუმართა ფანების რეაქცია, როცა პაპარაცების რიგებში შეჭრილსა და წაქცეულ **სტივენ ჯერარდს** "ქალაქელებმა" გაუწოდეს ხელი წამოსაყენებლად. განა მავანი "ალისფერი ეშმაკი" ამას იკადრებს? უმალ ხელს მოიჭრის და "ლივერპულის" კაპიტანს კი არ გაუწვდის.

სწორედ ასეთი "ნაკლებად მტკივნეული მარცხი" შეაჯამა მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე **ბრენდან როჯერსმა**, სადაც აღნიშნა, რომ მისი გუნდი მოგებას იმსახურებდა. *"მგონია, რომ დღეს უკეთესმა გუნდმა ვერ მოიგო. ჩვენ მოქმედი ჩემპიონის წინაალმდეგ დიდებული ფეხბურთი ვითამაშეთ. მოხარული ვარ, რომ ჩემი ბიჭები მატჩს ასე მოეკიდნენ. ტაქტიკური თვალსაზრისით გამართულად ვიმუშავეთ. პირველი 10 წუთი დაზვერვას მოვანდომეთ, მერე კი ბურთი მივითვისეთ და მომენტების შექმნას შევუდექით. მეტოქემ კი ამაზე პრაქტიკულად ვერაფრით გვიპასუხა. სამწუხაროა, რომ მხოლოდ ქულას დავჯერდით. ნამდვილად იმედგაცრუებულები ვართ. მეორე მხრივ მოედანზე ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო, რომელთაც მშვენივრად წარმოაჩინეს თავი. ეს კი სამომავლოდ ოპტიმისტურად განგვაწყობს. ერთ-ერთი ვისაც ვგულისხმობ, რაჰიმ სტერლინგია. ვაღიარებ, ძირითადში მისი დაყენება იოლი გადასაწყვეტი არ იყო, მაგრამ როცა აქ მოვედი ვთქვი, რომ არავითარ შემთხვევაში არ მივანიჭებდი უპირატესობას ფეხბურთელს ვარსკვლავური სტატუსის ან დამსახურებების გამო. ძირითადში მხოლოდ ის ფეხბურთელი მოხვდება, ვინც მზად იქნება. რაჰიმმა ბოლო პერიოდში გაგვაოცა. ის ყოველდღე სულ უფრო უკეთ თამაშობს. მისი ასაკის კვალობაზე (17 წლისაა. რედ), პრემიერლიგის ჩემპიონთან უკეთესად თამაში უბრალოდ წარმოუდგენელია".*

## ჯერ ყველაფერი არ არის

**რობინ ვან პერსიმ** "იუნაიტედში" პირველად დაიწყო თამაში სასტარტოში, პირველად მოახერხა თავის გამოჩენა და თანაც როგორი გოლით?! ჰოლანდიელის გოლები ზუსტად ის არის, რაც "ეშმაკებს" ყველაზე მეტად სჭირდებათ, რადგან... მიზეზი ალბათ უკვე იცით - **უეინ რუნის უგო როდალიეგასთან** შეტაკების მერე ბარძაყის სერიოზული დაზიანება აქვს და როგორც ამბობენ, ყველაზე ადრე, გუნდს ერთ თვეში დაუბრუნდება. გუშინდელმა "ტელეგრაფმა" კიდევ უფრო ცუდი პროგნოზი დაწერა – "შრეკი" ოქტომბრის ბოლოსთვის თუ იქნება ჯანზე. მანკუნიანელთა სპორტულმა ექიმმა **მაიკ ლუზემორმა** დაადასტურა, რომ ფეხბურთელს უბრალოდ კანი კი არ აქვს გაჭრილი, არამედ კუნთიც აქვს სიგრძივ გაგლეჯილი. თუმცა იმავე ლუზერმორის თქმით, უეინის დაბრუნების კონკრეტულ თარიღზე ლაპარაკი ახლა შეუძლებელია. აი, რა თქვა თამაშის შეფასებისას სერ ალექს ფერგიუსონმა: "დღეს "იუნაიტედის" ორივე მხარე ვიხილეთ. თამაშზე სრული კონტროლის დაწესების შემდეგ საშინელი შეცდომა დავუშვით და მეორე გოლი გავუშვით. მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს. ეს ალბათ გარკვეულწილად კონცენტრაციის დაკარგვის ბრალია. "ფულჰემმა" მოახერხა თამაშის ტემპის კონტროლი. ეს არც მიკვირს, რადგან ლონდონელებს შემადგენლობაში ზეგამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს".

**სუონსი–ვესტ ჰემი 3:0**

საუკეთესო: მიგელ მიჩუ (სუონსი)

**ასტონ ვილა–ევერტონი 1:3**

საუკეთესო: მარუან ფელაინი (ევერტონი)

**მანჩესტერ იუნ–ფულჰემი 3:2**

საუკეთესო: მლადენ პეტრიჩი (ფულჰემი)

**ნორვიჩი–ქუინზ პარკი 1:1**

საუკეთესო: არმან ტრაორე (ქუინზ პარკი)

**საუთჰემპტონი–უიგანი 0:2**

საუკეთესო: რიკი ლამბერტი (საუთჰემპტონი)

**ტოტენჰემი–ვესტ ბრომვიჩი 1:1**

საუკეთესო: ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი)

**ჩელსი–ნიუკასლი 2:0**

საუკეთესო: ედენ აზარი (ჩელსი)

**ლივერპული–მანჩესტერ სიტი 2:2**

საუკეთესო: კარლოს ტევესი (მანჩესტერ სიტი)

**სტოკ სიტი–არსენალი 0:0**

საუკეთესო: სანტი კასორლა (არსენალი)

**სანდერლენდი-რედინგი გადაიდო**

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით:

| | |
|---|---|
| 1. ბრანისლავ ივანოვიჩი (ჩელსი) | 85 |
| 2. მიგელ მიჩუ (სუონსი) | 81 |
| 3. ედენ აზარი (ჩელსი) | 77 |
| 4. ფერნანდო ტორესი (ჩელსი) | 70 |
| 4. დემიენ დაფი (ფულჰემი) | 63 |

**ზოგადი სტატისტიკა ლიგისთვის:**

20 მატჩი
14 მოგება
6 ფრე
13 მშრალად შენახული მატჩი
53 გოლი
236 ზუსტი დარტყმა კარში
182 აცილება
321 ფეხბურთელი
55 ეროვნების მოთამაშე
0 ჰეთთრიკი
46 ყვითელი ბარათი
3 წითელი ბარათი
724 017 ფანი ტრიბუნებზე

**ტურის გმირი**

**ედენ აზარი (ჩელსი)**

ვინც "ჩელსი"-"ნიუკასლის" შეხვედრას თვალი მიადევნა, ალბათ აღარ გაუჩნდება შეკითხვა, თუ რამდენ ხანს მოანდომებს პრემიერლიგასთან ადაპტაციას 21 წლის **ედენ აზარი**. ბელგიელმა ეს ეტაპი უმტკივნეულოდ გაიარა და ამის დასტური სამ შეხვედრაში გატანილი გოლი, ოთხი საგოლე გადაცემა და ორი მოპოვებული პენალტია. "კაჭკაჭებთან" შეხვედრაში ის მთელი თამაში დაუღალავად მოძრაობდა, ანაწილებდა ბურთს, მწვავე პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. მან **ტიმ კრულს** პენალტიც გაუტანა და **ფერნანდო ტორესს** მშვენიერი პასიც დაუგორა დასარტყმელად.

**ტურის მწვრთნელი**

**დევიდ მოიესი (ევერტონი)**

"ევერტონმა" პირველ ტურში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა "მანჩესტერ იუნაიტედთან". ის, რომ "ლურჯებს" მარტო "გუდისონ პარკზე" არ გამოსდით კარგი თამაში, მათ ბირმინგემშიც დაამტკიცეს. ლივერპულელებმა "ვილა პარკზე" ყველას უჩვენეს, რომ წელს მათთვის ანგარიშის გაწევა ნამდვილად ღირს. შოტლანდიელი მოიესი კი უკვე 10 წელია ამტკიცებს, რომ პრემიერლიგაში შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებშიც შეიძლება შედეგის მიღწევა.

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

ლელოს ვერსია

**მიხელ ვორმი** (სუონსი) – **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი), **ბრანისლავ ივანოვიჩი** (ჩელსი), **ფილ იაგიელკა** (ევერტონი), **არმან ტრაორე** (ქუინზ პარკი) – **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **ედენ აზარი** (ჩელსი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **ნათან დაიერი** (სუონსი) – **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. სუონსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 3. ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5. სიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 6. ფულჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-3 | 3 |
| 7. იუნაიტედი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. უიგანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 9. ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 10. ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| 11. სტოკ სიტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12. არსენალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| 13. სანდერლენდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14. ტოტენჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. რედინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 16. ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 17. ნორვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 18. ქუინზ პარკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| 19. საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| 20. ასტონ ვილა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – მიგელ მიჩუ (სუონსი), 2-2 – მლადენ პეტრიჩი, დემიენ დაფი (ორივე ფულჰემი), ნათან დაიერი (სუონსი), მარუან ფელაინი (ევერტონი), ბრანისლავ ივანოვიჩი, ფერნანდო ტორესი, ფრენკ ლემპარდი (ყველა ჩელსი)

**ასისტენტები:** 4 - ედენ აზარი (ჩელსი), 3 - უეინ რუტლეჯი (სუონსი), 2 - ბრაიან რუისი (ფულჰემი).

**მომდევნო ტური:**

**1 სექტემბერი:** ვესტ ჰემი-ფულჰემი, სუონსი-სანდერლენდი, ტოტენჰემი-ნორვიჩი, ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი, უიგანი-სტოკ სიტი, მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი.

**2 სექტემბერი:** ლივერპული-არსენალი, ნიუკასლი-ასტონ ვილა, საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნაიტედი.


რობინ ვან პერსის გოლები ოლდ ტრეფორდს ისე სჭირდება როგორც არასდროს

---

ამბები

## [illegible]

ინგლისის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ მაიკლ ოუენს "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი ივნისის ბოლოს დაუმთავრდა და მას მერე ახალ კლუბს ეძებს. იყო ლაპარაკი მის გადასვლაზე ჩემპიონშიპის კლუბებში, რაზეც ვეტერანმა თავად თქვა უარი. შემდეგ "ევერტონის" დაინტერესებაზეც იწერებოდა, მაგრამ "ლივერპულის" აღზრდილმა "გუდისონ პარკზე" გადასვლაც იუარა. ყოველივეს მიუხედავად, მას იმედი არ დაუკარგავს, რომ 31 აგვისტომდე შესაფერის კლუბს მაინც მონახავს კარიერის გასაგრძელებლად. *"მოლაპარაკებებს რამდენიმე კლუბთან ერთდროულად ვაწარმოებ და ჩემს გადაწყვეტილებას მხოლოდ მას მერე გაგაცნობთ, როცა უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იქნება,"* – განუცხადა ოუენმა გაზეთ "ინდეპენდენტს".

## დაფი ნაკრებიდან წავიდა

"ფულჰემის" 33 წლის შემტევი ნახევარმცველის **დამიენ დაფის** თქმით, მართალია მას ძალიან გაუჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ იძულებული გახდა, მაინც გადაედგა ეს ნაბიჯი – ის ასრულებს სანაკრებო კარიერას. ამიერიდან ვეტერანი ირლანდიელი მხოლოდ საკლუბო კარიერაზე აპირებს კონცენტრირებას. *"ყოველთვის უსაშველოდ ამაყი გახლდით, რომ ვიყავი ირლანდიელი და ჩემს ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე წარმოვადგენდი. ნაკრებიდან წასვლა ძალიან მიჭირს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს მთავარ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის ძალიან დიდ პატივს ვცემ. ირლანდიის ნაკრებთან ერთად არაერთი სასიამოვნო წუთი მაქვს განცდილი, რისთვისაც მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ყველას, ვისთანაც კი რამე მაკავშირებდა ამ გუნდში. მადლობა გულშემატკივარს, რადგან მათთან ერთად გატარებული 14 წელიწადი განუმეორებელი იყო,"* – განაცხადა დაფმა.

1998 წლიდან მოყოლებული, ფეხბურთელმა "მწვანეების" შემადგენლობაში 100 თამაშში 8 გოლი გაიტანა.

## სიტის მიდი-მოდი

"სქაი სპორტსის" ცნობით, "მანჩესტერ სიტი" ახლოსა "სუონსიდან" 6,2 მილიონ ფუნტად 23 წლის **სკოტ სინკლერის** შეძენასთან. ახალგაზრდა გარემარბს თავიდანვე არ დაუმალავს, რომ "ეტიჰადზე" გადასვლის პერსპექტივით მოიხიბლა. თავდაპირველად "გედების" თავკაცი **მიკაელ ლაუდრუპი** უარზე იყო, აცხადებდა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ შეიძლება რამე შეიცვალოსო. დანიელის მოლოდინი არ გამართლდა. ფეხბურთელმა პოზიცია არ შეიცვალა. მეტიც, მწვრთნელმა ბოლო ტურში ის "ვესტ ჰემთან" განაცხადშიც კი არ შეიყვანა.

აქვე გეტყვით, რომ "ეტიჰადზე" სინკლერის გარდა შესაძლოა კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოჩნდეს. ეს არის "ბენფიკას" 25 წლის ესპანელი საყრდენი ნახევარმცველი **ხავი გარსია**. მანჩესტერელები მზად არიან, "არწივებს" საკომპენსაციოდ 30 მილიონი ევრო გადაუხადონ.

დაბოლოს, "სიტის" საბოლოოდ დაალწია თავი 31 წლის პარაგვაელმა **როკე სანტა კრუსმა**. ფეხბურთელმა ესპანურ "მალაგასთან" 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გარიგების ღირებულებაზე ესპანურ და ინგლისურ პრესაში ვერაფერს მივაკვლიეთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ზიზილაშვილმა**

● რეალი

# როგორც იქნა: მოდრიჩი რეალში გადავიდა

## ფაბიო კოენტრაო დიდ შარშია


ლუკა მოდრიჩმა ესპანური სატრანსფერო სეზონის რეკორდი დაამყარა

**სეზონის** მთავარი ტრანსფერი ცხვა, ცხვა და „რეალისთვის" ყველაზე რთულ ხანაში გამოცხვა - ლა ლიგა **ჟოზე მოურინიოს** ბიჭებმა საშინლად დაიწყეს (ფრე და წაგება „ხეტაფესთან"!) და წააგეს სუპერთასის პირველი თამაში „ბარსელონასთან" - ხორვატი პლეიმეიქერი **ლუკა მოდრიჩი** ამიერიდან „სამეფო კლუბში" ითამაშებს, გუშინ ტრანსფერი ოფიციალურად ორივე მხარემ დაადასტურა. ჯერ კიდევ ევრო-2012-ის წინ დაწყებული საგა, როგორც იქნა, დასრულდა - გუშინ ლუკამ მადრიდის კლინიკაში სრული სამედიცინო შემოწმება გაიარა.

მაშინ, როცა ფანებსა და ჟურნალისტებს „რეალის" სამარცხვინო წაგებაზე უნდა ემსჯელათ, მათ ახალი სალაპარაკო გაუჩნდათ. „რეალმა" ლუკა მოდრიჩის სანაცვლოდ 42 მილიონი ევრო გადაიხადა (თანხა ოფიციალური არაა და ზოგიერთი წყარო გაცილებით ნაკლებს ასახელებს). სხვათა შორის, ეს ევროპული სატრანსფერო სეზონის რეკორდის მხოლოდ გამეორებაა, რადგან „პარი სენ ჟერმენმა" ამდენივე გაიღო **ტიაგო სილვას** შესაძენად. „ტოტენჰემმა" 26 წლის ზადარელი 2008 წელს იყიდა ზაგრების „დინამოდან". მაშინ ნახევარმცველში ლონდონელებმა 21 მილიონ ევრომდე გადაიხადეს, რაც კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირი ტრანსფერის (**დარენ ბენტი** - 2007 წ.) გამეორებაა.

ლუკას კონტრაქტი „რეალთან" 5-წლიანია, ის კვირაში 150 ათას ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემის" ბოსს, **დანიელ ლევის** ზუსტად ერთი წლის წინათ მოდრიჩის გაყიდვა უფრო ძვირადაც შეეძლო - „ჩელსი" ხორვატის სანაცვლოდ 50 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ მაშინ ლუკა „უაით ჰართ ლეინზე" შეინარჩუნეს, თუმცა ცხადი იყო, რომ დიდხანს ეს შეუძლებელი იქნებოდა. ახლა **ანდრე ვილაშ-ბოაშს** მოდრიჩის შემცვლელი ესაჭიროება (**ჟოაო მოუტინიო, მუსა დემბელე**), მაგრამ ეს უკვე ესპანურ გრანდს აღარ ანაღვლებს. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში მოდრიჩმა სრული ბოიკოტი გამოაცხადა, გუნდს ამერიკულ შეკრებაზე არ გაჰყვა და არც ჯგუფთან ერთად ვარჯიშობდა, მას ცალსახად ჰქონდა გადაწყვეტილი მადრიდში წასვლა. პარასკევს ის ჩიგველში, „ტოტენჰემის" ბაზაზე მივიდა და კლუბის სტაფსა და ფეხბურთელებს გამოემშვიდობა. ტრანსფერი, როგორც აღმოჩნდა, სატრანსფერო ფასის გამო ფერხდებოდა - „ტოტენჰემი" საერთო ჯამში (ბონუსების ჩათვლით) 46 მილიონ ევროს ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ 42-ს დაჰყაბულდა. სხვათა შორის, მოდრიჩი „რეალის" პირველი და ალბათ უკანასკნელი შენაძენია ამ ზაფხულს.

### კაკა დღეს წავა?

როგორც კი ჟოზე მოურინიომ განუცხადა **კაკას**, რომ მას სასტარტოში თამაშს ვერ ჰპირდებოდა და „ხეტაფესთან" მატჩის განაცხადშიც არ შეიყვანა, ცხადი გახდა, რომ ბრაზილიელის დღეები „რეალში" დათვლილია. მოდრიჩის ტრანსფერის შემდეგ კი 30 წლის ნახევარმცველის შანსები ნულის ტოლი გახდა. „გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ დღეს მადრიდში „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ჩავა, კაკას ტრანსფერის საბოლოოდ შესათანხმებლად.

კაკა „რეალში" 2010 წელს გადავიდა 68 მილიონ ევროდ! „რიკიმ" 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა „სამეფო კლუბთან", თუმცა ვერ გაამართლა - სასტარტოში მოხვედრა უჭირდა, ხშირად ილებდა ტრავმას და „მილანელი კაკას" აჩრდილი იყო. გალიანის მისია მხოლოდ ბრაზილიელით არ შემოიფარგლება, „მილანს" ფრანგი ჩამშლელი **ლასანა დიარაც** სურს. იტალიურმა გრანდმა სეზონი ცუდად დაიწყო, ის აშკარად საჭიროებს გაძლიერებას.

სხვათა შორის, ფაქტია, რომ „რეალმა" ბალასტი იოლად მოიცილა - **ფერნანდო გაგო** (3,5 მილიონი ევრო) და **სერხიო კანალესი** (7,5) „ვალენსიაში" გადავიდნენ, **ჰამით ალთინთოპი** - „გალათასარაიში" (3,5), **როისტონ დრენტე** „ბეშიქთაშში" (თავისუფალი აგენტი) წავიდა, ჩამოფასებული **ნური შაჰინი** კი - „ლივერპულში" (იჯარა, 5 მილიონად გამოსყიდვის უფლებით).

### რას გვიკეთებ, შე ნაბიჭვარო...

„ხეტაფესთან" 1:2 დასრულებული მატჩის 88-ე წუთზე მსაჯმა **პერეს ლასამ** პორტუგალიელი **ფაბიო კოენტრაო** გააძევა, რომელიც არც კი თამაშობდა - სათადარიგოთა სკამზე იჯდა. როგორც ჩანს, პორტუგალიელს ცუდად აქვს საქმე - პერეს ლასამ პატაკში შემდეგი დაწერა: „*კოენტრაომ ასე მომმართა - რას გვიკეთებ, შე ნაბიჭვარო*". „რეალის" მცველს 4-დან 12 მატჩამდე დისკვალიფიკაცია ელის.

### მოუმ, სამართლიანიაო

მარცხის შემდეგ ჟოზე მოურინიომ პრესკონფერენციაზე შემდეგი განაცხადა:

„*პირველ ტაიმშიც კი, რომელიც მოვიგეთ, კარგად არ გვითამაშია. მეორე ტაიმიც ანალოგიურად ვითამაშეთ, ოღონდ ამჯერად დავისაჯეთ. მარცხს დიდად არ განვიცდი, რადგან შედეგი სამართლიანია. „ვალენსიასთან" ვერ მოვიგეთ, თუმცა კი ვიმსახურებდით, ამ მატჩში კი მოიგო იმ გუნდმა, რომელიც ამას მეტად იმსახურებდა. „ბარსელონასთან" 5-ქულიანი ჩამორჩენა უკვე სერიოზულია, სეზონის სტარტი აშკარად არ გამოგვივიდა.*

*მარცხს კონკრეტულად ვერაფერს დავაბრალებ, უფრო ჩვენ ვითამაშეთ სუსტად, ვიდრე მეტოქემ - კარგად. ჩემი ფეხბურთელები ამბობენ, რომ „ხეტაფეს" მეორე გოლისას კოლუნგამ ხელით ითამაშა. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ კოენტრაოს მსაჯისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. გუნდის პრობლემებზე ჟურნალისტებთან ლაპარაკს არ ვაპირებ, ამას თავად ფეხბურთელებს ვეტყვი. ბოლო დროს ბევრი ვიდეო გავაანალიზეთ და ბურთის კონტროლს დიდი დრო დავუთმეთ, მაგრამ ერთი ინდივიდუალური შეცდომა წყალში ყრის შრომას*".

### რონი, მთავარი პრობლემა

და მაინც, რა მოხდა „ხეტაფესთან"? ფაქტია, „რეალი" იგებდა და, თითქოს, აკონტროლებდა სიტუაციას. მეორე ტაიმში კი ჯერ **ვალერამ**, შემდეგ კი კონტრშეტევაზე **ბარადამ კასილიასის** კარი ორჯერ დალაშქრეს. მეორე ეპიზოდში უკიდურესად ცუდად იმოქმედა **რაულ ალბიოლმა**, რომელმაც სრულფასოვნად ვერ შეცვალა **პეპე**. ასევე მოისუსტებდნენ **ალვარო არბელოა, ლასანა დიარა, ქარიმ ბენზემა**, ვერც **ანხელ დი მარიაა** სათანადო ფორმაში, **მესუთ იოზილი** კი რაღაც ინერტულია. აუგი მხოლოდ **გონსალო იგუაინზე** (2 გოლი 2 მატჩში) და **ჩაბი ალონსოზე** არ გვეთქმის.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა მაინც **კრიშტიანო რონალდოს** თამაშია. პორტუგალიელმა თავადაც თქვა, რომ ფორმაში არაა. სტატისტიკას მოვიშველიებთ - მადეირელმა „ვალენსიასთან" და „ხეტაფესთან" ჯამში 11-ჯერ დაარტყა კარისკენ და აქედან ზუსტად მხოლოდ 3-ჯერ. მის ანგარიშზე არც გოლია, არც საგოლე პასი და ერთის გარდა, არც საგოლე მომენტი „რეალს" 30 აგვისტოს სუპერთასის საპასუხო მატჩი ელის „ბარსელონასთან".

**გუშინ**

**ვალიადოლიდი–ლევანტე 2:0**

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** ხაიმე – რუკავინა, რუედა, ვალიენტე, ბალენსიაგა (80. პენია) – რუბიო, ვ.პერესი – ებერტი, ოსკარი (79. ნეირა), ომარი (65. ლოლო) – გერა.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა – ლელი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, პ. ლოპესი – იბორა, დიოპი (74. დუდკა) – მიჩელი (59. ელ ზჰარი), ბარკერო, ხუანლუ – ანხელი (46. როდასი).

**გოლები:** 1:0 ვ. პერესი (38-პენ), 2:0 ვ. პერესი (48-პენ)

**გაფრთხილება:** რუბიო – ლოპესი, ნავარო, დიოპი, იბორა, ბარკერო, ბალესტეროსი

**გაძევება:** ნავარო (37)

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-8 (7-1); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 19 500

**ატლეტიკო–ბილბაო 4:0**

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა – ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში – მ. სუარესი, გაბი – კოკე, არდა თურანი (63. ადრიან ლოპესი), კ. როდრიგესი (71. დიეგო კოშტა) – ფალკაო (81. ტიაგო).

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი – ირაოლა, გურპეგი, სან ხოსე (46. მუნიაინი), ი. პერესი – იტურასპე, დე მარკოსი – სუსაეტა (46. ი. გომესი), ანდერი (60. დე გალარეტა), ი. ლოპესი – ადურისი.

**გოლები:** 1:0 ფალკაო (20), 2:0 ფალკაო (42), 3:0 ფალკაო (58-პენ), 4:0 ტიაგო (84)

**გაფრთხილება:** ფილიპე ლუიში, გაბი, მირანდა – გურპეგი, პერესი, დე მარკოსი

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 23-7 (14-0); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| 2. ვალიადოლიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. ვალეკანო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 4. ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 5. დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 6. სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7. მალიორკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8. მალაგა | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9. ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-5 | 3 |
| 10. ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 11. სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 12. სოსიედადი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-6 | 3 |
| 13. ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 14. რეალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 15. გრანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 16. ლევანტე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 17. ესპანიოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 18. სელტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 19. ოსასუნა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 20. ბილბაო | 2 | 0 | 0 | 2 | 3-9 | 0 |


ხეტაფე-რეალი, ბენზემამ ვერაფერი გააწყო და ჯავრი ალექსისზე იყარა

● ბარსელონა

# მწარე სამი ქულა

## ბარსას კაპიტანი ისევ დაიმტვრა

**მეორე ტურში „ბარსელონამ" ნავარის დედაქალაქში მოიგო, სადაც ნებისმიერი გუნდისთვის ჯოჯოხეთური სიტუაციაა. თანაც, ტიტო ვილანოვას გუნდი კარგა ხანს აგებდა და მხოლოდ ბოლოს შეძლო 2:1 გამარჯვება. მატჩის გმირი ლეო მესია, რომლის ანგარიშზეც არის ორივე გოლი. ორ ტურში 25 წლის არგენტინელმა უკვე 4 გოლი გაიტანა, არადა, ჯერ ფორმაში არ არის.**


ბარსა საბოლოოდ მაინც მესიმ იხსნა

### ტიტოს პირველი წითელი

ამ შეხვედრაში ტიტო ვილანოვა პირველად უძღვებოდა გუნდს საგარეო შეხვედრაში და მან პირველად მიიღო წითელი ბარათი. მსაჯმა **მუნის ფერნანდესმა** შემდეგი ჩაწერა პატაკში: „*ვილანოვა გავაძევე, რადგან მან პროტესტი აგრესიულად გამოხატა*". ვილანოვა ამბობს, რომ მართალი იყო: „*გაძევებას არ ვიმსახურებდი, ხაზს არ გადმოვცდენილვარ და არც თანამსაჯისთვის მითქვამს შეურაცხმყოფელი ფრაზები. ვუთხარი, რომ ეს იყო ჯარიმა, მეტი არაფერი, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით მუნის ფერნანდესის მსაჯობის სტილი, მას ყველა უფრთხის, რადგან ასეთი მცირეც საკმარისად ჩათვალა გასაძევებლად*", - განაცხადა „ბარსას" თავკაცმა.

თამაშზე კი „ბარსას" „ახალმა ცოცხმა" შემდეგი თქვა:

„*ჩვენ ვიბრძოლეთ და ისე მოვიპოვეთ გამარჯვება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძლიერები ვართ, უპირველესად ფსიქოლოგიურად. ამ სტადიონზე ომი ძალიან ძნელია, ორჯერ უფრო ძნელი, ვიდრე სხვაგან. გუნდმა საკმარისზე მეტი საგოლე შანსი შექმნა მოსაგებად. სეზონი ახლა დაიწყო, ჯერ არც აპრილია და არც მაისი. სულ მინდა მესი 10 ნომერზე ვათამაშო, მაგრამ 9-ზე იმდენი გოლი გააქვს, რომ...*"

### პუიოლი, მოსიარულე შარი

მოკლედ, თუ არ ჩავთვლით ტიტო ვილანოვას გაუგებრობას, ყველაფერი კარგად იქნებოდა „ბარსასთვის", რომ არა **კარლეს პუიოლის** ტრავმა - კაპიტანმა „ოსასუნასთან" მატჩში ყვრიმალი გაიტეხა. ეს მას **როლან ლამასთან** საჰაერო დუელისას მოუვიდა. ექიმები მალე იტყვიან, თუ ზუსტად რამდენს გამოტოვებს ცენტრალური მცველი. სამაგიეროდ, გუშინ ბაზაზე ვარჯიში განაახლა ნახევარმცველმა **ტიაგო ალკანტარამ**, რომელმაც ტრავმის გამო ლონდონის ოლიმპიური თამაშები გამოტოვა.

ესპანურ პრესაში ბევრს წერენ, რომ ლეო მესის პირველი გოლი „ოსასუნას" კარში თამაშის წესების დარღვევით გავიდა, რომ გოლამდე თამაშგარე მდგომარეობა იყო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლიგა 1. პსჟ-ბორდო. გამოხმაურება

# ხარისხიანი ფრე: სასიხარულო და არც ისე

საფრანგეთის ლიგა 1-ში ტურის ცენტრალური მატჩი პარიზის "პარკ დე პრენსზე" გაიმართა, სადაც "პარი სენ-ჟერმენმა" "ბორდოს" უმასპინძლა და 0:0 ითამაშა. წინა ორი მატჩი პარიზულმა გრანდმა უცნაურად ჩაატარა. პირველ ტურში გუნდის დაცვამ ითამაშა უსუსურად, მეორეში – თავდასხმამ. ახლა ერთსაც არა უშავდა და მეორესაც. "ლურჯ-წითლებმა" მხოლოდ და მხოლოდ ფრედ ითამაშეს. ფრანგი საფეხბურთო ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ, რომ მათდა საბედნიეროდ, ქვეყნის ჩემპიონატს გამოკვეთილი ფავორიტი ისევ არ ჰყავს. თავიდანვე ცხადი იყო, რომ დედაქალაქელებს იოლი მატჩი არ ელოდათ. ამას ისინი წინასწარ აცნობიერებდნენ და ხმამაღლაც აცხადებდნენ. "ბორდო" სახიფათო იყო თუნდაც იმიტომ, რომ წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული ჟირონდელებს ზედიზედ 8 მატჩი ჰქონდათ მოგებული. "პარკ დე პრენსზე" კი მეათედ დატოვეს მინდორი ბეჭდაუდებლად.

ორიოდე სიტყვა თამაშის მიმდინარეობაზეც ვთქვათ. პირველი 20 წუთის განმავლობაში გულშემატკივარმა წლის საუკეთესო პსჟ იხილა. მასპინძლებმა სრული უპირატესობა იგდეს ხელთ და **სედრიკ კარასოს** კართან დიდი ხანძარი ააგიზგიზეს. საჯარიმოში პრაქტიკულად ყველა ჩაწოდება ნახულობდა ადრესატს. გოლი თითქოს დროის საკითხი იყო, მაგრამ **ხავიერ პასტორესა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ბოლო მომენტში რაღაც უშლიდათ ხელს. განსაკუთრებულად ეფექტური შვედი ვარსკვლავი იყო, ვინც უჩვეულოდ დიდ სამუშაოს ასრულებდა. მსგავს ზეწოლას ძნელად რომ რომელიმე გუნდმა გაუძლოს, მაგრამ **ფრანსის ჟიიოს** ფეხბურთელებმა ეს მოახერხეს. იბრასა და კომპანიის შეტევებს ბოლო წუთამდე შედეგი არ გამოუღია. თამაშის შემდეგ გუნდების მთავარი მწვრთნელების მონაწილეობით სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა.

**კარლო ანჩელოტი** (პარი სენ-ჟერმენი): *"საბოლოო ჯამში ძალიან კარგად არ გვითამაშია. რა საკვირველია, არც შედეგით შეიძლება ვიყოთ კმაყოფილები, რადგან ჩვენს გუნდს ნამდვილად აქვს ის პოტენციალი, რომელიც ამ საღამოს არ გამოჩენილა. ბურთს ვაკონტროლებდით, მაგრამ ძალიან შორს მეტოქის კარისგან. აუცილებელია, შეტევაშიც გავაძლიეროთ თამაში. ყველაფერ იმის გაუმჯობესებას, რაზეც ვლაპარაკობ, დრო სჭირდება. ზოგიერთი ფეხბურთელი ჩვენთან ახალი მოსულია, ზოგს - ტრავმა აქვს, ზოგმა სულ ახლახან მოიკეთა. ასე რომ, ყველაფერს თავისი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. ჩვენ ჯერ კიდევ გაქვს დიდი დრო თამაშის გასაუმჯობესებლად".*



კარლო ანჩელოტის ჯერჯერობით უკმაყოფილების სრული საფუძველი აქვს

**ფრანსის ჟიიო** (ბორდო): *"ჩვენთვის ეს კარგი შედეგია, მით უფრო, რომ ჩვენ წინააღმდეგ პსჟ თამაშობდა. მეტოქე ქაღალდზეც და რეალურადაც ფავორიტი იყო. მართალია, დღეს ვერ გავიტანეთ, მაგრამ წინა მატჩებისგან განსხვავებით არც გაგვიშვია. მცველებმა თავისი საქმე იდეალურად შეასრულეს".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ტოტენჰემი

# დეზების ორი ფრონტი




იან მ'ვილას ტრანსფერისთვის ტოტენჰემს დამატებით სამი მილიონის გამოყოფა მოუწევს

დღევანდელ ნომერშივე წაიკითხავდით, რომ **ლუკა მოდრიჩის** მადრიდის "რეალში" ტრანსფერს როგორც იქნა წერტილი დაესვა. 26 წლის ხორვატის წასვლის გარდა "დეზებს" სხვა საფიქრალიც აწუხებთ. **ანდრე ვილაშ ბოაშის** მტკიცებით, მისი გუნდი ბოლომდე დაბალანსებული ჯერ კიდევ არ არის. ამ პრობლემის გადასაწყვეტად კლუბის მმართველი საბჭოს ხელმძღვანელი **დენიელ ლევი** დონეცკში გაფრინდა, სადაც "შახტარისა" და "კარპატის" დაპირისპირებას დაესწრო, რათა **ვილიან ბორხეს და სილვას**, ანუ უბრალოდ ვილიანის თამაში ეხილა. ლევი თამაშს კი დაესწრო, მაგრამ სულ ტყუილად, ფეხბურთელი განაცხადშიც არ ყოფილა. 24 წლის თავდამსხმელს "შახტარი" 12,5 მილიონ ფუნტად (15,77 მილიონი ევრო) აფასებს. "ტოტენჰემი" 11,8-ის (14,88 მილიონი ევრო) გადახდაზეა ყაბულს. "ტოტენჰემის" ბოსი დონეცკელთა გენერალურ დირექტორ **სერგეი პალკინს** შეხვდა და როგორც უკრაინული პრესა ირწმუნება, ტრანსფერზე უარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ **ანდრე ვილაშ ბოაშს** ვილიანის ყიდვა ჯერ კიდევ "ჩელსიში" მუშაობის დროს სურდა, მაგრამ დონეცკელებთან მაშინაც ვერას გახდა. ბრაზილიელის თქმით, ის არ ნანობს, რომ თავის დროზე "შახტარში" გადავიდა სათამაშოდ, მაგრამ წუხს, რომ მის გარშემო მსგავსი სიტუაციაა შექმნილი. ცხადია, რომ მას ძალიან უნდა პრემიერლიგაში ძალების მოსინჯვა.

ჩრდილოლონდონელებმა რამდენიმე დღეა, მეორე ფრონტზეც წამოიწყეს მოლაპარაკებები. ლაპარაკია "რენის" 21 წლის საყრდენის **იან მვილას** "უაით ჰართ ლეინზე" გადაბარგებაზე. ლიგა 1-ის წარმომადგენელი კლუბი ლიდერში 19 მილიონ ევროს ითხოვს. "ტოტენჰემი" 16 მილიონს იხდის. იმის გათვალისწინებით, რომ კლუბმა ეს-ეს არის მოდრიჩი 42 მილიონად გაყიდა, წესით, მისთვის დამატებით 3 მილიონის გამონახვა პრობლემა არ უნდა იყოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლა ლიგა. ტრანსფერები

# მესტალიაზე თამაში ახდენილი ოცნებაა

*„ჩემი ოცნება „ვალენსიას" მაისურით „მესტალიაზე" თამაში იყო"*, - ეს სიტყვები 24 წლის ფრანგ მცველ **ალი სისოკოს** ეკუთვნის, რომელიც ოცნებას სულ რამდენიმე დღეში აისრულებს, რადგან რამდენიმე დღის წინათ „ღამურებთან" 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ყოფილ ლიონელს „ვალენსიაში" **ხორდი ალბას** შემცვლელად მოიაზრებენ. „ვალენსიას" სავარაუდოდ ეს ტრანსფერი 7 მილიონი ევრო დაუჯდა.

„ვალენსიას" უკავშირდება კიდევ ერთი ტრანსფერი - კლუბმა „ხეტაფეში" გაანათხოვრა ნიჭიერი ფორვარდი **ფრანსისკო ალკასერი**. „ესპანიოლმა" კი 20 წლის იტალიელი ფორვარდი **სამუელე ლონგო** ინათხოვდა მილანის „ინტერიდან". „ოსასუნამ" „შალკესგან" 26 წლის განელი ნახევარმცველი **ანტონი ანანი** ითხოვა.

ბოლო დღეებში ლა ლიგაში განხორციელებული ტრანსფერები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23 აგვ | ანტონი ანანი (გან) | შალკე | ოსასუნა | იჯარა |
| 23 აგვ | ალი სისოკო (საფ) | ლიონი | ვალენსია | 7 მლნ. ევრო |
| 23 აგვ | ფრანსისკო ალკასერი | ვალენსია | ხეტაფე | იჯარა |
| 23 აგვ | ალექს გოიკოეჩეა | გრანადა | რასინგი | იჯარა |
| 25 აგვ | სამუელე ლონგო (იტა) | ინტერი | ესპანიოლი | იჯარა |
| 25 აგვ | ნური შაჰინი (თურ) | რეალი | ლივერპული | იჯარა |
| 25 აგვ | უგო ვიეირა (პორ) | ბენფიკა | სპორტინგი | იჯარა |
| 27 აგვ | ლუკა მოდრიჩი (ხორ) | ტოტენჰემი | რეალი | 42 მლნ. ევრო |




ალი სისოკო პრეზენტაციაზე

ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩების წინ

# პრობლემების უღელი პრობლემებითი და...

## მალაგა ჩემპიონთა ლიგაში მიძვრება!

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 10 ადგილია დარჩენილი. ამ სიცარიელეს ოლეი ოფის დღეს და ხვალ დაგეგმილი საპასუხო მატჩები შეავსებს. პირველი შეხვედრების შემდეგ, ცალი ფეხით ელიტაში არიან ბატე, „მალაგა", „სელტიკი" და კიევის „დინამო". რთულ მდგომარეობაშია გასული სეზონის სენსაციური მერვედფინალისტი „ბაზელი", რომელმაც „კლუჟთან" საკუთარ მოედანზე 1:2 წააგო.

| დღეს | |
|---|---|
| შმონა-ბატე (0:2) | 22:45 |
| ანდერლეხტი-ლიმასოლი (1:2) | 22:45 |
| მარიბორი-დინამო (ზ) (1:2) | 22:45 |
| უდინეზე-ბრაგა (1:1) | 22:45 |
| პანათინაიკოსი-მალაგა (0:2) | 22:45 |
| **ხვალ** | |
| ფენერბაჰჩე-სპარტაკი (1:2) | 22:45 |
| კლუჟი-ბაზელი (2:1) | 22:45 |
| სელტიკი-ჰელსინგბორგი (2:0) | 22:45 |
| დინამო (კ)-ბორუსია (მ) (3:1) | 22:45 |
| ლილი-კოპენჰაგენი (0:1) | 22:45 |

მას მერე, რაც შეიხმა **ალ თანიმ** „მალაგას" დაფინანსება შეუწყვიტა, ესპანურ კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს და ჯერ ისიც არაა გარკვეული, როგორ უნდა შეძლონ ანდალუსიელებმა მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელებისთვის ხელფასების გადახდა. შესაბამისად, „მალაგას" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა ჰაერივით სჭირდება – კლუბი უეფას მილიონებით დავალიანებებს სრულად თუ არა, ნაწილობრივ ხომ მაინც გაისტუმრებს. „მალაგამ" „პანათინაიკოსს" პირველი შეხვედრა 2:0 მოუგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისკენ პირველი ნაბიჯი გადადგმულია.

თუმცა ჩვენი ესპანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ **სანტი კასორლას** („არსენალში" გადავიდა) და **იორის მატიისენის** (ფეიენოორდშია) შემდეგ, „მალაგას" „პანათინაიკოსის" ბარიერის გადალახვის შემთხვევაშიც კი კიდევ რამდენიმე მოთამაშე დატოვებს. წასვლის პირველი კანდიდატებია **ენცო მარესკა** და **ელისეუ**. მიუხედავად პრობლემებისა, „მალაგამ" ესპანეთის ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ორი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს. თუ ანდალუსიელები საბერძნეთში მათთვის მისაღებ შედეგს დააფიქსირებენ, „მალაგა" მე-13 ესპანური კლუბი გახდება, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე იასპარეზებს.

### უდინეზე კომფორტულ მდგომარეობაში

იტალიურმა „უდინეზემ" პორტუგალიურ „ბრაგასთან" სტუმრად 1:1 დააფიქსირა, რაც იმას ნიშნავს, რომ უდინური კლუბი საპასუხო მატჩისთვის კომფორტულ მდგომარეობაშია. **ანტონიო დი ნატალემ** და კომპანიამ შარშან „არსენალის" ბარიერი ვერ გადალახეს, წელს კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპთან ძალიან ახლოს არიან. „ბრაგას" თავკაც **ჟოზე პესეიროს** უსიამოვნო „დეჟავიუს" საფრთხე ემუქრება: მისი გუნდი 2005 წელსაც „უდინეზესთან" დამარცხდა...

### კვიპროსელები აღარ ხუმრობენ

კვიპროსულმა ფეხბურთმა უდიდესი პროგრესი განიცადა და შესაბამისად, აღარავის უკვირს ის, რომ კვიპროსული კლუბები ჩემპიონთა ლიგას გაუშინაურდნენ. წინა სეზონში ნიქოზიის აპოელ-მა ყველასათვის მოულოდნელად ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში (!) გაალწია, წელს კი ჯგუფური ეტაპისკენ „ლიმასოლი" მიიწევს. დღეს ეს გუნდი ბრიუსელში, „ანდერლეხტის" წინააღმდეგ წარდგება და საკუთარ მოედანზე მოპოვებული გამარჯვებით (2:1) მიღებული ჰანდიკაპის შენარჩუნებას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ „ლიმასოლმა" წინა ეტაპზე სერბეთის ჩემპიონი ბელგრადის „პარტიზანი" დაიფრინა.

თანაბარი შანსები შეინარჩუნეს „მარიბორმა" და ზაგრების „დინამომაც". ამ გუნდების დაპირისპირება ზაგრებში მასპინძელბმა 2:1 მოიგეს და შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში ხორვატთა კაპიტანმა **ბადელიმ** ჯერ საკუთარი კარი დალაშქრა, მერე კი გამარჯვების გოლი გაიტანა. ისრაელის ჩემპიონი „შმონა" კი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას – „ბატესთან" 0:2 აქვს „ამოსაქაჩი". თუ უპირატესობა შეინარჩუნეს, ბელორუსები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მესამედ ითამაშებენ.

### გლადბახს სასწაული სჭირდება

გერმანიის მესამეადგილოსანმა „გლადბახმა" საკუთარ „ბორუსია-პარკზე" კიევის დინამოსთან 1:3 წააგო, რაც იმას ნიშნავს, რომ **ლუსიენ ფავრის** გუნდს სასწაული სჭირდება. კიევში ორბურთიანი სხვაობით მოგება და მინიმუმ სამი გოლის გატანა ევროსარბიელზე გამოუცდელ მიონხენგლადბახელებს კი არა, ევროპის სუპერგრანდებსაც უჭირთ ხოლმე. თუმცა გერმანელები ბრძოლას აპირებენ და გულშემატკივრებს ჰპირდებიან, არაფრისდიდებით არ დავნებდებითო. კიეველებმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ბოლოს ზედიზედ ორჯერ ვერ გადალახეს და ალესილები არიან. ამასთან, **იური სიომინის** გუნდი უკრაინის ჩემპიონატშიც კარგად გამოიყურება – „დინამოს" შვიდ ტურში ექვსი მოგება აქვს. კიეველებს დისკვალიფიკაციამოხდილი **ხაჩერიდი** უბრუნდებათ.




პირველ მატჩში პანათინაიკოსს ორიდან ერთი გოლი ელისეუმ გაუტანა

„ბაზელმა" შარშან მთელი ევროპა გააოცა – „მანჩესტერ იუნაიტედი" ჯგუფში ჩატოვა და მერვედფინალში ითამაშა, წელს კი ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩენის საფრთხე ემუქრება: შვეიცარიული გრანდი „კლუჟთან" საკუთარ მოედანზე 1:2 დამარცხდა. „ბაზელი" რუმინეთში მაქსიმუმს გააკეთებს და იქნება თუ არა ეს საკმარისი „კლუჟის" სასურველი ანგარიშით დამარცხებისთვის, ხვალ გავიგებთ.

„სელტიკისა" და „ჰელსინგბორგის" დაპირისპირება ფორმალობაა, რადგან შოტლანდიელებმა სტუმრად 2:0 გაიმარჯვეს. სამაგიეროდ, უმძაფრესი დუელები გველის თურქეთსა (ფენერბაჰჩე-სპარტაკი) და საფრანგეთში (ლილი-კოპენჰაგენი) - პირველი მატჩები მასპინძლებმა ერთბურთიანი სხვაობით მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფური ეტაპის წილისყრა ზეგ, მონტე კარლოში გაიმართება.

**გოტფრიდ ლენცი**

## ქართული სპორტი

ლონდონი 2012 ოლიმპიური თამაშების გამოძახილი




# ოლიმპიური მედლები

მედალი... უმედლობა... მაინც, რაშია საქმე, რატომ ენიჭება ამხელა მნიშვნელობა ოლიმპიური მედლის მოპოვებას? ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე მავანი სპორტსმენი, ალბათ, თავს არ დაზოგავს, ოლიმპიური მედალი რომ ხვდეს წილად, ხოლო ამ თამაშების დამსწრე აღტკინებული მავანი გულშემატკივარი გულს ამოიგლეჯს სიხარულით, ოღონდ თავისი რჩეული ათლეტის გამარჯვების მოწმე გახდეს. გარედან, რომ დააკვირდე, მედლისთვის ბრძოლის მთელი პროცესი და ბოლოს, დაჯილდოების ცერემონიალი, განსაკუთრებით ოქროს მედლისთვის ომი და მისი კისერზე დაკიდება, ისე გამოიყურება, როგორც დამსწრე ზღვა ხალხის და მათ საყვარელ მოასპარეზეთა ერთობლივი ბავშვური ღელვა. მათი მღელვარება გამოხატულია ხოლმე ალალი ალფრთოვანებით, ცრემლით ხანდახან, და გულწრფელი ახალგაზრდული უშუალობით, რაც სრულიად გასაგებია და მისაღები. აი, მედლის აღების შემდგომ პერიოდში, ანუ გამარჯვებულის მომდევნო რეალურ ცხოვრებაში მედალი იწყებს „მუშაობას" წარმოუდგენელი ეფექტურობით და სრულიად კონკრეტულ გავლენას ახდენს ოლიმპიური მედლით წარჩინებულ ადამიანთა ცხოვრების პერსპექტიულ განვითარებაზე. ოლიმპიურ მედალს *(ის მკაცრად საზღვრული იერარქიით მოქმედებს შესაბამისად – ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო)* აქვს მკაფიოდ გამოხატული თვისება, რომ დღეს საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ქალი ან კაცი ელვისებური სისწრაფით აქციოს პოპულარულ ვარსკვლავად, თანაც მოკლე ვადით კი არა, არამედ მთელი მისი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე და მერეც. ვერავითარი ულტრაიისფერი ეფექტი ვერ შეედრება პოპულარობის იმ საამო სიმხურვალეს, რომელიც ათბობს და ათბობს ოლიმპიური მედლის მფლობელს იმ ბედნიერი შემთხვევიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე. მედლის მოპოვება ნიშნავს იმას, რომ მისი მფლობელის სახელი სამუდამოდ ამოიკვეთება ქვაში მომცრო, საშუალო ან დიდი ასოებით *(მედლის ხარისხის მიხედვით, ცხადია)*, რაც უცილობლად ნიშნავს ისტორიაში ამაყად შესვლას. ოლიმპიური მედალი არის განუხრელი დიდების სიმბოლო მთელი მსოფლიოს მასშტაბით და საკუთარ სამშობლოში ერის უსაყვარლეს გმირად ქცევის უტყუარი საშუალება. მედალი, შეიძლება, კარგ სამუშაო ადგილსაც ნიშნავდეს და, რა თქმა უნდა, მფლობელის ფინანსური პოტენციის გარდაუვალ სრულყოფას. ხუმრობა იქით იყოს და, მედალს ისიც ძალუძს, რომ წარმატებული ქორწინების დიდი შანსი მისცეს მის ბედნიერ პატრონს. ოლიმპიური მედალი გულებს იპყრობს და მეგობრების წრეს ზრდის უკიდეგანოდ. მედალი ჩაკეტილ კარებს ხსნის და წარმატებისკენ მიმავალ გზებს კირწყლავს. ერთი სიტყვით, ოლიმპიური მედალი ჭეშმარიტად აკეთებს თავის დიდ საქმეს, თან ძალიან კარგად. გაძლებითაც დიდხანს ძლებს – არ იჟანგება არასდროს. ოლიმპიური მედალი არა უბრალოდ წარმოაჩენს ადამიანს, არამედ მას გადააქცევს შვილიშვილებისთვის შესანიშნავი ამბების მისაბაძ მთხრობელად. მედალი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას ნიშნავს, სადაც მისი მფლობელი სამუდამოდ დაიდებს ხოლმე ბინას. მოკლედ რომ ვთქვათ, ოლიმპიური მედალი ახდენილი *(ან აუხდენელი... გააჩნია!)* და ფრთაშესხმული ოცნებაა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ცვლის ხოლმე ასობით მომლოდინე სპორტსმენთა ცხოვრებას მთელ მსოფლიოში, რომელთა ნერვული სისტემა დაძაბულობის გამო წკიპზეა ხოლმე მისული თამაშების დროს, თუმცა გაწონასწორებულია მათი ფიზიკური ძალითა და შინაგანი სიმტკიცით, რომელიც სრულიად საკმარისია, რომ გაუძლონ მოსალოდნელ შეჯიბრებათა სიმძიმეს. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ, ოლიმპიურ მედალს მეორე მხარეც აქვს. მედალი ტონობით ოფლის ღვრასაც ნიშნავს და დიდ ტკივილსაც, როგორც ფიზიკურს ისე სულიერს, პირად ცხოვრებასა და ჩვეულებრივ ადამიანურ სიამოვნებაზე უარის თქმას ხშირად, თავის უარყოფას და სპორტსმენის ნებისყოფის გამარჯვებას ჩვეულ ადამიანურ სისუსტეებზე. ამის გარეშე მედალზე ოცნებას ძირი ეთხრება და წინასწარაა განწირული დასაღუპად. მედალი მხოლოდ ღვთისბოძებული ნიჭის და ფიზიკური ძალის შედეგი არაა. ის თავდაუზოგავი ძალისხმევა უფროა და დაჟინებული სწრაფვა მიზნისკენ, გაუთავებელი მძიმე შრომაა, ფოლადის ნერვი და რკინის ნებისყოფაა, ის მზადყოფნაა თავგანწირვისთვის, ბრძოლის დაუოკებელი სურვილია, მოწინააღმდეგის დაძლევისკენ შეუჩერებელი ლტოლვაა, ფიზიკური გვემისთვის გააზრებული მზადყოფნაა სამშობლოს სადიდებლად. არ ვიცი თუ რამდენად სწორად და ლოლიკურად ჟღერს ეს ნათქვამი, მაგრამ მე მაინც უნდა დავსვა ერთი შეკითხვა ბოლოს – არა ახირებული რიტორიკით აღსავსე, არამედ სრულიად გააზრებული და დამაფიქრებელი: რამდენი ქართველი სპორტსმენი წავიდა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე წელს სწორედ ასეთი განწყობით, მზაობით, ფიქრებითა და შემართებით?

**ნუგზარ ბ. რუხაძე**

***თარგმნილია და გადმობეჭდილი ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გაზეთიდან Georgian Journal – N32 (255), 2012 წლის 16-22 აგვისტო***

# მზეჭაბუკ ლაშა შავდათუაშვილს!

ჩვენო ლაშა, ჩვენო ლაშა-გიორგი, ჩვენო ლაშარელა, ჩვენო ქართლელ-ქართველო მოყმევ, ჩვენო მზეჭაბუკო, გახსოვდეს, მსოფლიო ისტორიამ არ იცის ადამიანთა ურთიერთობის უფრო საყოველთაო და უფრო დემოკრატიული ფორმა, ვიდრე ოლიმპიური თამაშებია. ოლიმპიური თამაშები ხომ საყოველთაო-სახალხო ზეიმია და ამდენად, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ მხოლოდ მზეჭაბუკები იმარჯვებენ! ჩვენო ლაშა, შენ სწორედ აქ გაიმარჯვე! ოცი წლის ქართველი ჭაბუკი, მორკინალ-მოჭიდარი, უშიშარი, მიზანდასახული, დიდების კვარცხლბეკზე ახვედი! ძალიან შორს, ისტორიული ალბიონიდან, ინგლისიდან, საქართველოს ჰიმნი მოგვასმენინე და ბედნიერების ცრემლების წვიმაში ჩვენი ქვეყნის დროშის აღმართვა გვაყურებინე!

ჩვენო ლაშა, რა სიტყვებმა უნდა გადმოსცეს აგვისტოს იმ ულამაზესი დღეების განცდები! არა, ჩვენო მზეჭაბუკო, ამის გადმოსაცემად „ენა დაშვრების"!..

ჩემო ლაშა, ვერ ვითმენ, რომ არ შეგახსენო, შენ იმ კუთხიდან ხარ, იმ დალოცვილი მიწიდან, რომელმაც ერს იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" მისცა!

ჩვენო მორკინალ-მოჭიდარო, ოლიმპიური თამაშები მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი კულტურული მონაპოვარია და კულტურა და სპორტი ისევე ძველისძველია როგორც კაცობრიობა. შენ კი ამ სიდიადეში შენი ადგილი უკვე დაიმკვიდრე და ღირსეულადაც! მაგრამ, ჩვენო მზეჭაბუკო, არ დაგავიწყდეს, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საქართველო, ჩვენი მიწა-წყალი თავისი კულტურითა და სპორტით მსოფლიოს უდიდეს ქვეყნებს არ ჩამორჩება და არც არასოდეს ჩამორჩენია! არ უნდა დაგვავიწყდეს, ოლიმპიზმი აწრთობს და ავაჟკაცებს, აკეთილშობილებს, აფაქიზებს, სულს უხვეწავს ახალგაზრდას. აქ შური და კინკლაობა რა მოსატანია! სპორტი მარტო სპორტსმენობა არ არის. სპორტი ადამიანის სიცოცხლეა, წრთობაა და, რაც მთავარია, პირველობისთვის დამსახურებული სწრაფვაა, სილამაზეა, მეგობრობაა!

ჩვენო ლაშა-გიორგი, შენ ჩემთვის ვაჟასეული კაი ყმა ხარ, მითოსურ სამყაროში გახვეული, ქართველი ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი ძალების ერთიანობის იდეალი. შენ ქართული ჩოხაც დაგმშვენდება და ამირანის მშვილდიც. შენნაირი ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის სიდიადეა.

ჩვენს ქვეყანას და... პირადად მე... არც ყამარ-ქალები გვაკლია, არც ამირანები, არც ბადრი და უსუპები, არც ალგეთის მგლის ლეკვები, მაგრამ წლეულს, აგვისტოს თვეში, ოლიმპიურ თამაშებზე, ჩვენო ქართველო ჭაბუკებო!.. და შენ, ჩვენო ოცი წლის ჩემპიონო! „შეგვაზანზარე" (ამ საოცრად მორგებულ ზმნას ერთ ქართველ ჟურნალისტს დავესესხები)!

ჩემო ლაშა, ათეული წლებია, ჩემი ცხოვრება დიდ ქართულ სპორტს „გადაენასკვა". ჩემს სულიერ სამყაროში ქართული სპორტი, თავისი სილამაზით, ცხოვრების ძალა გახდა, სიცოცხლე გამიფაქიზა და გამილამაზა, ახალგაზრდული სული შემინარჩუნა... მაგრამ, ჩემო სპორტსმენო ახალგაზრდებო, არ დაგავიწყდეთ, სადაც უნდა იყოთ, ვინც უნდა გახდეთ, არასოდეს დაგავიწყდეთ,

**ჩვენო ლაშა-გიორგი, შენ ჩემთვის ვაჟასეული კაი ყმა ხარ, მითოსურ სამყაროში გახვეული, ქართველი ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი ძალების ერთიანობის იდეალი. შენ ქართული ჩოხაც დაგმშვენდება და ამირანის მშვილდიც. შენნაირი ახალგაზრდები ჩვენი ქვეყნის სიდიადეა.**

მთელი საქართველო თქვენი მიწაა, აქაა თქვენი ფესვები, აქაა თქვენი მიწის ყივილი და ადგილის დედა, აქაა თქვენი ღირსეული წინაპრების საძვალე. თქვენ ერთიანი სამყაროს იდუმალებით მოცული ქვეყნის მართლაც ღირსეული შვილები ხართ.

ჩვენო ლაშა, ჩვენო ფალავანო, ჩვენო შვილო და ძმავ, ბევრისათვის სასურველო გულისსწორო, საქართველოს მომავალო დღეო, უბედნიერესია ის ქართული ოჯახი, სადაც შენ დაიბადე. უბედნიერესია შენი დედ-მამა! უბედნიერესია ის დედა, რომელმაც ... გაზარდა, უბედნიერესია შენი ძმა, შენი ბექა-ბექარი! მაგრამ გაფრთხილდი, ბედნიერებას შენარჩუნება უნდა! ჩვენ გვჯერა, შენ, ჩვენი ოცი წლის მზეჭაბუკი, შენეული სიდინჯით ამ დიდებასა და ბედნიერებას გაუფრთხილდები და შენი გამარჯვებებით ბევრჯერ „შეგვაზანზარებ" (ოჰ, როგორ უხდება ეს ზმნა ასეთ ალმაფრენებს!).

ვწერ და სიამაყისა და სიხარულის ცრემლები მომდის... მახსენდება დიდი ქართველი მწერლის, კრიტიკოსის, მთარგმნელის, ესეისტის, ქართული სპორტის უდიდესი შემფასებლის გერონტი ქიქოძის სიტყვები: „ერთი უმშვენიერესი სანახაობა მზის სხივებში გახვეული ვაჟკაცია".

შენ კი, ჩვენო ლაშა, მთელი საქართველო გაახვიე მზის ულამაზეს სხივებში. აფერუმ შენს მოგებას!

ჩვენო ლაშა, ჩვენო ფალავანო, ჩვენო მორკინალ-მოჭიდავევ, ჩვენო ოცი წლის ჭაბუკო, მარტო ერთს დავამატებ და ქართველი ქალი, ქართველი დედა, ქართველი ბებია შეგახსენებ დიდი ბერძენი პოეტის პინდარეს სიტყვებს: „ვარსკვლავებს შორის ვადიდებთ მზეს, რადგან ყველაზე კეთილშობილურია, გვფენს შუქსა და სითბოს ამ უდაბურ სამყაროში, ასევე თამაშებს შორის ვადიდებთ უკეთილშობილეს მათში - ოლიმპიურ თამაშებს!"

**მედეა როგავა**

2012 წელი, 27 აგვისტო


ლაშა შავდათუაშვილი

პარალიმპიზმი

# ლონდონი ოლიმპიადის მასპინძლობას განაგრძობს

ხვალ, 29 აგვისტოს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, რომელმაც ახლახან 30-ე ზაფხულის ოლიმპიადას უმასპინძლა, საზეიმოდ გაიხსნება პარალიმპური თამაშები. შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენთა პაექრობებში საქართველოს ორი წარმომადგენელიც მიიღებს მონაწილეობას - ძალოსანი **შოთა ომარაშვილი** და მოცურავე **ნიკა თვაური.** ისინი საქართველოს დელეგაციასთან ერთად უკვე ლონდონში არიან. ქართველ პარალიმპელებს გამგზავრების წინ კლუბ-რესტორან „ქალაქურში" დაულოცეს გზა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოში დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ჯუდით გოფი,** რომელმაც ომარაშვილსა და თვაურს წარმატებები უსურვა ლონდონში. *„მიხარია, რომ ჩემმა ქვეყანამ მაღალ დონეზე უმასპინძლა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. 29 აგვისტოდან კი ლონდონში 165 ქვეყნის 4200-ზე მეტი პარალიმპელი შეიკრიბება, რომელთა შორის ორი ქართველიც იქნება და ისინი არაფერს დაიშურებენ, რათა სამშობლო ასახელონ. მსოფლიოში პარალიმპურ მოძრაობას ინგლისმა ჩაუყარა საფუძველი. 1948 წელს ლონდონში ომის შემდგომი ოლიმპიური თამაშების დამთავრებისთანავე პირველად გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენთა პაექრობები, რათა ბრძოლაგამოვლილ და დასახიჩრებულ ათლეტებს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ეგრძნოთ თავი. მას შემდეგ პარალიმპური მოძრაობა სულ უფრო ეფექტური ხდება და მეტ ადამიანს იზიდავს. ბრიტანეთის საელჩო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარალიმპურ კომიტეტთან და ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება"*, - აღნიშნა ქალბატონმა გოფმა და საქართველოს პარალიმპურ კომიტეტს ბრიტანეთის საელჩოში გამართული ღონისძიებებით მოზიდული თანხა გადასცა.


მარცხნიდან - გიორგი ნასიძე, ნიკა თვაური, შოთა ომარაშვილი და ჯუდით გოფი

**გია ნაცვლიშვილი,** სეოკ-ის პრეზიდენტი: *„საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ორიოდე კვირის წინათ დაბრუნდა ლონდონიდან შვიდი მედლით. ახლა ბრიტანეთის დედაქალაქში ორი ქართველი პარალიმპელი იასპარეზებს. ცხადია, სპორტში მთავარი შედეგია, მაგრამ ამჯერად ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა პარალიმპურ თამაშებში მონაწილეობაც უკვე დიდი გამარჯვებაა. შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებმა ვაჟკაცობითა და თავდადებით მოიპოვეს ლონდონში გამგზავრების უფლება. ისინი თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ და მაგალითს აძლევენ გარშემომყოფთ. დიდი მადლობა მათ. მჯერა, რომ, ჩვენი მედალოსანი ოლიმპიელების მსგავსად, ომარაშვილი და თვაურიც ღირსეულად იბრძოლებენ ქვეყნის სპორტული პრესტიჟის დასაცავად".*

**ლევან ოდიშარია,** საქართველოს პარალიმპური კომიტეტის პრეზიდენტი: *„პარალიმპურ თამაშებში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები მეორედ იასპარეზებენ. 2008 წელს პეკინში იაგო გორგოძემ ნოლჭიმში მე-8 ადგილი დაიკავა. ლონდონში მისი შედეგის გაუმჯობესებას*

» მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-10 გვერდიდან

ეცდებიან შოთა ომარაშვილი და ნიკა თვაური. ბოლო დროს ჩვენმა ორგანიზაციამ მრავალი თანამდგომი შეიძინა. უპირველესად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მინდა გამოვყო. ქართველი პარალიმპელების მხარდასაჭერად უპრეცედენტო სოციალური პროექტი „ბრავო რექორდს" ეკუთვნის. მისი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენების მოტივირება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ პროექტის ფარგლებში მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა სპეციალურად ამ თამაშებისთვის შექმნა სიმღერა, რომელსაც ლონდონში საქართველოს პარალიმპური კომიტეტის ლონისძიებაზე შეასრულებს, საქართველოს საელჩოს თანამშრომლებისა და დიასპორის წარმომადგენლებისთვის კი კონცერტს გამართავს".

**გიორგი ნასიძე,** საქართველოს პარალიმპური კომიტეტის გენერალური მდივანი: „შოთა ომარაშვილი გურჯაანელია. ბავშვობაში გაციების შედეგად მუხლები შეეკუმშა. ოპერაციების შემდეგ თავს უკეთ გრძნობს. სპორტი ბავშვობიდან იზიდავს, რადგან მამა ჰყავს ძალოსანი. ჯერ მკლავჭიდში ცდიდა ძალებს და საქართველოს ჩემპიონიცაა. 2009 წლიდან ნოლჭიმში ვარჯიშობს. 2011 წელს იორდანიაში მან 120 კილოგრამი დაძლია, წლეულს დუბაის სალიცენზიო ტურნირზე 135 კილოგრამით ლონდონის პარალიმპური თამაშების საგზური მოიპოვა. ვარჯიშებზე უკვე 160 კილოზე მეტი აქვს აწეული. შეჯიბრებაში ის პირველ სექტემბერს ჩაებმება. ორი დღის შემდეგ 100 მეტრზე ბრასით იასპარეზებს ნიკა თვაური. შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მან ამ დისტანციაზე ჰენრი კუპრაშვილის ხელმძღვანელობით მე-3 ადგილი დაიკავა. წლეულს მაისში იტალიის ღია ჩემპიონატზე 50 მეტრ დისტანციაზე პირველი იყო, ხოლო 100 მეტრზე ბრინჯაო ერგო და თამაშების ლიცენზიაც დაიმსახურა. თან თავისი შედეგი 16 წამით გააუმჯობესა. ამჟამად თვაურს საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხომასურიძე და ედიშერ ტურაბელიძე ავარჯიშებენ. ორივე სპორტსმენი კარგად არის მომზადებული. ფორტუნამაც თუ გაგვიმართლა, გამორიცხული არ არის, შინ მედლებითაც დავბრუნდეთ".

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# ახალგაზრდები თითქმის გარკვეულია

**წუხელ საღამოს საქართველოს ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა ნაკრები ტაილანდში გაფრინდა, სადაც ქალაქ პატაიაში 4-9 სექტემბერს 20-წლამდელთა შორის მსოფლიოს პირველობა ტარდება.**

გუნდის თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** ტაილანდში **ბაჩანა ფუტკარაძე** (50), **ნიკა ცეცხლაძე** (55), **ფირუზ წულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია** (66), **თორნიკე ძამაშვილი** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **იაკობ ქაჯაია** (96) და **შოთა გოგისვანიძე** (120) წაიყვანა. ამათგან ნაკრებში ყველაზე ბოლოს ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონი, ახალგაზრდების წლევანდელ ევროპირველობაზე ბრინჯაოს მედლისთვის ნაჭიდავები წულუკიძე მოხვდა, რომელსაც კონკურენციას თანაქალაქელი, ანუ ბათუმელი **ამირან შავაძე** უწევდა, სხვების საკითხი კი შედარებით ადრე გადაწყდა.

ადეიშვილმა წლევანდელ ევროპირველობაზე ნაჭიდავები გუნდი საფუძვლიანად გადაახალისა და იმათგან მხოლოდ ოთხი დატოვა - წულუკიძე, დავითაია, ქობლიაშვილი და ქაჯაია. ამ ოთხეულიდან ქობლიაშვილი და ქაჯაია ევროპაზე მესამეზე გავიდნენ. ამჯერად გუნდში ვერ მოხვდა კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი **ლევან არაბული** (120) - ადეიშვილმა მას გოგისვანიძე ამჯობინა. თუმცა უფრო სწორი იმის თქმა იქნება, რომ მწვრთნელს ამ ნაბიჯზე წასვლა ტაქტიკურმა მოსაზრებამ და ნაკრების სამომავლო გეგმებმა აიძულეს. არაბული საქართველოს ჩემპიონიცაა და ადეიშვილს მის მიმართ პრეტენზია არ აქვს, მაგრამ გოგისვანიძე მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია და შანსს მას აძლევს. მით უფრო, შარშანდელი წარმატების შემდეგ გოგისვანიძეს წელისა თუ ნაირ-ნაირი ტრავმების გამო ბევრი გაუცდა (საქართველოს პირველობაც გამოტოვა) და საშეჯიბრო პრაქტიკა სჭირდება. დაახლოებით ამგვარი - ორი კადრის გამოცდის პრინციპია 74-შიც, სადაც ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი ლაშა გობაძე ძამაშვილით შეცვალა, თუმცა გობაძემ ევროპის წლევანდელი პირველობა ჩააგდო - ეტყობა, ახალგაზრდულში ადაპტაცია გაუჭირდა. ამჯერად ახალ წონაშია ცეცხლაძე, რომელიც შარშან 50-ში გამოდიოდა და ევროპაზე ვერცხლიც მოიპოვა.

ამ ნაკრებმა დასკვნითი შეკრება ბორჯომში, სპორტკომპლექს „ოლიმპში" გაიარა. ისინი ჩემპიონატში 4-5 სექტემბერს გამოვლენ, თუმცა ტაილანდში ცოტა ადრე გაფრინდნენ და ადაპტაციის მიზნით რამდენიმე დღე ადგილზე ივარჯიშებენ.

რაც შეეხება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდულ ნაკრებს, ის მსოფლიოს პირველობისთვის ვარიანში ემზადება. მისმა თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** ხუთ წონაში უკვე გაარკვია მსოფლიოს პირველობის მონაწილე, ორში კი საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს, ერთში კი ბოლო მომენტამდე დაელოდება ლიდერის მომზადებას. უკვე გარკვეულია, რომ ტაილანდში მსოფლიოს ვერცხლის და ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ლაშა ტალახაძე** (55), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), ევროპის წლევანდელი პირველობის ერთადერთი მედალოსანი - მესამე პრიზიორი **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **გიორგი მეშვილდიშვილი** (96) და ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **გენო პეტრიაშვილი** (120) იასპარეზებენ. 60 კილოგრამში მონაწილე საკონტროლო შეხვედრით გაირკვევა **ლევან ქელეხსაშვილსა** და **ლაშა ბიტარაშვილს** შორის, 84-ში კი ანალოგიური წესით საუკეთესო **სანდრო ამინაშვილისა** და **ლევან გოგრიჭიანის** პაექრობაში შეირჩევა. 50 კილოგრამში საკონტროლო შეხვედრა არ გაიმართება, აქ ყველაფერი დამოკიდებულია **ბექა ბუჯიაშვილზე** - შეძლებს თუ ვერა ის ზედმეტი 4-5 კილოგრამის დაკლებას. თუ ამას მოახერხებს, მაშინ ტაილანდშიც წავა, თუ ვერა - მის ნაცვლად იქ **რამაზ დარჩიძე** გაემგზავრება. დასახელებულთაგან ევროპაზე ბუჯიაშვილმა, ტალახაძემ, ხაბალაშვილმა, ყველაშვილმა, ამინაშვილმა და პეტრიაშვილმა იჭიდავეს. ქელეხსაშვილი ტურნირზე კი წავიდა, მაგრამ ადგილზე ტრავმა მიიღო და არ უასპარეზია. ერთადერთი ახალი სახე ამბროლაურელი **მეშვილდიშვილია.** ის საქართველოლს ჩემპიონია - ფინალში ევროპაზე ნაჭიდავები **ომარ გუსოშვილი** დაამარცხა, მაგრამ შემდეგ საზღვარგარეთ გამართულ შესარჩევ შეჯიბრებებში გუსოშვილმა ყოველთვის აჯობა - ზოგან შედეგით, ზოგან კი პირადი შეხვედრა მოუგო. სხირელმა ევროპაზეც პირადი შეგირდი გუსოშვილი წაიყვანა, თუმცა მაშინვე იყო გადაწყვეტილი, რომ შანსი მეშვილდიშვილსაც მიეცემოდა. მწვრთნელი ახლაც ორი კანდიდატის გამოცდის პრინციპს დაეყრდნო.

ეს გუნდი ტაილანდში 5 სექტემბერს გაფრინდება და 8-9-ში იჭიდავებს. ორივე ნაკრებიდან პირველ დღეს 50, 60, 74 და 96-ის ფალავნები გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**



ჭადრაკი




# ჩემპიონებს 11 ტური გამოავლენს

გუშინ სტამბოლში (თურქეთი) საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც ვაჟებისთვის მე-40, ხოლო ქალებისთვის 25-ე იქნება. ბოლო მონაცემებით, მასში მანდილოსანთა 129 (124 დიდოსტატი) და მამაკაცთა 158 (242 დიდოსტატი) ნაკრები (თითოეულში 4-4 ძირითადი და თითო სათადარიგო მოთამაშე) იასპარეზებს.

დღეს პირველი ტურის პარტიები გათამაშდება. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს 11 ტური გამოავლენს. ყოველ მოჭადრაკეს 40 სვლისთვის მიეცემა 90 წუთი + 30 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით. 30 სვლამდე ყაიმზე შეთანხმება აკრძალულია. მოგებისთვის გუნდს 2, ფრისთვის - 1 და წაგებისთვის 0 ქულა ეწერება. 2 და 8 სექტემბერი დასვენების დღეებია. საოლიმპიადო მარათონი 9 სექტემბერს დასრულდება. ანტალიაში ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრების შემდეგ საქართველოს ქალთა (**ნანა ძაგნიძე** - 2547, **ბელა ხოტენაშვილი** - 2509, **ლელა ჯავახიშვილი** - 2458, **ნინო ხურციძე** - 2444, **ნინო ბაციაშვილი** - 22432, კაპიტანი - დიდოსტატი **ნინო გურიელი,** მწვრთნელები - **ზურაბ სტურუა** და **დავით ჯოჯუა**) და ვაჟთა (**ბაადურ ჯობავა** - 2730, **მიხეილ მჭედლიშვილი** - 2659, **ლევან ფანცულაია** - 2575, **თორნიკე სანიკიძე** - 2585, **მერაბ გაგუნაშვილი** - 2578, მწვრთნელ-კაპიტანი **ლაშა ჯანჯღავა,** მწვრთნელი **ხვიჩა სუპატაშვილი**) ნაკრები გუნდები სტამბოლში ჩავიდნენ.

მანდილოსნებში რეიტინგფავორიტია ჩინეთის ნაკრები (2510), მეორე ადგილზეა რუსეთი (2500): მესამეზე - **საქართველოს ნაკრები** (2478), რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოთხჯერ (1992, 1994, 1996, 2008) ავიდა, 2000 წელს მეორე, ხოლო 1998 და 2010 წლებში კი მესამე ადგილები ერგო. რეიტინგით მე-4 პოზიცია (2457) უკრაინელებს უკავიათ. მეხუთე ადგილზე ამერიკელები (2396) არიან. ოკეანისგაღმელთა სპორტულ ღირსებას იცავს ქართველი **რუსუდან გოლეთიანი** - 2341. მის მხარდამხარ იბრძოლებენ ანა ზატონსკიხი - 2512, ირინა კრუში - 2467, საბინა-ფრანჩესკა ფოიშორი - 2356, თათევ აბრაჰამიანი - 2303. მედლებისთვის, უმთავრესად, ეს ხუთი გუნდი იბრძოლებს, მაგრამ არც პოლონელების, გერმანელების და სომხების დავიწყება ივარგებს. ინდოელებსაც ანგარიშგასაწევი ნაკრები ეყოლებათ, თუმცა მათმა ლიდერმა - ჰამფი კონერუმ საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რატომღაც, უარი თქვა.

რაც შეეხება ვაჟთა გუნდებს, აქ რეიტინგით პირველ ათეულში საკმაოდ ძლიერმა ნაკრებებმა მოიყარეს თავი. მათში აშკარა ფავორიტია 2010 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, 2700-იანი კლუბის წევრებით დაკომპლექტებული რუსეთის ნაკრები (2759). რეიტინგით მეორეა 2010 წლის ჩემპიონი უკრაინა (2722); მესამე ადგილზეა ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული (2006, 2008) სომხეთის გუნდი (2711); მომდევნო ადგილებზე არიან უნგრეთი (2700), ჩინეთი (2688), აშშ (2681), აზერბაიჯანი (2676) და ბოლო ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ისრაელი (2662). ცხადია, ასეთ გრანდებთან ჭიდილში საქართველოს ვაჟთა ნაკრებს პირველ ათეულში მოხვედრა გაუჭირდება, თუმცა შეუძლებელი არაფერია, რადგან დაფებთან ბრძოლის ბედს მოჭადრაკეები წყვეტენ და არა რეიტინგები. ასე რომ, ბაადური და მისი თანაგუნდელები წარმატების მისაღწევად არაფერს დაიშურებენ.

მაშ, ასე: დღეს თბილისის დროით 17.00 საათზე მოჭადრაკეები პაექრობაში ჩაებმებიან და მათ შორის უძლიერესს 11-ტურიანი მარათონი გამოავლენს.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ამერიკას მოგებით იწყებს

22 წლის ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 73-ე ადგილზეა. გუშინ მან წარმატებით აილო სტარტი აშშ-ის ღია პირველობაზე. მისი მეტოქე იყო რეიტინგით 86-ე ადგილზე მყოფი 31 წლის ფრანგი სტეფანი ფორეც გაკონი, რომელმაც ჩვენებურს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და 2:6, 0:6 დამარცხდა. ამ წარმატებისთვის ტატიშვილმა 100 ქულა დაიმსახურა. მეორე წრეში იგი მე-16 ნომრად განთესილ გერმანელ საბინ ლისიცკისა (23) და რუმინელ სორანა კირსტეას (38) შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. ანას სავარაუდო მეტოქეთა პაექრობაში პირველი სეტი ლისიცკიმ 6:4 მოგო, მეორე-მესამეში რუმინელმა რევანში აილო - 6:2, 6:2 და მეორე წრეში გავიდა.

წინა კვირას ჰოლანდიური ენსხუდეს ქალთა 10.000-იან ტურნირში წარმატებით ითამაშეს **ეკატერინე გორგოძემ** და **სოფიო ქვაცაბაიამ.** წყვილთა პაექრობის ფინალში ჩვენებურებმა, რომლებიც მე-2 ნომრად იყვნენ განთესილი, პირველ ნომერ მასპინძლებს - კიმ კილსდონკსა და ნიკოლე ვან უიტერტს აჯობეს - 6:4, 1:6, 10:6.

ქართველი ჩოგბურთელები ერთეულებშიც ცდიდნენ ძალებს. ქვაცაბაიამ ზედიზედ სძლია ფრანგ კამილე ჩელის (6:0, 6:0), ჰოლანდიელ ლისან ვან რიეტსა (6:2, 6:1) და მის თანამემამულე ნიკოლე ვან უიტერტს (6:4, 6:1), რომელმაც პირველ წრეში გორგოძეს აჯობა - 6:4, 3:6, 6:1. ნახევარფინალში ქვაცაბაია მე-7 ნომრად განთესილ ბელგიელს - ელინ ბოიკენსს დანებდა - 6:4, 5:7, 2:6.

ქვაცაბაია და გორგოძე ტიტების ქვეყანაშივე დარჩნენ და როტერდამის 10.000-იან ტურნირში ჩაებმებიან. ქვაცაბაია აქაც მე-3 ნომრადაა განთესილი და პირველი წრის მეტოქეს საკვალიფიკაციო ბადიდან ელის, გორგოძე კი ასპარეზობის სტარტზე მასპინძელ ლისან ვან რიეტთან გაარკვევს ურთიერთობას. ჩვენებურთა დუეტი წყვილთა პაექრობაში აქაც მეორე ნომერია და პირველ წრეში ბეატრის კედერმარკს და მატილდა ჰამლინს (შვედეთი) შეხვდება.

თურქული გაზიანთეფის 10.000-იან ტურნირში გამოცდის ძალებს **თამარ ჭალაგანიძე**. პირველ წრეში მას მეტოქეობას გაუწევს ჩეხი ნიკოლა ჰორაკოვა. ქართველი ჩოგბურთელი წყვილებში ინდოელ ანუშკა ბშარგავასთან ერთად დიდბრიტანელებთან - ლაურა დეიგმანთან და ფრანჩესკე სტერჰენსონთან გაარკვევს ურთიერთობას.

იტალიაში 10.000-იან ტურნირზე გამოდის **მაკა ჩახნაშვილი**. იგი მე-5 ნომერია და ასპარეზობის სტარტზე კოლუმბიელ იულიანა ლიზარაზის შეხვდება.

რუმინული 25.000-იანი ტურნირი შეარჩია საასპარეზოდ **სოფიო შაფათავამ,** რომელსაც პირველ წრეში ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილი მასპინძელი ალექსანდრა დამაშინი გაუწევს მეტოქეობას. წყვილებში უკრაინელ ტატიანა არეფიევასთან ერთად შეჯიბრებაზე ველური ბარათით მოხვედრილ მასპინძლებს ჟასმინე მარია კოტეანუსა და ადელინა გეორგიანა ლირანს ეთამაშება.

**ვაჟა დანელია**

ევრობასკეტი. სლოვენია 2013

# იანსენი და აკერბუმი

ამ ორმა ჰოლანდიელმა კალათბურთელმა 9 სამქულიანი ჩააგდო

## 27 აგვისტო, ალმერე, 600 მაყურებელი

**ჰოლანდია 91:88 საქართველო**

15-19, 24-28, 25-20, 27-21

მსაჯები: ფ. არანა (ესპანეთი), ი. ჩალიკი (პოლონეთი), კ. დოდსი (შოტლანდია)

| ჰოლანდია | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. იანსენი | 34 | 8/18 | 44.4 | 2/6 | 33.3 | 6/12 | 50.0 | 2/2 | 100.0 | 0 | 0 | 0 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 2 | 5 | 24 |
| 6. დე იონგი | 15 | 3/7 | 42.9 | 3/6 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 1/1 | 100.0 | 2 | 1 | 3 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 | 2 | -2 | 7 |
| 7. კანინგემი | 6 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | -2 | 0 |
| 9. ტეეუვკენსი | 7 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -4 | 3 |
| 11. სმუელდერსი | 20 | 4/6 | 66.7 | 4/5 | 80.0 | 0/1 | 0.0 | 2/3 | 66.7 | 0 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 3 | -2 | 10 |
| *12. აკერბუმი | 28 | 8/11 | 72.7 | 5/6 | 83.3 | 3/5 | 60.0 | 3/3 | 100.0 | 2 | 1 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 3 | 3 | 1 | 22 |
| *14. ელსონი | 32 | 2/8 | 25.0 | 2/8 | 25.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 3 | 5 | 8 | 4 | 2 | 5 | 1 | 3 | 3 | 10 | 6 |
| *21. ნორელი | 25 | 6/10 | 60.0 | 6/9 | 66.7 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 4 | 5 | 1 | 1 | 1 | 0 | 4 | 3 | -2 | 12 |
| 22. კოენის. თ. | 3 | 1/1 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 |
| *44. სლაგთერი | 30 | 1/6 | 16.7 | 0/2 | 0.0 | 1/4 | 25.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 3 | 4 | 8 | 3 | 2 | 0 | 5 | 3 | 11 | 5 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 0 | 1 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 34/69 | 49.3 | 23/43 | 53.5 | 11/26 | 42.3 | 12/13 | 92.3 | 11 | 20 | 31 | 26 | 17 | 11 | 1 | 25 | 20 | | 91 |

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *6. ა. ბოისა | 10 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | -10 | 0 |
| *7. ფაჩულია | 31 | 7/7 | 100.0 | 7/7 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 9/10 | 90.0 | 1 | 8 | 9 | 0 | 4 | 1 | 0 | 3 | 6 | -5 | 23 |
| *8. ცინცაძე | 36 | 3/5 | 60.0 | 2/2 | 100.0 | 1/3 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 0 | 4 | 4 | 3 | 4 | 2 | 0 | 4 | 3 | -4 | 9 |
| 9. შერმადინი | 12 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 | 4 | 2 |
| *11. მარკოიშვილი | 33 | 6/10 | 60.0 | 5/5 | 100.0 | 1/5 | 20.0 | 2/4 | 50.0 | 0 | 3 | 3 | 3 | 4 | 3 | 0 | 4 | 3 | 0 | 15 |
| 12. ფაცაცია | 9 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 1/2 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 9 | 3 |
| *23. შენგელია | 38 | 7/12 | 58.3 | 7/11 | 63.6 | 0/1 | 0.0 | 6/9 | 66.7 | 3 | 6 | 9 | 2 | 3 | 2 | 2 | 4 | 6 | -5 | 20 |
| 34. პულენი | 32 | 6/17 | 35.3 | 5/9 | 55.6 | 1/8 | 12.5 | 3/5 | 60.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 3 | 0 | 1 | 5 | -4 | 16 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 0 | 0 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 30/55 | 54.5 | 26/34 | 76.5 | 4/21 | 19.0 | 24/32 | 75.0 | 7 | 25 | 32 | 11 | 19 | 11 | 2 | 21 | 25 | | 88 |

*შენიშვნა:* **წთ** *- წუთი,* **ს-თ** *- სროლა თამაშიდან,* **2ქ** *- ორქულიანი,* **3ქ** *- სამქულიანი,* **1ქ** *- საჯარიმო,* **მ-მ** *- მოხსნა მეტოქის ფარზე,* **მ-ს** *- მოხსნა საკუთარ ფარზე,* **მ** *- მოხსნა სულ,* **პ** *- პასი,* **შ** *- შეცდომა,* **ჩ** *- ჩაჭრა,* **დ** *- დაფარება,* **ფ** *- ფოლი,* **ფ-მ** *- ფოლი მეტოქეს,* **+/-** *- სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას,* **ქ** *- ქულა.*

| დრო | ჰოლანდია | ანგ. | საქართველო |
|---|---|---|---|
| **I პერიოდი** | | | |
| 09:28 | | 0:2 | ფაჩულია 2ქ |
| 08:37 | ნორელი 2ქ | 2:2 | |
| 08:23 | | 2:4 | ცინცაძე 2ქ |
| 07:40 | | 2:6 | შენგელია |
| 07:22 | ნორელი 2ქ | 4:6 | |
| 06:27 | სლაგთერი 1+1 | 6:6 | |
| 06:07 | აკერბუმი 3ქ | 9:6 | |
| 04:37 | | 9:8 | ცინცაძე 2ქ |
| 04:20 | აკერბუმი 2ქ | 11:8 | |
| 03:34 | | 11:10 | ფაჩულია 2ქ |
| 03:13 | | 11:12 | შენგელია 2ქ |
| 03:13 | | 11:13 | შენგელია 1ქ |
| 03:04 | სმუელდერსი 2ქ | 13:13 | |
| 02:50 | | 13:15 | პულენი 2ქ |
| 01:54 | | 13:17 | პულენი 2ქ |
| 01:37 | სმუელდერსი 2ქ | 15:17 | |
| 00:49 | | 15:19 | მარკოიშვილი 2ქ |
| **II პერიოდი** | | | |
| 09:43 | სმუელდერსი 2ქ | 17:19 | |
| 09:28 | კოენისი 2ქ | 19:19 | |
| 09:13 | | 19:22 | მარკოიშვილი 3ქ |
| 08:39 | | 19:24 | შერმადინი 1+1ქ |
| 08:34 | ნორელი 2ქ | 21:24 | |
| 08:14 | ტეეუვკენსი 3ქ | 24:24 | |
| 07:54 | | 24:26 | მარკოიშვილი 2ქ |
| 07:21 | | 24:28 | ფაჩულია 2ქ |
| 07:03 | | 24:30 | ფაჩულია 1+1ქ |
| 06:05 | ელსონი 2ქ | 26:30 | |
| 05:21 | | 26:32 | ფაჩულია 1+1ქ |
| 05:04 | აკერბუმი 2ქ | 28:32 | |
| 04:45 | | 28:35 | ფაცაცია 3ქ |
| 04:04 | | 28:37 | ფაჩულია 1+1ქ |
| 03:27 | | 28:39 | ფაჩულია 2ქ |
| 02:41 | | 28:41 | ფაჩულია 1+1ქ |
| 02:15 | იანსენი 3ქ | 31:41 | |
| 01:34 | აკერბუმი 2ქ | 33:41 | |
| 01:18 | | 33:43 | ცინცაძე 1+1ქ |
| 00:53 | | 33:45 | მარკოიშვილი 2ქ |
| 00:44 | ელსონი 1+1ქ | 35:45 | |
| 00:33 | | 35:47 | მარკოიშვილი 2ქ |
| 00:25 | აკერბუმი 3ქ | 38:47 | |
| 00:25 | აკერბუმი 1ქ | 39:47 | |
| **III პერიოდი** | | | |
| 09:45 | იანსენი 3ქ | | 42:47 |
| 09:25 | | 42:50 | ცინცაძე 3ქ |
| 08:47 | | 42:52 | პულენი 1+1ქ |
| 08:32 | იანსენი 3ქ | | 45:52 |
| 07:52 | სმუელდერსი 2ქ | 47:52 | |
| 07:23 | სლაგთერი 3ქ | 50:52 | |
| 07:07 | | 50:53 | შენგელია 1ქ |
| 06:46 | აკერბუმი 2ქ | 52:53 | |
| 05:18 | აკერბუმი 3ქ | 55:53 | |
| 04:59 | | 55:56 | პულენი 3ქ |
| 04:01 | | 55:58 | შენგელია 1+1ქ |
| 03:40 | აკერბუმი 2ქ | 57:58 | |
| 03:29 | | 57:59 | მარკოიშვილი 1ქ |
| 03:17 | სმუელდერსი 1+1ქ | 59:59 | |
| 03:03 | | 59:61 | შენგელია 2ქ |
| 02:12 | | 59:62 | მარკოიშვილი 1ქ |
| 02:01 | | 59:64 | პულენი 2ქ |
| 01:43 | იანსენი 3ქ | 62:64 | |
| 00:56 | | 62:65 | პულენი 1ქ |
| 00:39 | იანსენი 2ქ | | 64:65 |
| 00:22 | | 64:67 | შენგელია 2ქ |
| **IV პერიოდი** | | | |
| 09:48 | იანსენი 2ქ | 66:67 | |
| 09:26 | | 66:68 | ფაჩულია 1ქ |
| 08:56 | | 66:70 | პულენი 2ქ |
| 08:30 | იანსენი 3ქ | | 69:70 |
| 08:02 | იანსენი 3ქ | 72:70 | |
| 07:44 | | 72:72 | ფაჩულია 2ქ |
| 06:57 | დე იონგი 2ქ | 74:72 | |
| 06:57 | დე იონგი 1ქ | 75:72 | |
| 06:25 | | 75:74 | შენგელია 2ქ |
| 06:12 | ნორელი 2ქ | 77:74 | |
| 05:51 | დე იონგი 2ქ | 79:74 | |
| 05:31 | | 79:76 | პულენი 2ქ |
| 05:11 | ნორელი 2ქ | 81:76 | |
| 04:31 | ელსონი 2ქ | 83:76 | |
| 04:07 | | 83:78 | ფაჩულია 2ქ |
| 03:05 | | 83:80 | შენგელია 1+1ქ |
| 02:47 | ნორელი 2ქ | 85 - 80 | |
| 02:32 | | 85:82 | ფაჩულია 2ქ |
| 02:10 | | 85:84 | შენგელია 2ქ |
| 01:14 | დე იონგი 2ქ | 87:84 | |
| 00:41 | | 87:86 | მარკოიშვილი 2ქ |
| 00:41 | აკერბუმი 1+1ქ | 89:86 | |
| 00:15 | იანსენი 1+1ქ | 91:86 | |
| 00:00 | | 91:88 | შენგელია 2ქ |

საქართველო-ლატვიის მატჩის წინა დღისით ბალტიისპირელთა მთავარ მწვრთნელ **აინარს ბაგაცკისს** სასტუმროში ველაპარაკეთ. მან ჩვენი ქვეყანაც თბილად გაიხსენა და გულახდილადაც ილაპარაკა. აღნიშნა: ჯგუფში ყველაზე ძლიერი ნაკრები გყავთ და ფავორიტებიც ხართო. ისიც თქვა, საქართველოს ნაკრების კალათბურთელებს სერიოზული გამოცდილება აქვთ და თამაშის მოგება იციან, ახალგაზრდა ლატვიელებმა კი ჯერ არ უწყიან, როგორ უნდა დიდ მატჩებში გამარჯვება. ეს უშუალოდ ლატვიასთან შეხვედრისასაც გამოჩნდა - ბოლო წამზე **მეჟერისმა** ორი საჯარიმო ააცილა... ბაგაცკისმა ისიც დასძინა, რომ მის გუნდს ჰოლანდიასთან უფრო მეტი სხვაობით გამარჯვებაც შეეძლო (85:70 ლატვიის სასარგებლოდ).

■ ■ ■

თუ საქართველო ლატვიაზე ძლიერია, ხოლო ჰოლანდია ბალტიისპირელებზე სუსტი, მაშ რატომ დავმარცხდით ჰოლანდიაში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, შესაძლოა არაერთი მიზეზი ჩამოვთვალოთ, თუმცა, უკეთესი იქნება საქართველოში დაბრუნებული გუნდის მწვრთნელს მოვუსმინოთ. მანამდე კი ჩვენი აზრი დავაფიქსიროთ. ოღონდ, დღეს, პირველი წრის ბოლოს ნამდვილად არ შეიძლება ზედმეტი კრიტიკა, რადგან საქართველოს ნაკრებს კიდევ ოთხი მატჩი აქვს სათამაშო და გუნდს ბოლომდე მხარში უნდა ამოვუდგეთ, როგორც ჟურნალისტები, ასევე გულშემატკივრები. ფაქტს ხომ ვერსად გავექცევით - თითოეულმა კალათბურთელმა ძალ-ღონე არ დაიშურა თამაშის მოსაგებად, ისევე როგორც რუმინეთთან, ბოსნიასთანა და ლატვიასთან.

■ ■ ■

როცა კლასში დიდი სხვაობაა და ფავორიტი მარცხდება, ეს სენსაციად აღიქმება. საქართველოს ნაკრების მარცხი მართლაც მოულოდნელი იყო, მითუმეტეს, რომ ჩვენმა კალათბურთელებმა პირველი ტაიმი ჰოლანდიელებზე უკეთესად ჩაატარეს. მეორე ნახევრის დასაწყისში კი ნარინჯისფრებმა თამაშის შემოტრიალება სამქულიანებით სცადეს, ბურთი ჩვენს ნახევარზე გადმოჰქონდათ, კარგად ატრიალებდნენ და პერიმეტრიდან ზუსტად ისროდნენ. მათ 11-დან 5 სამქულიანი მესამე ათწუთეულში ჩააგდეს. ჰოლანდიელებს მეორე ტაიმში არც საშუალო ტყორცნები დაეწუნებოდათ, დაცვაში დროულად დაბრუნებასაც ასწრებდნენ... მოკლედ, მეორე ნახევარში მეტოქე ჩვენზე ენერგიულად გამოიყურებოდა. შესაძლოა, ამაზე გარკვეულწილად იმოქმედა ჯგუფის კალენდარმა: საქართველოს ნაკრებმა 18 აგვისტოდან სამ დღეში ერთხელ სამი რთული მატჩი ჩაატარა, ხოლო ჰოლანდიელების დასვენება მაინცდამაინც ჩვენთან თამაშამდე დაემთხვა. მათ ბოლოს 21 აგვისტოს ლატვიასთან ითამაშეს და 27-მდე ძალების აღდგენა მეტ-ნაკლებად კარგად მახერხეს. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ლატვიელთა თავკაცმა აინარს ბაგაცკისმა ინტერვიუში: გადაღლილობა თავს ამა თუ იმ შეხვედრისა და შეჯიბრების ბოლოს იჩენსო.

■ ■ ■

მართალია, სხვა მატჩებისგან განსხვავებით მოხსნებში ვიმარჯვეთ - 32:31, მაგრამ მაინც დანანებით უნდა აღვნიშნოთ: **ვიქტორ სანიკიძის** არყოფნა დიდი დანაკლისი იყო. მას მხარი აწუხებდა და შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. მოხსნებს რომ თავი დავანებოთ, ვიქტორი სწრაფი შეტევებისას საგრძნობლად გვაკლდა...

■ ■ ■

იმავე კალენდრის მიხედვით საქართველოს ნაკრებს დასვენება ჰოლანდიასთან მატჩის შემდეგ უწევს. 2 სექტემბერს რუმინეთი ჰოლანდიას ეწვევა, ხოლო ბოსნია - ლატვიას. საქართველო კი მომდევნო თამაშს 5 სექტემბერს რუმინეთში გამართავს. ასე რომ, ჩვენი გუნდი მეორე წრეს ახალი ენერგიით დაიწყებს. იმედი დავიტოვოთ, რომ მანამდე ვიქტორ სანიკიძეც მოიშუშებს ტრავმას.






**ვაჟა სიმონიშვილი**

**ლატვია-რუმინეთი 89:53**

21-14, 28-15, 21-10, 19-14

**ლატვია:** ვეცვაგარსი (1ქ), მარეკს მეჟერისი (2ქ), ფრეიმანისი (4ქ), დავის ბერტანსი (5ქ), ჟერომანოვსი (16ქ), შტრელნიეკსი (12ქ), კ. ბერზინსი (4ქ), შელაკოვსი (7ქ), მარტინს მეჟერისი (4ქ), კუკსიკსი (19ქ), ა. ბერზინსი (2ქ), დაირის ბერტანსი (13ქ).

**რუმინეთი:** მანდაჩე (14ქ), პაული (2ქ), დრაგუშინი (7ქ, 7მ), ანდრეი, პოპესკუ (2ქ), მოლდოვანუ (11ქ), ბაჩიუ, ჩალოტა (1ქ), ლაზარი, იუკანი, ნიკოარა (9ქ), სილვასანი (7ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 4 | 3 | 1 | 343/326 | 7 |
| 2. ბოსნია | 4 | 3 | 1 | 373/348 | 7 |
| 3. ლატვია | 4 | 2 | 2 | 334/289 | 6 |
| 4. ჰოლანდია | 4 | 1 | 3 | 334/370 | 5 |
| 5. რუმინეთი | 4 | 1 | 3 | 286/337 | 5 |



● აია. ინტერვიუ ბესიკ ხამაშურიძესთან



# ჩემპიონატი ძალიან დაძაბული იქნება

## ქუთათურები ოპტიმიზმს და ამბიციებს ინარჩუნებენ

**ქუთაისის „აია“ შარშან ოქროს მედლებთან ახლოს იყო, რეგულარული ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატარა და ფინალშიც გავიდა, სადაც ჩემპიონობა „არმიასთან დაძაბულ ბრძოლაში დათმო. ქუთათურებმა გარდამავალ თასზეც კარგად ითამაშეს, თუმცა მათ გზაზე ამჯერადაც „არმია“ გადაელობათ, რომელმაც „აია“ ნახევარფინალიდან გამოთიშა. ბესიკ ხამაშურიძისა და კობა გიორგაძის გაწვრთნილი გუნდი სამი წელიწადია სტაბილურად ასპარეზობს და რაგბის მოყვარულები მისგან წლეულსაც წარმატებულ თამაშს ელოდებიან. ამბიციები ქუთათურებსაც არ განელებიათ და ისინი კვლავ ჩემპიონობას ისახავენ მიზნად. „აიას“ საჩემპიონატო მზადებასა და მიზნებზე ქუთაისელთა მოთამაშე მწვრთნელი ბესიკ ხამაშურიძე გვესაუბრება.**

ჩემპიონატისთვის მზადება 1 აგვისტოს დავიწყეთ. ჯერ ქუთაისში ვვარჯიშობდით ახლა კი გრიგოლეთში ვართ შეკრებაზე. მზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ორჯერადი წვრთნები გვაქვს, ბიჭები მონდომებით ემზადებიან და, ვფიქრობ, ჩემპიონატს კარგ ფორმაში შევხვდებით. 30 აგვისტომდე გრიგოლეთში დავრჩებით, 1 სექტემბერს კი ჩემპიონატის პირველ მატჩში „ბათუმს“ ვუმასპინძლებთ.

**- გუნდში ცვლილებებსა და სხვა სიახლეებზე რას გვეტყვით?**

- საფრანგეთიდან დაგვიბრუნდა გამოცდილი ცხრა ნომერი გიორგი როხვაძე. დანარჩენები ძირითადად ახალგაზრდები არიან და მეორე ქუთაისური გუნდიდან „ბაგრატიდან“ გადმოვიყვანეთ. დანაკლისიც გვაქვს - საფრანგეთში გააგრძელებენ კარიერას ჩვენი პირველხაზელები ზურაბ ჟვანია („სტად ფრანსე“) და ტატო ჩხიკვაძე („კასტრი). გუნდიდან მიდის თორნიკე ლომიძეც. მათი შეცვლა რთული იქნება, თუმცა „ბაგრატიდან“ გადმოყვანილი ახალგაზრდების გვეიმედება და გვჯერა, რომ ისინი ღირსეულად შეცვლიან გუნდიდან წასულ ბიჭებს.

**- იყო პერიოდი, როცა სეზონის დაწყებამდე „აია“ ერთბაშად 10-15 მორაგბეს ეთხოვებოდა, რაც გუნდის დასუსტებას იწვევდა. მართალია, რამდენიმე კარგი მორაგბე ახლაც წავიდა გუნდიდან, მაგრამ, ძირითადი ბირთვი შენარჩუნებული გაქვთ და ალბათ, ლიდერობის ამბიციაც არ დაგიკარგავთ...**

- დიახ, ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ და „აიას“ მიზანი წლეულსაც უცვლელია, ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ. ჩემპიონობა, აი ეს არის ჩვენი მიზანი!

**- გუნდის ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვით?**

- უკანა ხაზში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს, ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეები არიან და მათზე დიდ იმედებს ვამყარებთ. შერკინებაშიც არ გვიჭირს. რა თქმა უნდა, გვაქვს ხარვეზებიც, რის გამოსასწორებლადაც ვმუშაობთ.

**- მეტოქეებზე რას გვეტყვით, ვინ მიგაჩნიათ ძირითად კონკურენტებად?**

- მოქმედ ჩემპიონ „არმიას“ კვლავ ძლიერი გუნდი ეყოლება და ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. გაძლიერდა „არმაზიც“. მარტო ის რად ღირს, რომ ამ გუნდმა გამოცდილი ირაკლი მაჩხანელი დაიმატა. „ლელო“ და „ლოკომოტივი“ ტრადიციულად მებრძოლი და ძლიერი გუნდები არიან. დარწმუნებული ვარ, წლეულს ძალიან დაძაბული და საინტერესო ჩემპიონატი გვექნება. სიურპრიზებს ყველასგან უნდა ველოდოთ.

**- „დინამოს სტადიონი ჩემპიონატის სამასპინძლოდ მზად არის?**

- რაც იყო ის არის, არაფერი შეცვლილა, თუმცა ამ ეტაპზე არჩევანი არ გვაქვს და შეხვედრები „დინამოზე“ უნდა გავმართოთ.

**აია (ქუთაისი)**

პირველი ხაზი: **თორნიკე ლომიძე, ამირან ნაქაძე, მერაბ მატკავა, ბექა არაბიძე, გიორგი ლომთაძე, მიხეილ რატიშვილი, ირაკლი ულუმბერაშვილი.**

მეორე ხაზი: **გელა შალამბერიძე, გიორგი ჩიტეიშვილი, ბიძინა ჯიმშიტაშვილი, ერეკლე ხელაძე.**

მესამე ხაზი: **ბექა ყურაშვილი, ირაკლი რევიშვილი, გიორგი ცირეკიძე, ლევან თხელიძე, ნოდარ მარდალეიშვილი, ირაკლი დგებუაძე, შაკო შანშიაშვილი.**

№9: **ლევან გოგია, გიორგი როხვაძე.**

№10: **გაგა სინაურიძე, ლევან შარვაშიძე.**

№12-13: **გიორგი ზიბზიბაძე, გიგლა კუხიანიძე, ზურაბ ძნელაძე.**

№11-14: **ბაკურ გოშაძე, გიორგი აბრამიძე, იოსებ კიკვაძე, გიორგი ფრუიძე.**

№15: **ბესიკ ხამაშურიძე, სერგო კვერნაძე.**

**დავით პოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ოთხი ერი

# ერთი თამაში, საზეიმო

**ანდების დათოვლილი მწვერვალების ფონზე მენდოსას „მალვინას არხენტინოს“ სტადიონი ყველაზე ლამაზი სპორტული არენაა ამ რეგიონში. სიმბოლურია, რომ სწორედ აქ არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა კიდევ ერთხელ გააოცა მსოფლიო. „პუმებმა“ სამხრეთ აფრიკის მრისხანე ნაკრებს უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს და ფრეს გამოჰკრეს ხელი - 16:16.**

აქამდე ასე იყო, არგენტინელები თავისი ქვეყნის სიყვარულში, გააზრებულ, მიზანმიმართულ ბრძოლაში სამაგალითონი იყვნენ. ასეა ახლაც, შეხედეთ როგორ მღერიან ეროვნულ ჰიმნს და კიდევ ერთხელ თავად დარწმუნდებით ამაში.

არგენტინის ნაკრების ყველაზე ძლიერი მხარე დაცვაში თამაშია. ისინი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან. ასე იყო მენდოსაშიც, მართალია, „პუმებმა“ ვერ მოიგეს, მაგრამ ეს ის ფრეა, რომელიც გამარჯვების ტოლფასია. ამ მატჩის შედეგით არგენტინამ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ უჩვენა თავის ძალა და სამომავლო პოტენციალი.

ბევრმა შეიძლება ისიც გაიხსენოს, რომ იტალიის ნაკრებმა ექვსი ერის გათამაშების პირველივე სეზონზე, პირველივე მატჩში შოტლანდიის ნაკრები დაამარცხა (მაშინ სკოტების მთავარი მწვრთნელი **რიჩი დიქსონი** იყო), მაგრამ მერე დიდხანს ჩაწვა ამ ტურნირის ფსკერზე. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ არგენტინასაც იგივე ხვედრი ელოდება ოთხი ერის გათამაშებაში. გამორიცხული არაფერია, თუმცა თვით ფაქტი ღირსშესანიშნავია და, ვფიქრობთ, სადავო არაფერია.

არგენტინის ნაკრები მენდოსაში თამაშამდე ორი დღით ადრე ჩავიდა და აეროპორტში მას ხუთასამდე ქომაგი დახვდა. ამის გამო „პუმებმა“ ავტობუსამდე ორმოცდაათი მეტრის გავლას ნახევარი საათი მოანდომეს. მატჩის დღეს კი, ქალაქის ბარები და კაფეები შეხვედრის დაწყებამდე ოთხი საათით ადრე გადაჭედილი იყო, ყველა დიდი ამბის მოლოდინში გახლდათ.

სტადიონისკენ ქომაგები ტრადიციულად ჯგუფებად, სიმღერითა და ხმამაღალი შეძახილებით მიემართებოდნენ. ერთი ეგ იყო, ლუდის ქილები ხელში არავის ეჭირა. ფეხბურთის აბეზარი გულშემატკივრების გამო, აქ სტადიონებზე ლუდის შეტანა და დალევა აკრძალულია. ასე რომ, რაგბის ქომაგებს მოთმენამ თამაშის დასრულებამდე მოუწიათ.

საოცარია, მაგრამ სტადიონზე ანშლაგი არ შედგა. ტრიბუნებზე დაახლოებით ხუთი ათასი ადგილი თავისუფალი იყო. თუმცა არგენტინელები გვპირდებიან, რომ ლა პლატაში ახალი ზელანდიის ნაკრებთან და მერე ავსტრალიასთანაც სტადიონები პირთამდე შეივსება.

თუმცა ყოველივე ეს არაფრით ადარდებდა იმ 37 ათას ქომაგს, რომელიც სტადიონიდან ამაყი, წელში გამართული ბრუნდებოდა ქალაქში. „პუმების“ საქომაგოდ ამ უზარმაზარი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩავიდნენ მენდოსაში. მთავარი მათი რაოდენობა არ არის, მთავარი ისაა, რომ ისინი მარტონი არ არიან. მთელი რეგიონი მათ გულშემატკივრობს. როცა „ოლ ბლექსი“ და „ვოლაბები“ არგენტინას ეწვევიან, ბრაზილია, ურუგვაი და ჩილე არგენტინას დაუდგება გვერდში. როცა საქმე რაგბის ეხება, „საზღვრები იხსნება“ და მთელი სამხრეთ ამერიკა ერთი ხდება.

არგენტინაში რაგბი ვითარდება, პოპულარული ხდება. სწორედ ამიტომაა, რომ ბობოლების ჰეგემონია „პუმებმა“ მეორევე ტურში დაარღვიეს. როგორი საქმეა, ავსტრალიას 0 ქულა აქვს, არგენტინას 2.

*„მას შემდეგ, რაც ოთხი ერის გათამაშებისთვის მზადება დავიწყეთ, მხოლოდ ერთი მიზანი დავისახეთ. ტურნირი რომ დასრულდება, უნდა შევძლოთ ერთმანეთს თვალებში შევხედოთ“* - თქვა არგენტინის ნაკრების კაპიტანმა **ხუან ფერნანდეს ლობემ.**

**ბესიკ ჯანგავაძე**




● პროპაგანდა

# ჩვენი მიწა, ჩვენი გზა

**უელსის ტელეარხებზე კიდევ ერთი სარაგბო რეკლამა გამოჩნდა. „წითელი ურჩხულების“ ფულბეკი ლეიგ ჰალპფენი ზღვის ქვიშიან სანაპიროზე ცხენთან ერთად დარბის.**

უელსის რაგბის კავშირმა სარეკლამო კამპანია წამოიწყო, რომელიც ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებულის, უელსის ეროვნული გუნდის ნოემბრის ტესტებს უკავშირდება. უელსელები შინ ოთხ შეხვედრას გამართავენ არგენტინის, სამოას, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებებთან. ამ კლიპს წინ უსწრებდა კიდევ ერთი სარეკლამო რგოლი, რომელშიც უელსის ნაკრების გარემარბი **ჯორჯ ნორსი** ულრან ტყეში უზარმაზარ ხეებს მარტო ჭრის.

ალსანიშნავია, რომ მზადდება კიდევ ორი კლიპი **რის პრისტლენდის** და **დენ ლიდიატის** მონაწილეობით. ჰალპფენის სარეკლამო რგოლის არსი კი ასეთია: ის ცხენის მხარდამხარ გარბის ზღვის სანაპიროზე, რითაც განასახიერებს, თუ როგორი ფიზიკური მზადყოფნაა საჭირო თანამედროვე სპორტსმენისთვის.

*„ჩვენ ევროპის საუკეთესო გუნდი ვართ და ამიტომ, ნოემბერში, ოთხივე სტუმარი გაორმაგებული ენერგიით ეცდება დაგვამარცხოს. ეს სარეკლამო კამპანია კი საიმისოდ წამოვიწყეთ, რომ ყველას დავანახვოთ, რა მძიმე შრომა უწევთ მოთამაშეებს, რათა იმ სიმაღლეებს მიაღწიონ, რომელზეც ამჟამად იმყოფებიან და ახლაც, კიდევ უფრო რომ განვვითარდეთ, არანაკლები გარჯა გვმართებს.*

*უელსის ნაკრები ნოემბრის ტესტების წინ ტრადიციულად პოლონეთში გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე. დარწმუნებული ვარ არგენტინის, სამოას, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის ნაკრებებთან კარდიფში, „მილენიუმზე“ შესანიშნავი ბრძოლები გაიმართება. უნდა ვცადოთ და ოთხივე მატჩი მოვიგოთ.*

*იმედი გვაქვს, რომ ეს სარეკლამო კამპანია ქომაგებს კიდევ უფრო მეტად განაწყობს, რათა საყვარელ გუნდს ოთხივე შეხვედრაში გულმხურვალედ დაუჭირონ მხარი. მოსცილდნენ ტელევიზორებს, მოვიდნენ სტადიონზე და „წითელი ურჩხულების“ ზეობა საკუთარი თვალით იხილონ“* - თქვა უელსის რაგბის კავშირის კომერციულმა დირექტორმა **კრეიგ მაქსველმა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**



## უცხოური სპორტი

**მოტოგრანპრი**


დანი პედროსა

# ბრძოლა დაიძაბა

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩეხეთის გრანპრით გაგრძელდა.

შაბათს, საკვალიფიკაციო რბოლა საერთო ჩათვლის ლიდერმა **ხორხე ლორენსომ** მოიგო, მისი მთავარი კონკურენტი - **დანი პედროსა** მესამე იდგა სასტარტო ბილიკზე. ამჯერად სტარტზე არ გასულა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი - ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი**, რომელმაც ამერიკის გრანპრიზე ტრავმა მიიღო და საოპერაციო შეიქნა.

ლორენსომ სტარტზე შეძლო უპირატესობის შენარჩუნება, პედროსამ კი **კელ კრატჩლოუს** გაუსწრო და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. სტარტი ჩაავგდო **ბენ სპისმა**, რომელიც პელოტონის შუაში აღმოჩნდა, შემდეგ კი საერთოდ ტრასიდან გადავარდა. სტარტის შემდეგ, პილოტები ასეთი თანამიმდევრობით მოძრაობდნენ: ლორენსო, პედროსა, კრატჩლოუ, **დოვიციოზო, როსი, ბაუტისტა, ბრადლი...**

პედროსა შორს არ უშვებდა ლიდერ ლორენსოს, მაგრამ კარგა ხანი შეტევებისგან თავს იკავებდა. ლიდერის შეცვლა მე-12 წრეზე მოხდა, როცა დანიმ ეფექტური მანევრით გვერდი აუარა თანამემამულეს, რის შემდეგაც, მოსალოდნელმა პოდიუმმა თითქოს საბოლოო სახე მიიღო: პედროსა, ლორენსო და კრატჩლოუ.

ლორენსო ასე იოლად არ შეურიგდა ნაგებას და ბოლო წრეზე ბრწყინვალე პილოტაჟის წყალობით წინ გასვლა მოახერხა, მაგრამ მისი გულშემატკივრების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. პედროსამ ბოლო ძალები მოიკრიბა და ორი მოსახვევის შემდეგ ლიდერობა დაიბრუნა.

ამ მოგების შემდეგ, დანი საერთო ჩათვლაში 13 ქულამდე მიუახლოვდა ლორენსოს, რაც დარჩენილ ეტაპებზე დაძაბულ ბრძოლას გვპირდება.

### ჩეხეთის გრანპრი

1. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 22 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - +0,178; 3. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა“) - +12,343; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა“) - +18,591; 5. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა“) - +25,582; 6. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა“) - +29,451; 7. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - +34,514; 8. **რენდი დე პუნიე** (საფ, ART) - +1.04,285; 9. **კარელ აბრაჰამი** (ჩეხ, „დუკატი“) - +1.08,278; 10. **ალეის ესპარგარო** (ესპ, ART) - +1.09,972...

### საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 245 ქულა; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 232; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - 186; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა“) - 150; 5. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა“) - 122; 6. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა“) - 105; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა“) - 102; 8. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - 100; 9. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - 84; 10. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - 66...

**ფორმულა 1**

# შუმახერი 300

ბელგიის გრანპრი - განსაკუთრებული რბოლაა "მერსედესისთვის", რადგან ეს ეტაპი მე-300 იქნება **მიხაელ შუმახერის** კარიერაში და ის გაიმართება ტრასაზე, რომელზეც ლეგენდარულმა გერმანელმა 1991 წელს დაიწყო გამოსვლა ფორმულა 1-ში.

"სპა - ერთ-ერთი კლასიკური ტრასაა კალენდარში, ის უყვართ მრბოლელებს, ინჟინრებს და გულშემატკივრებს. მასზე ძალიან საინტერესოა ბრძოლისთვის დაკვირვება და აქ ყოველთვის კარგი სანახაობის გარანტია არსებობს.

ზედიზედ მეორე წელია სპაზე რბოლა განსაკუთრებული იქნება მიხაელისთვის და ჩვენი გუნდისთვის. გასულ წელს აღინიშნა შუმის გამოსვლის 20 წლისთავი, ახლა კი მას ელის მე-300 გრანპრი კარიერაში. ეს ფანტასტიკური მიღწევაა, უფრო მეტი ეტაპი მხოლოდ ერთ პილოტს აქვს ჩატარებული და იმედი გვაქვს, რომ ამ იუბილეს ძლიერი გრანპრით აღვნიშნავთ", - ამბობს "მერსედესის" შეფი **როს ბრაუნი**.

"სპას ტრასას საკუთარი საძინებელივით ვიცნობ და ის საუკეთესოდ მიმაჩნია მსოფლიოში. ჩემი კარიერის ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა უკავშირდება ამ ტრექს – დებიუტი ფორმულა 1-ში, პირველი გამარჯვება, პირველი ტიტული. სპაზე ბევრი შესანიშნავი რბოლა ჩამიტარებია და ის ფაქტი, რომ სწორედ აქ გაიმართება ჩემი მე-300 გრანპრი, გაკვირვებას სრულიადაც არ იწვევს – ასე უნდა მომხდარიყო და ახლა, საჭიროა სწორად აღვნიშნოთ ეს იუბილე.

ვამაყობ იმით, რომ მეორე პილოტი გავხდი ისტორიაში, ვინც ეს ზღვარი გადალახა და იმედია, ეს კარგი უქმეები იქნება. ერთი წლის წინ, ჩვენ კარგად ვიმუშავეთ სპაზე და ახლაც ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მთელი რბოლა წარმატებული იყოს", - ამბობს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი.

"ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში მიხაელ შუმახერმა ფორმულა 1-ის წამყვან პილოტებზეც ილაპარაკა. მან საუკეთესო ავტომრბოლად **ფერნანდო ალონსო** მოიხსენია, ხოლო თანამემამულე **სებასტიან ფეტელზე** განაცხადა, რომ ის კვლავაც სწავლის პროცესშია...

"ალონსო ძალიან კონკურენტუნარიანია. არის მომენტები, როცა გგონია, რომ მას აბსოლუტურად ყველაფერი შეუძლია, მაგრამ ეს ასე აღარ არის – ის ამაზე დიდი ხანი მუშაობდა.

სებასტიან ფეტელი – შესანიშნავი ახალგაზრდა და ბრწყინვალე პილოტია, მაგრამ სხვა სიტუაციაში იმყოფება და ჯერ სწავლას განაგრძობს. იმისთვის, რომ ნამდვილი გამარჯვებული გახდე, ნაგება უნდა ისწავლო – ესეც ახლის გაგების პროცესია. როცა ნაგებას ისწავლი, კიდევ უფრო მეტად დააფასებ გამარჯვებას.

ნებისმიერი პილოტის კარიერა შედგება პროგრესისა და ჩავარდნის პერიოდებად. ჯერჯერობით ერთი წამით არ გამომითქვამს სინანული დაბრუნების გამო – ბევრი პოზიტიური მომენტი იყო, რაც უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი დარჩა. სამწუხარო იქნება, თუ კარიერას ისე დავასრულებ, რომ ერთ რბოლასაც ვერ მოვიგებ. წელს არ შეგვიძლია ტიტულზე ფიქრი და ჯერჯერობით გაუგებარია, შევძლებთ თუ არა ამის გაკეთებას მომავალ წელს.

კონტრაქტის გაგრძელება? არ მინდა ამ თემაზე კომენტარი", - ასეთია ნაწყვეტები მიხაელ შუმახერის ინტერვიუდან.


ალონსო და შუმახერი

**რალი**


სებასტიან ლოები

# თითქმის ცხრაგზის

თითქმის გარკვეულია მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ რალიში. ლეგენდარულმა ფრანგმა რალისტმა **სებასტიან ლოებმა**, რომელიც „სიტროენის“ მანქანით ასპარეზობს, გერმანულ ეტაპზე თავიდანვე მოიპოვა ლიდერობა და ის ბოლომდე არავის დაუთმო.

კვირას მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონს აღარ სჭირდებოდა სრული ძალით შეტევა, მაგრამ ფრანგმა მაინც მოიგო ორი სპეცმონაკვეთი და მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მან უახლოეს მდევარს, „ფორდით“ მოასპარეზე ფინელ **იარი-მატი ლატვალას** ზუსტად ორი წუთი მოუგო.

ლოებმა ზედიზედ მეხუთე ეტაპი მოიგო, სულ კი ამ ჩემპიონატში შვიდი გამარჯვება (ცხრა ეტაპიდან) დაუგროვდა. ამის წყალობით, ფრანგი 54 ქულით უსწრებს გენერალურ კლასიფიკაციაში უახლოეს მდევარს, თანაგუნდელ **მიკო ჰირვონენს**. შესაბამისად, სებასტიანს სასწაული თუ შეუშლის ხელს კარიერაში ზედიზედ მეცხრე ტიტულის მოპოვებაში.

### გერმანიის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 3:41.52,4; 2. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა“) - +2.00,1; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) - +2.31,4; 4. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +3.24,4; 5. **კრის ატკინსონი** (ბრიტანეთი, „მინი“) - +9.10,4; 6. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „შკოდა“) - +9.50,8; 7. **ანდრეას მიკელსენი** (ნორვეგია, „შკოდა“) - +12.22,7; 8. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, „სიტროენი“) - +12.50,4; 9. **ოტ ტანაკი** (ესტონეთი, „ფორდი“) - +13.01,3; 10. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი“) – +14.17,3...

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 199 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „სიტროენი“) – 145; 3. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) – 104; 4. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) – 102; 5. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი“) - 87; 6. **ევგენი ნოვიკოვი** (რუსეთი, „ფორდი“) – 55; 7. **მარტინ პროკოპი** (ჩეხეთი, „ფორდი“) - 38; 8. **ტიერი ნოივილი** (ბელგია, "სიტროენი") - 32; 9. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „შკოდა“) - 31; 10. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „მინი“) – 30...

**ველოსპორტი. ვუელტა**

# ლიდერი სხვაობას ზრდის

ველომარათონ ვუელტაზე გაიმართა მეცხრე ეტაპი და ესპანეთში პირველი გამარჯვება მოიპოვა ერთდღიანი რბოლების ოსტატმა - ბელგიელმა **ფილიპ ჟილბერმა**. მეორე მივიდა ფინიშთან გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი **ხოაკიმ როდრიგესი**, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა კონკურენტებთან.

მეცხრე ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი იყო წლევანდელ ვუელტაზე - ველომრბოლებს ანდორადან ბარსელონამდე თითქმის 200 კილომეტრი უნდა გაევლოთ. გზად მონაწილეებს მესამე კატეგორიის სირთულის ორი მთა უნდა დაელაშქრათ, აქედან ერთ-ერთი ამაღლება მათ ზედ ფინიშთან ელოდათ.

დისტანციის პირველ ნახევარზე სამმა ველომრბოლმა მოახერხა გაქცევა და პირველ მთასთან მათი უპირატესობა ხუთ წუთს შეადგენდა. თუმცა დაშვებისას სხვაობამ შემცირება დაიწყო და ფინიშამდე 60 კილომეტრით ადრე, უპირატესობა მხოლოდ სამი წუთი იყო.

პელოტონი დაწინაურებულებს მალე დაეწია, ამიტომაც მაყურებელმა კიდევ ერთი შეტევა იხილა - „ანდალუსიის“ წევრმა **ხესუს როსენდომ** მარტო სცადა ფინიშამდე მისვლა, მაგრამ ის მალე დააბრუნეს ძირითად ჯგუფში.

რბოლის მიმდინარეობას რუსული საჯინიბო „კატიუშა“ აკონტროლებდა, რომელიც ხოაკიმ როდრიგესის წითელ მაისურს იცავდა, ბოლო აღმართის წინ კი ინიციატივა „თიმ სქაის“ წევრებმა აიღეს ხელში. პირველი შეტევა **ალბერტო კონტადორმა** წამოიწყო, მაგრამ მან მხოლოდ „გაწელა“ ძირითადი ჯგუფი. უფრო სერიოზული იყო სამთო კლასიკური რბოლების სპეციალისტების - ფილიპ ჟილბერისა და ხოაკიმ როდრიგესის იერიში.

მთის წვერზე, ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე მათ 15-წამიან უპირატესობას მიაღწიეს. მართალია, სხვა ფავორიტებმა მათი დაწევა სცადეს, მაგრამ ბელგიელმა და ესპანელმა პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. ეტაპზე გამარჯვება ჟილბერს დარჩა.

როდრიგესმა კიდევ უფრო გაიმყარა უპირატესობა გენერალურ კლასიფიკაციაში. ახლა ის 53 წამს უგებს მეორე ადგილზე მყოფ **კრისტოფერ ფრუმს**, ხოლო ალბერტო კონტადორის ჩამორჩენა ზუსტად ერთ წუთს უდრის.


ჟილბერი და როდრიგესი ერთად მივიდნენ

### IX ეტაპი

### ანდორა-ბარსელონა (196.3 კმ)

1. **ფილიპ ჟილბერი** (ბელგია, BMC) - 4:45.28; 2. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა“) - იგივე დრო; 3. **პაოლო ტირალონგო** (იტალია. „ასტანა“) - +0.07; 4. **ტომაშ მარჩინსკი** (პოლონეთი, Vacansoleil) - +0.09; 5. **დანიელე ბენატი** (იტალია, Radioshack) - იგივე დრო; 6. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - 34:44.55; 2. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +0.53; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - +1.00; 4. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +1.07; 5. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +2.01; 6. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა“) - +2.08....

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი

# ლენსს უთხრეს: აღიარე და ხუთს დაგიტოვებთო


ლენს არმსტრონგი

ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს (USADA) პრეზიდენტმა **ტრევის ტაიგარტმა** განაცხადა, რომ ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** შეიძლება შეინარჩუნოს ტიტულების ნაწილი, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლეგენდარული სპორტსმენი აღიარებს აკრძალული პრეპარატების გამოყენებას. ამის შესახებ გაზეთი USA Today წერს.

24 აგვისტოს გახდა ცნობილი, რომ არმსტრონგმა შეწყვიტა ბრძოლა USADA-თან, რომელიც მრბოლელს დოპინგის გამოყენებასა და სხვა სპორტსმენების აკრძალული პრეპარატების გამოყენებისკენ წაქეზებაში ადანაშაულებდა. ანტისადოპინგო სააგენტოში ბრძოლაზე უარის თქმა ველომრბოლისგან დანაშაულის აღიარებად აღიქვეს. არმსტრონგს ემუქრება სამუდამო დისკვალიფიკაცია და 1998 წლიდან დღემდე მოპოვებული ყველა ტიტულის ჩამორთმევა, მათ შორისაა ტურ დე ფრანსზე მოგებული შვიდი ჩემპიონობა. სპორტსმენის დასჯის საბოლოო გადაწყვეტილება ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა უნდა მიიღოს.

ტრევის ტაიგარტმა განაცხადა, რომ არმსტრონგს ჯერ კიდევ რჩება სასჯელის შერბილების შანსი. ამისთვის სპორტსმენმა უნდა აღიაროს დოპინგის გამოყენება და ჩაერთოს სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში. ასეთ შემთხვევაში, ამერიკელს შეუმცირებენ დისკვალიფიკაციის ვადას და ჩამოართმევენ 2004 წლის შემდეგ მოპოვებულ ტიტულს. ასე რომ, არმსტრონგი შეძლებს ტურ დე ფრანსის ხუთი ტიტულის შენარჩუნებას.

ტაიგარტი ამბობს, რომ USADA-ს გაუჭირდა არმსტრონგის დასჯის გადაწყვეტილების მიღება. ორგანიზაციის შეფის განცხადებით, ყოველთვის მძიმეა, როცა კერპები იმედგაცრუების საბაბს გაძლევენ. მაგრამ სპორტსმენის დასჯა მაინც აუცილებელი იყო, სხვა ათლეტებისთვის მაგალითის მისაცემად.

USADA-ს პრეზიდენტმა ასევე დაამატა, რომ ბოლო დროს, ორგანიზაციის მისამართით არმსტრონგის მხარდასაჭერი ბევრი წერილი მოვიდა. ტაიგარტი ამბობს, რომ ესმის ამ ხალხის და თავადაც მზად არის, ყველანაირად მხარში ამოუდგეს მრბოლელს.

კერძოდ, მხარდაჭერის ერთ-ერთი ხერხი გახდა ფულის გადარიცხვა ლენსის სახელობის ფონდში, რომელიც კიბოთი დაავადებულ ადამიანებს ეხმარება. USA Today-ს ინფორმაციით, 24 აგვისტოს შემდეგ, ფონდის ანგარიშზე 174 ათასი დოლარი ჩაირიცხა. მანამდე, არმსტრონგის ფონდის შემოსავალი დღეში საშუალოდ სამი ათას დოლარი შეადგენდა.

კრივი

# ვიტალის ცოლი უმღერებს

**ვიტალი კლიჩკოს** მეუღლე - **ნატალია** სიმღერას შეასრულებს თავისი ქმრის საჩემპიონო ბრძოლის წინ, რომელშიც სუპერმძიმე წონით კატეგორიაში WBC-ის ჩემპიონი 8 სექტემბერს, მოსკოვში შეხვდება გერმანელ **მანუელ ჩარს.**

ნატალია კლიჩკო შეასრულებს სიმღერას - The Power of Love. ეს კომპოზიცია გასული საუკუნის 80-იან წლებში **ჯენიფერ რაშმა** ჩაწერა და შემდეგ კიდევ რამდენიმე მომღერალმა შეასრულა, მათ შორის, **სელინ დიონმა**.

უკრაინელი მოკრივის მეუღლეს აკომპანირებას გაუწევს მევიოლინეთა კვარტეტი – Aphrodite. ნატალია კლიჩკოს ამ სიმღერის ჩაწერა კვარტეტის პროდიუსერმა **გიუნტერ მენდემ** შესთავაზა, რომელიც ადრე სელინ დიონთან მუშაობდა.

2010 წელს გერმანული ტელევიზიის ეთერში ნატალია კლიჩკომ შეასრულა რომანსი კინოფილმიდან – "სასტიკი რომანსი". აღსანიშნავია, რომ მეუღლეს გიტარით აკომპანირებას თავად ვიტალი კლიჩკო უწევდა.

ამასობაში, უფროსმა კლიჩკომ განაცხადა, რომ არასოდეს გავა რინგზე **ევანდერ ჰოლიფილდის** წინააღმდეგ.

ამ ცოტა ხნის წინ, 49 წლის ამერიკელმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ დღემდე არ დაუმთავრებია კარიერა და მასთან ბრძოლა ძმები კლიჩკოებისთვის ფინანსურად ძალიან მომგებიანი იქნებოდა. ევანდერმა თანხაც კი დაასახელა - 20 მილიონი დოლარი.


ვიტალი და ნატალია

*„ჰოლიფილდს ხშირად უთქვამს, რომ ჩემთან ან ჩემს ძმასთან შეხვედრის სურვილი აქვს, მაგრამ ეს შეუძლებელია. არასოდეს გავალ რინგზე მის წინააღმდეგ, რადგან ის ჩემი კერპია"*, - ამბობს ვიტალი კლიჩკო.

ამბები

მძლეოსნობა

## კლუფტმა კარიერა დაასრულა

შვედეთში ათენის თამაშების გამარჯვებულმა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა **კაროლინა კლუფტმა** სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. 29 წლის შვედმა ამ გადაწყვეტილების კომენტარისას განაცხადა, რომ კოლოსალურ დაღლილობას გრძნობს.

*„ჩემი სხეული კატეგორიულად ეწინააღმდეგება კარიერის გაგრძელებას. ამ მომენტისთვის იმედგაცრუებული ვარ, რომ ასე მოხდა, - განაცხადა კლუფტმა. - ჩემთვის ცხოვრების ეს ნაწილი წარსულში დარჩა. ვამაყობ იმით, რასაც სპორტში მივაღწიე".*

ფორმულა 1

## კუბიცამ ტესტი გაიარა

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა, პოლონელმა **რობერტ კუბიცამ**, რომელიც 2011 წლის თებერვალში სერიოზულად დაზარალდა რბოლის დროს მომხდარი ავარიის გამო, "ფორდის" მოდელით რალიში კერძო ტესტები ჩაატარა. ვარჯიშის შედეგი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ რალიში ამერიკული გუნდის ტექნიკური დირექტორი **კრისტიან ლორიო** კმაყოფილი დარჩა.

*"მზად ვარ ქუდი მოვიხადო მის წინაშე. რობერტმა შესანიშნავად გაართვა თავი ამოცანას. ტესტებამდე გამართული საუბრის დროს, მას ეჭვი ეპარებოდა საკუთარი ფორმის გამო, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა"*, - განაცხადა კრისტიან ლორიომ.

კალათბურთი

## ფრიძონს ბრინჯაო მოპპარეს

რუსეთის საკალათბურთო ნაკრების მცველ **ვიტალი ფრიძონს** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი მოჰპარეს. ქურდობა 25 აგვისტოს, ღამით მოხდა.

მედლის გარდა, 26 წლის კალათბურთელის სახლიდან წაიღეს ორი ცალი შვეიცარიული საათი, მობილური ტელეფონი, ნოუთბუკი, ფოტოაპარატი და პლანშეტური კომპიუტერი.

## სტრიტბოლის ახალი ისტორია

ათენში დასრულდა ისტორიაში მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონატი სტრიტბოლში (3X3-ზე კალათბურთი).

სამივე კატეგორიაში ფინალში საფრანგეთი გავიდა, მაგრამ ამ ქვეყანამ მხოლოდ ერთი ოქროს აღება შეძლო.

მამაკაცებს შორის ფინალში ფრანგებმა 12:16 წააგეს სერბეთთან და ეს უკანასკნელი ისტორიაში პირველი ჩემპიონი გახდა. ქალებში აშშ-მა საფრანგეთს 17:16 მოუგო, ხოლო შერეულ თანრიგში ფრანგების მეტოქე არგენტინა იყო და აქ ევროპელებმა დამაჯერებლად მოიგეს 14:8.

## დალასი პოლისთვის იბრძოლებს

„დალას მავერიქსის" ხელმძღვანელობა 2013 წლის ზაფხულში ეცდება ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის - **კრის პოლის** ხელში ჩაგდებას. ამ კალათბურთელის მოქმედი კონტრაქტი „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" 2012-13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ იწურება. „მავერიქსს" საკმარისი საშუალება აქვს იმისთვის, რომ პოლს მაქსიმალური კონტრაქტი შესთავაზოს. ამერიკელი ჟურნალისტების აზრით, თუ „კლიპერსი" მოახერხებს მოთამაშესთან კონტრაქტის გაგრძელებას, მაშინ „დალასი" გაცვლის შედეგად შეძლებს კრისის აყვანას. ტრეიდში მონაწილე კალათბურთელებად, სავარაუდოდ, **ნიკ კოლისონი** და **შონ მერიონი** სახელდებიან.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „დალასმა" დაკარგა ვეტერანი **ჯეისონ კიდი**, აგრეთვე წააგო ბრძოლა **დერონ უილიამსის** ხელში ჩასაგდებად.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ალფრეტონი-ნანიტონი | 0:3 |
| კემბრიჯი-დარტფორდი | 1:2 |
| ებსფლიტი-ლუტონი | 1:3 |
| გეიტსჰედი-ლინკოლნი | 1:1 |
| გრიმსბი-მენსფილდი | 4:1 |
| ჰაიდი-საუთპორტი | 0:2 |
| კიდერმინსტერი-ფორესტ გრინი | 0:1 |
| მაკლსფილდი-ბაროუ | 2:0 |
| ტამუორტი-რექსჰემი | 0:1 |
| ტელფორდი-სტოკპორტი | 2:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ჩეზენა-სასუოლო | 0:3 |
| **ესპანეთი** | |
| ვალიადოლიდი-ლევანტე | 2:0 |
| ატლეტიკო-ბილბაო | 4:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-კიოლნი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნანტი-ლე მანი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დენ ბოში-დორდრეხტი | 2:4 |
| **პორტუგალია** | |
| სპორტინგი-რიუ ავე | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ბენფიკა B-ბელენენსეში | 6:0 |
| **დანია** | |
| ჰორსენსი-აგფ ორჰუსი | 1:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ფინი-ვეილე | 2:2 |
| **ნორვეგია** | |
| ფრედრიკსტადი-ოლესუნდი | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| ატვიდაბერგი-ნორჩოპინგი | 1:1 |
| მიალბიუ-სირიანსკა | 0:2 |
| მალმიო-სუნდსვალი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-უმეა | 1:0 |
| ბრაგე-იონჩოპინგი | 1:0 |
| ვარნამო-ტრელებორგი | 3:0 |
| ლანდსკრონა-დეგერფორსი | 0:0 |
| ვარბერგი-ოსტერსი | 2:4 |
| ბრომაპიოკარნა-ჰალმსტადი | 0:3 |
| **ფინეთი** | |
| ჰონკა-ვაასა | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კიასო-ბელინცონა | 3:2 |
| **საბერძნეთი** | |
| პანიონიოსი-არისი | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| ანთალია-ქაისერი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ქარსიაქა-მანისა | 1:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| უოტერფორდი-მერვუ | გადაიდო |
| **ისლანდია** | |
| კეფლავიკი-ვალური | 0:4 |
| რეიკიავიკი-ფრამი | 1:1 |
| **ჩეხეთი** | |
| იაბლონეცი-სპარტა | 1:2 |
| **რუსეთი** | |
| ყუბანი-ვოლგა | 6:2 |
| **II დივიზიონი** | |
| სიბირი-ნეფტიხიმიკი | 1:2 |
| როტორი-ურალი | 0:4 |
| სალუტი-ენისეი | 2:1 |
| ბალტიკა-უფა | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| პოგონი-ლეჩია | 0:2 |
| **რუმინეთი** | |
| ჩახლაული-კონსტანტა | 0:3 |
| უნივერსიტატეა-ბრაშოვი | 1:1 |
| ვასლუი-სტიაუა | 3:1 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) | 2:1 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევრობასკეტი 2013** | |
| **შესარჩევი** | |
| სლოვაკეთი-ჩერნოგორია | 81:94 |
| ისლანდია-ესტონეთი | 67:86 |
| აზერბაიჯანი-გერმანია | 68:85 |
| შვედეთი-ლუქსემბურგი | 111:74 |
| უნგრეთი-კვიპროსი | 77:64 |
| ავსტრია-ხორვატია | 75:82 |
| შვეიცარია-ფინეთი | 60:89 |
| ბელგია-ალბანეთი | 97:59 |
| ჩეხეთი-თურქეთი | 82:64 |
| პორტუგალია-ბელარუსი | 75:82 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. აშშ-ის ღია** | |
| ბლეიკი-ლაჩკო | 7:5, 6:2, 3:6, 6:3 |
| გრანოლერსი-კუდლა | 6:3, 4:6, 6:3, 7:6 |
| ნიშიკორი-ანდრეოცი | 6:1, 6:2, 6:4 |
| რეინოლდსი-შმიჩეკი | 6:1, 4:6, 2:6, 6:4, 4:6 |
| დოდიგი-მორია | 6:0, 6:1, 6:2 |
| მიურეი-ბოგომოლოვი | 6:2, 6:4, 6:1 |
| **WTA. აშშ-ის ღია** | |
| ბარტოლი-ჰემპტონი | 6:3, 7:6 |
| გორგესი-პლიშკოვა | 6:7, 1:6 |
| კირსტეა-ლისიცკი | 4:6, 6:2, 6:2 |
| ნა ლი-უოტსონი | 6:2, 6:3 |
| მარტიჩი-სტოსური | 1:6, 1:6 |
| მინელა-როგოვსკა | 6:2, 3:6, 6:3 |
| პეტროვა-გაიდოშოვა | 6:3, 7:6 |
| ფორეცი-ტატიშვილი | 2:6, 0:6 |
| ჰრადეცკა-მედინა გარიგესი | 6:3, 6:3 |
| ცურენკო-დელაკუა | 2:6, 3:6 |
| კადანტუ-ვოზნიაკი | 0:6, 3:6 |
| ლეპჩენკო-იოჰანსონი | 6:3, 3:6, 7:5 |
| ჰალეპი-ბენეშოვა | 7:5, 7:6 |
| ოპრანდი-პეტკოვიჩი | 6:2, 7:5 |
| ოუდინი-საფაროვა | 4:6, 0:6 |
| დომინგეს ლინო-კარატანჩევა | 6:4, 6:1 |
| შარაპოვა-ჩინკი | 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

**28 აგვისტო. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ჰანოვერი-შალკე.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. ჩელსი-ნიუკასლი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. III ტური. ჰერაკლესი-ფეიენოორდი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. მანჩესტერ იუნ-ფულემი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. მატჩისწინა მიმოხილვა.
**22:45** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ანდერლეხტი-აელ. საპასუხო მატჩი (LIVE).
**00:45** ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. მარიბორი-დინამო (ზ). საპასუხო მატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-სან ლორენცო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-სან ანტონიო.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ვოლფსბურგი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. სარაცენსი-ბეარიცი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**21:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:10** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. მარიბორი-დინამო (ზ). საპასუხო მატჩი (LIVE).
**00:45** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. დალასი-სან ანტონიო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. მეცი. საფრანგეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. სამხრეთ აფრიკა-არგენტინა.
**15:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ინდიანა.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. აელ-ანდერლეხტი. პირველი მატჩი.
**19:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ფილადელფია-ბოსტონი.
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ლუქსემბურგი.

**I არხი**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი (LIVE)

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. დინამო (კ)-ბორუსია (მ). საპასუხო მატჩი (LIVE).
**01:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. მიმოხილვა.

ჩოგბურთი

# ავსტრალია დუბაიში ჩატარდება?

## მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელები უარს ამბობენ ავსტრალიის ღია პირველობაზე

**პლანეტის წამყვანმა ჩოგბურთელებმა, შესაძლოა, ბოიკოტი გამოუცხადონ 2013 წლის ავსტრალიის ღია პირველობას. სპორტსმენებს ხელს არ აძლევს საპრიზო თანხების განაწილების სისტემა, კერძოდ, ადრეულ ეტაპზე გავარდნილი მოთამაშეებისთვის კომპენსაციის ოდენობა. ამასთან, ATP-ის ვიცე-პრეზიდენტი კეიტ გორდონი ბოიკოტის შესაძლებლობას გამორიცხავს.**



აშშ-ის ღია პირველობის წინ, წამყვანმა ჩოგბურთელებმა კრება ჩაატარეს ნიუ იორკში და ფინანსური საკითხები განიხილეს. The Sunday Times-ის მონაცემებით, ჩოგბურთელები უკმაყოფილონი არიან ავსტრალიის ღიაზე საპრიზო თანხების გადანაწილებით და მზად არიან, ბოიკოტი გამოუცხადონ მელბურნის ტურნირს.

2012 წელს, „დიდი სლემის" ტურნირების საპრიზო ფონდი შესამჩნევად გაიზარდა. ამასთან, როლან გაროსის, უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას ორგანიზატორებმა, ავსტრალიის ღიას ხელმძღვანელობისგან განსხვავებით, პროცენტულად გაზარდეს თანხები ადრეული ეტაპიდან გავარდნილი ჩოგბურთელებისთვის. 2012 წელს, როლან გაროსზე პირველ წრეში გავარდნილ ჩოგბურთელს 21.7 ათასი დოლარი გადაუხადეს, უიმბლდონზე - 22.1 ათასი, ავსტრალიის ღიაზე - 20.8 ათასი.

საერთო ჯამში, ჩოგბურთელები იღებენ 20 პროცენტზე ნაკლებს ის მოგებიდან, რომელსაც „დიდი სლემის" ტურნირის ჩატარება იძლევა.

*„შეადარეთ საერთო მოგებიდან საპრიზო თანხებისთვის მიმართული პროცენტი ჩოგბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში,* - განაცხადა ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ენდი როდიკმა**. - *გოლფისტმა PGA-ის ტურის ერთი ტურნირის მოგებისთვის შეიძლება 11.5 მილიონი დოლარი მიიღოს. ვფიქრობ, ATP-ის მსოფლიო რეიტინგის მე-15 ნომერი მთელი კარიერის განმავლობაში მაქსიმუმ 14 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ჩვენს სპორტში პროცენტული თვალსაზრისით საპრიზოები ძველ საუკუნეშია ჩარჩენილი, იმ დროს, როცა NBA-ში, მაგალითად, მოთამაშეები საერთო მოგებიდან 50 პროცენტს იღებენ. ვფიქრობ, გაგვიმართლა, რომ კარგ თანხებს ვიღებთ, მაგრამ ის ბიჭები, რომლებიც ასეულის ბოლოსკენ არიან, დღეს დიდ ფულს ვერ იხვეჭენ. ამასთან, ისინი საკუთარ დანახარჯებს თავად იხდიან, ასეთი რამ კი არ არსებობს პროფესიულ სპორტულ გუნდებში".*

როგორც The Sunday Times წერს, გაფიცულებს სათავეში ჩაუდგება **როჯერ ფედერერი** - ATP-ის მოთამაშეთა საბჭოს თავმჯდომარე. გამოცემის ცნობით, თუ სიტუაცია არ შეიცვლება, „დიდი სლემის" ტურნირი შეიძლება არა ავსტრალიაში, არამედ დუბაიში გაიმართოს.

თუმცა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ ბოიკოტის შესახებ ინფორმაცია უარყო. *„ATP ამტკიცებს: არანაირი ბოიკოტი არ იქნება,* - განაცხადა ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა **კეიტ გორდონმა**. - *ATP-ის ხელმძღვანელობასა და მოთამაშეებს წელს არაერთი საკითხი მოუგვარებიათ მოლაპარაკებების გზით. ჩვენ დიპლომატიურ ურთიერთობებს ვუჭერთ მხარს. ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ 2012 წელს „დიდი სლემის" ტურნირებზე საპრიზო ფონდი გაიზარდა. ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება".*

ავსტრალიელი გულშემატკივრები დააიმედა მელბურნის ტურნირის გენერალურმა დირექტორმა **კრეიგ ტაილიმ**. მან განაცხადა, რომ 2013 წელს ავსტრალიის ღია პირველობა აუცილებლად გაიმართება. *„ჩვენი ურთიერთობა მოთამაშეებთან ძალიან მყარია,* - ირწმუნება ის. - *ტურნირის წარმატებით ჩატარება ორივე მხარის ინტერესშია. მიმაჩნია, რომ მსოფლიოს რეიტინგის TOP250-ის ჩოგბურთელები კარგად უნდა ცხოვრობდნენ".*

ტაილის აზრით, სპორტულმა საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ქვედა რანგის ტურნირების ფინანსურ უზრუნველყოფას.

*„1980 წლიდან დღემდე, „დიდი სლემის" ტურნირების საპრიზო ფონდი 1095 პროცენტით გაიზარდა! ხოლო Challengers-სა და Futures-ზე 1985 წელს 15 ათასს იხდიდნენ და დღესაც იგივე ხდება. 30 წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა",* - განაცხადა ტაილიმ.

ჩოგბურთი. აშშ-ის ღიას კალეიდოსკოპი

### სერენა და ვენუსი ისევ წყვილებში ითამაშებენ

ამერიკელებმა - **სერენა** და **ვენუს უილიამსებმა** უაილდ-ქარდი მოიპოვეს ამერიკის ღია პირველობის წყვილთა თანრიგში გამოსასვლელად.

დები 13-ჯერ იყვნენ „დიდი სლემის" ტურნირების გამარჯვებულები წყვილების თანრიგში, მათ შორის, 1999 და 2009 წლებში ამერიკის ღია პირველობა მოიგეს.

შეგახსენებთ, რომ დები უილიამსები სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან წყვილთა თანრიგში - მოიგეს ოქრო სიდნეიში, პეკინსა და ლონდონში.

### როჯერი ახალ რეკორდს უმიზნებს

შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**, ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვების შემთხვევაში, პირველი ჩოგბურთელი გახდება ისტორიაში, რომელსაც ექვსი (ან მეტი) ტიტული ექნება მოგებული „დიდი სლემის" ორ ტურნირზე.

ამ მომენტისთვის, ფედერერს შვიდჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი და ხუთჯერ - აშშ-ის ღია პირველობა. როჯერის გარდა, ხუთი და მეტი მოგება „დიდი სლემის" ორ ჩემპიონატში კიდევ ორ ჩოგბურთელს აქვს: შვედ **ბიორნ ბორგს** (ექვსი ტიტული როლან გაროსზე და ხუთი - უიმბლდონზე) და ამერიკელ **პიტ სამპარსს** (უიმბლდონი - შვიდი, აშშ-ის ღია - ხუთი).

### პირველი ნომრის ტრიუმფის დროა

ამერიკის ღია პირველობაზე პირველ ნომრად განთესილ ქალ ჩოგბურთელს 2007 წლის შემდეგ არ მოუგია. შეგახსენებთ, რომ წელს ქალების ბადეში განთესვის პირველი ნომერი ბელარუს **ვიქტორია აზარენკას** აქვს.

2008 წელს ტურნირის პირველმა ჩოგბურთელმა მეორე წრემდე მიაღწია, 2009 წელს - მესამე წრემდე, მომდევნო ორ გათამაშებაში - ნახევარფინალამდე.

ამასთან, 1997 წლიდან მოყოლებული შეინიშნება საინტერესო ტენდენცია - ყოველ მეხუთე წელს მთავარ პრიზს იღებდა სწორედ პირველ ნომრად განთესილი - 1997, 2002 და 2007 წლებში.

■ ■ ■

ამ მხრივ, მამაკაცთა შორის სრულიად საპირისპირო სიტუაციაა. ამერიკის ღია პირველობის წინა რვა გათამაშებიდან, მხოლოდ ორჯერ ვერ შეძლო პირველ ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა გამარჯვება - 2008 წელს ნახევარფინალამდე მიაღწია, 2009 წელს - ფინალამდე.

წელს, კაცებს შორის პირველი ნომერი **როჯერ ფედერერია**.

### ESPN-მა ფავორიტები დაასახელა

ამერიკის ღია პირველობის წინ, საკუთარი პროგნოზი შემოგვთავაზეს ESPN-ის საჩოგბურთო ანალიტიკოსებმა. 12-დან ათ ექსპერტს მიაჩნია, რომ აშშ-ის ღიაზე გაიმარჯვებს **სერენა უილიამსი**. ერთმა ჟურნალისტმა უპირატესობა ჩეხ **პეტრა კვიტოვს** მიანიჭა, კიდევ ერთმა - ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**.

სერენას წარმატებისა სჯერათ ამერიკული ჩოგბურთის ლეგენდებს - **კრის ევერტს, მერი-ჯო ფერნანდესს, ბრედ გილბერტს, პატრიკ მაკინროისა** და **პემ შრაივერს**.

■ ■ ■

ESPN-ის ანალიტიკოსებმა მამაკაცების ტურნირზეც გააკეთეს საკუთარი პროგნოზი და აქაც ერთი გამოკვეთილი ფავორიტია: 12-დან ცხრა ექსპერტი მიიჩნევს, რომ „ფლეშინგ მედოუს" კორტების ტრიუმფატორი გახდება **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სამი ანალიტიკოსის - კრის ევერტის, ბრედ გილბერტისა და პატრიკ მაკინროის ფავორიტია **როჯერ ფედერერი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608